ლელა მენაბდიშვილი

საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა

სოციალურ-დემოგრაფიული ნარკვევები

თბილისი
2019

UDK (უაკ) 31; 748; 316.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
ლელა მენაბდიშვილი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა, სოციალურ-დემოგრაფიული ნარკვევები. 2019, 167 გვ.

ნაშრომი ეხება საქართველოს სტუდენტ ახალგაზრდობას, როგორც მომავლის ბუნებრივ რესურსს. სტატისტიკური მონაცემების და ექსპერტთა შეფასებების მიხედვით მოცემულია ქვეყნის დღევანდელი დემოგრაფიული ვითარება და პროგნოზები. ავტორის უშუალო მონაწილეობით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე გადმოცემულია სტუდენტი ახალგაზრდების ღირებულებები, განწყობები და წარმოდგენები იმ საკითხებზე, რომლებიც ქმნიან ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიულ სურათს.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სულაბერიძე

რეცენზენტები: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი მზია შელია
აკადემიური დოქტორი, პროფესორი გულნარა იმედაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარინა ხაჩატუროვა

©ლელა მენაბდიშვილი, 2019
©პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, 2019
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #43
ISBN 978-9941-9649-3-0

შინაარსი

კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება საქართველოში – მითია თუ რეალობა?! 5

ახალგაზრდობის ცნების გაგებისათვის.....15

სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაცია.....26

ოჯახი და მეგობრები.....51

სტუდენტთა დამოკიდებულება ოჯახისა და გენდერისადმი 67

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები 82

სექსუალური თავისუფლება და თანაცხოვრება ახალგაზრდებში 99

მიგრაციული განწყობები 136

საქართველოს სოციალ-დემოგრაფიული განვითარებისთვის გასაკეთებელი ბევრია 157

ნაშრომს ვუძღვნი მამის, საუკეთესო

მეგობრის და მასწავლებლის –

ელგუჯა მენაბდიშვილის

ნათელ ხსოვნას

კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება საქართველოში – მითია თუ რეალობა?!

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთია დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც საქართველოსაც შეეხო. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაუარესება, ფაქტიურად, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, 90-იანი წლებიდან კი აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. ქართველი მეცნიერ-დემოგრაფები საქართველოს მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ თანხმდებიან, ბევრს ბჭობენ, არასახარბიელო პროგნოზებს აკეთებენ, განგაშის ზარებს რეკავენ და სახელმწიფოს ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისაკენ მოუწოდებენ, რადგან ყველა მათგანი იზიარებს მოსაზრებას, რომ დემოგრაფიული ვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობას.

მოსახლეობის დაბალანსებული სტრუქტურა გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა, ანუ მოსახლეობის სტრუქტურა და დინამიკა განსაზღვრავს ადამიანურ რესურსებს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-ბისათვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დემოგრაფიული ვითარება აგრეთვე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. დამეთანსხმებით, ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის ეს საკითხი უმთავრესია.

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების შესახებ გაკეთებული პროგნოზები საგანგაშოა. 2010 წელს გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდმა საქართველოში ჩაატარა კვლევები, რის მიხედვითაც გააკეთა პროგნოზი, რომ საქართველოს 2050 წლისთვის დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. ქვეყნის მოსახლეობა 28%-ით მცირდება, მაშინ როდესაც მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობის მატებაა მოსალოდნელი. აზერბაიჯანის მოსახლეობის 34%-ით გაზრდას, სომხეთის 7%-ით, ხოლო ჩრდილო კავკასიის ქვეყნების და თურქეთის მოსახლეობის

თითქმის 30-35%–ით გაზრდას ვარაუდობენ. გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევით, თუ საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკა არ შეიცვალა 2025 წლისთვის მოსახლეობა 3917000-მდე, ხოლო 2050 წლისთვის კი 2985000 -მდე შემცირდება.

ინტერნეტ-რესურსი „ფაქტსმეპი“ გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით, ინფოგრაფიკას აქვეყნებს, სადაც აღნიშნულია 2020-2100 წლებში მოსახლეობის გაზრდა-შემცირება ქვეყნების მიხედვით. ამ მონაცემებით საქართველო მოსახლეობის კლებად ქვეყნების სიაშია. ამასთან, მოსახლეობის კლების ტემპებით მსოფლიოში მეათე ადგილზე ვართ.

მოსახლეობის კლების ტენდენცია ნათლად ჩანს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემებში. საქართველოში მოსახლეობაის რიცხოვნობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1989 წელს დაფიქსირდა, ბოლო აღწერის მიხედვით ამ მაჩვენებელთან შედარებით მოსახლეობა 1687.0 კაცით შემცირდა, ხოლო 2002 წლის მონაცემებთან შედარებით 277.5 ათსი კაცით.

ნებისმიერ ქვეყანაში შობადობის დონე, მოკვდაობის დონესთან და მიგრაციის მაჩვენებელთან ერთად მოსახლეობის სტრუქტურას ქმნის და მის განვითარებას განაპირობებს. ამიტომ ეს მაჩვენებლები დემოგრაფიული ცვლილების კომპონენტებად მიიჩნევა. დემოგრაფიული ცვლილებების მნიშვნელოვანი კომპონენტები: შობადობა და მოკვდაობა ქვეყნის ბუნებრივი მატების ანუ მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელია. საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ყველაზე მაღალი (18,2) 1960 წელს იყო. 2000 წელს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ნულს გაუტოლდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ 2000 წელს საქართველოში მოსახლეობის ზრდას ადგილი არ ჰქონია. 2000 წლიდან 2008 წლამდე ქვეყანაში გარდაცვალებულთა რიცხვი აღემატებოდა ცოცხლად დაბადებულთა რიცხვს. მომდევნო წლებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (0,2) 2012 წელს, ხოლო ყველაზე მაღალი 2014 წელს (3,1).

ცხრილი 1. მოსახლეობის რიცხოვნობა აღწერების მიხედვით

წელი	სულ მოსახლეობა	მამაკაცი	ქალი
1897	2 109.3	1 125.0	984.3
1926	2 666.5	1 347.5	1 319.0
1939	3 540.0	1 765.0	1 775.0
1959	4 044.0	1 865.3	2 178.7
1970	4 674.6	2 195.5	2 479.1
1979	4 993.2	2 338.9	2 654.3
1989	5 400.8	2 562.0	2 838.8
2002[1]	3 991.3	1 898.5	2 092.8
2014	3 713.8	1 772.8	1 941.0

წყარო: დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2019. geostat.ge/media/27214/demograpia–2018/

[1] 2002 წლს აღწერის მონაცემებით ითვლებოდა, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა შეადგენდა 4 371 535 კაცს. ცხრილში მოცემული მონაცემები გადაანგარიშების შედეგადაა მიღებული. წყაროს წარმოადგენს საქსტატი. როგორც საქსტატი იუწყება, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთო აღწერიდან მიღებულმა მონაცემებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშების და განახლების აუცილებლობა. გადაანგარიშება განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერისას, ფაქტიურზე მეტი მოსახლეობა დაფიქსირდა. ადგილობრივი (გ. წულაძე, გ. მელაძე)და უცხოელი (Hakkert, R., & et all. (2015). Population Situation Analysis (PSA): Georgia 2014. Tbilisi: UNFPA Georgia.) ექსპერტების მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით 2002 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა არ აღემატებოდა 4 მილიონ კაცს (მოსახლეობის აღწერით დაფიქსირდა 4 371 535 კაცი, ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით კი 4 001 000 კაცი), ამასვე ადასტურებს ყოველკვარტალურად ჩატარებული შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევა (მათი მონაცემით 2002 წელს იყო 3 991 300 კაცი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მოსახლეობის აღწერამ 3 713.8 ათსი კაცი დააფიქსირა, ხოლო ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით 3 760.7 ათსი კაცია მუდმივი მოსახლეობა. [geostat.ge]

დიაგრამა 1. დემოგრაფიული მაჩვენებლები, ‰



წყარო: დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2019. Geostat.ge/media/27214/demograpia – 2018/

საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს დემოგრაფიული ტალღა. კერძოდ, როგორც ა. სულაბერიძე აღნიშნავს: „შობადობის ერთბაშად დაცემის შედეგად, 2020 წლისთვის 1990-იან წლებთან შედარებით, 28-30 პროცენტით ნაკლები ქალი გვეყოლება დედის ასაკში (დედის საშუალო ასაკი 27,5 წელია). პროგნოზით, 2030 წლის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის თანახმად, 2030 წელთან შედარებით 2055-2060 წლებში კიდევ 15 პროცენტით შემცირდება დედის ასაკში მყოფ ქალთა რიცხვი. იმ პერიოდისთვის ძნელია განსაზღვრო ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათგან შესაძლოა ზოგიერთი არ გათხოვდეს, ან უშვილო დარჩეს, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ 2050 წლისთვის საქართველოს რეპროდუქციული პოტენციალი, დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით, კიდევ უფრო გაუარესდება.“ [სულაბერიძე ა. 2016: 18}

ცხრილი 2. მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტები და მოსახლეობის ზრდა

წლები	მოსახლეობა (ათასი კაცი)	ცოცხლად დაბადება	გარდაცვალება	ბუნებრივი მატება	მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)	მოსახლეობის ზრდა (პროცენტი)
1960	4129.2	102866	27015	75851	-16.8	1.5
1965	4450.0	94987	31291	63696	-10.0	1.4
1970	4674.6	90207	34283	55924	-11.6	0.7
1975	4873.8	89712	39292	50420	-25.5	0.8
1980	5029.1	89458	43346	46112	-17.0	0.7
1985	5230.0	97739	46153	51586	-18.8	0.8
1990	5424.4	92815	50721	42094	-13.2	0.4
1995	4742.3	56486	49219	7267	-176.3	-3.8
2000	4116.8	48167	48250	-83	-79.2	-1.9
2001	4037.5	46620	47133	-513	-45.7	-1.9
2002	3991.3	45127	47514	-2387	-23.1	-1.1
2003	3965.8	45450	47114	-1664	-26.4	-0.6
2004	3937.7	45751	79746	-3995	-16.8	-0.7
2005	3917.0	46063	49534	-3471	-25.5	-0.5
2006	3888.0	46845	50014	-3169	-12.1	-0.7
2007	3872.7	48499	50204	-1705	-23.4	-0.4
2008	3847.6	52442	50490	1952	-20.5	-0.6
2009	3829.0	56568	50794	5774	-34.9	-0.5
2010	3799.8	55230	51066	4164	-30.4	-0.8
2011	3773.6	51565	49818	1747	-36.0	-0.7
2012	3739.3	49969	49347	622	-21.5	-0.9
2013	3718.4	49657	48564	1093	-2.6	-0.6
2014	3716.9	60635	49087	11548	-6.5	0.0
2015	3721.9	59249	49121	10128	-3.4	0.1
2016	3728.6	56569	50771	5798	-8.1	0.2
2017	3726.4	53293	47822	5471	-2.2	-0.1
2018	3729.6	51138	46524	4614	-10.8	0.1

წყარო: დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2019. Geostat.ge/media/27214/demograpia – 2018/

დემოგრაფიული ცვლილებების მესამე კომპონენტი, რომელსაც საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არის გარე მიგრაცია. ქვეყნიდან უფრო მეტი ადამიანი გადის ვიდრე შემოდის. მიგრაციული სალდო განსაკუთრებით მაღლი იყო 1992-1997 წლებში, როცა ის მერყეობდა – -126.7 ათსი კაციდან – -194.6 ათას კაცამდე. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან 2014 წლის აღწერამდე პერიოდში 1,15 მილიონმა ადამიანმა დატოვა ქვეყნის ტერიტორია ექვსი თვით ან მეტი დროით. მიგრაციულმა სალდომ შეადგინა 278648 კაცი, რომლებმაც დატოვეს ქვეყნის ტერიტორია, რაც 2002 წელს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7 პროცენტს შეადგენდა. [რალფ ჰარეტი. 2017]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მოსახლეობის ფორმირებაში გარე მიგრაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, შედარებით მაღლი ბუნებრივი მატების პირობებში, გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ გავლენა იქონია ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპებზე. 1992 წლიდან დრამატულად წარიმართა პროცესი, რომელის, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. დაბალი ბუნებრივი მატება ვეღარ ფარავს გარე მიგრაციის მაღალ უარყოფთ სალდოს და აღინიშნება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი კლება. [მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. 2018: 10–11]

სულ რაღაც თორმეტ წელიწადში (საქართელოს 2002 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთო აღწერებს შორის შუალედში) საქართველოს მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა, რამაც შეადგინა 657 731 კაცი. 2002 წლიდან 2014 წლამდე საქართველოდან ემიგრირებული პირების რაოდენობამ 1,15 მილიონი პირი შეადგინა, საქართველოში იმიგრირებულ პირთა რაოდენობამ კი

875 000. ეს რიცხვი უცხოელებსაც მოიცავს, თუმცა უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნებული ქართველია. [ბარტ დე ბრუნი. 2017: 61]

საქართველოს მოსახლეობა კლებასთან ერთად დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება. მოსახლეობის დაბერების პროცესის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის ერთ–ერთი ემიგრაციაა. საქსტატის მონაცემების მიხედვით 2018 წელს ქვეყნიდან გავიდა 98935 კაცი (მათ შორის 956116 მამაკაცი და 42819 ქალი). 2018 წლის, ისევე როცორც წინა წლების მიგრაციული სალდო უარყოფითია და შეადგენს -10783 კაცს. ასაკობრივი მონაცემების მიხედვით ემიგრანტთა სურათი ასეთია: 0–14 წლის ასაკის 9880, 15–64 წლის 85652 კაცი და 65 და მეტი წლის 3403 კაცი. [www.geostat.ge]

ემიგრანტებად ძირითადად ფერტილური ასაკის ადამიანები გვევლინებიან, რამაც მნიშვნელოვანი გვლენა იქონია ახალგაზრდების სქესობრივ-ასაკობრივ გადანაწილებაში მომხდარ რაოდენობრივ ცვლილებაზე. სქესობრივ–ასაკობრივი დისბალანსის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ ახალგაზრდა ასაკის ემიგრანტებს შორის ქალებთან შედარებით მამაკაცების სიჭარბე სახელდება. ინტენსიურმა ემიგრაციულმა პროცესებმა საქართველო მოსახლეობის აღწარმოება შეკვეცილ რეჟიმამდე მიიყვანა. ამჟამად ქვეყანა მომაკვდავ ერთა სიაშია.

დემოგრაფი, ექსპერტი ა. სულაბერიძე თვლის, რომ 1992 წლიდან ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზე არსებითი როლი ითამაშა მიგრაციულმა პროცესებმა, საქართველოდან მილიონ შვიდასი ათასამდე ადამიანია გასული. მიგრაციასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბუნებრივმა კლებამაც. მისი აზრით, ასეთი ცხოვრების დონის გაგრძელების პირობებში, 2030 წლისთვის სამი მილიონი თუ შევნარჩუნდებით მიღწევა იქნება. სულაბერიძის პროგნოზით, მოსახლეობის სტრუქტურიდან გამომდინარე ძალიან რთული ვითარება გველის, 2050 წლამდე ქვეყნის მოსახლეობა უფრო დაბერებული იქნება, ვიდრე

ახალგაზრდული. მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე, 2050 წლისთვის საქართველოში ქართველები შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდნენ. იზრდება უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლა საქართველოში, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ეგზოტიკურ მოსახლეობამდე[2], ეს პროცესი უკვე დაწყებულია. [გაზეთი „რეზონანსი“. 2019]

საქართველოს დემოგრაფიული პროცესები დღეს ხასიათდება გადავადებული შობადობით, მაღალ ასაკში ქორწინებით, განქორწინების მაღლი მაჩვენებლით, ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლით, მაღალმთიანი რაიონების დაცარიელებით. ქვეყნის ბოლო – 2014 წლის მოსახლეობის საყოველთო აღწერის მონაცემებით გაუკაცრიელებულია 223 სოფელი. საქართველოს მოსახლეობის 30% თბილისში ცხოვრობს, რაც შეადგენს 1 062 282 კაცს. 2019-2020 სასწავლო წელს, როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო გვატყობინებს, 108 სკოლაში არცერთი პირველკლასელი არ შევიდა, მათ შორის უმეტესობა მაღალმთიანი რეგიონის სკოლაა.

ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გაუარესების თვალსაზრისით განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რეგიონებში. ქვეყნის რიგ რეგიონებში უკვე წლებია დეპოპულაცია მიმდინარეობს. 2018 წლის მონაცემების მიხედვით მხოლოდ თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქვემო ქართლის რეგიონსა და სამცხე ჯავახეთში აღინიშნება ბუნებრივი მატება.

ა. თოთაძის პროგნოზით: „თუკი დემოგრაფიული პროცესი ასე გაგრძელდება, დეპოპულაცია, საშუალოდ, 41 წელიწადში საქართველოს ყველა რეგიონს შეეხება, რაჭა-ლეჩხუმი 22 წელიწადში გაუკაცრიელდება, ზოგი 40-60 წელიწადში, საშუალოდ

---

[2] ეგზოტიკურ მოსახლეობაში ა. სულაბერიძე გულისხმობს სხვადასხვა რასის, ეროვნების, სექტის ერთობლიობას. ამ ერთობლიობაში კი, მისი აზრით, 2050 წელს ქართველები შეიძლება უმცირესობაში აღმოვჩნდეთ.

კი ამ პროცესს 41 წელიწადი დასჭირდება.“ [გაზეთი „რეზონანსი“ 2019]

ცხრილი 3. ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით

	1995	2000	2005	2010	2015	2016	2017	2018
საქართველო	7267	-83	-3471	4164	10128	5798	5471	4614
თბილისის მუნიციპალიტეტი	-2430	1389	924	5760	5132	4064	2930	4039
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	2220	1668	728	1630	2824	2355	2628	2362
გურიის რეგიონი	192	-726	-986	-454	-227	-297	-390	-419
იმერეთის რეგიონი	1632	-2380	-1628	-1285	-210	-1318	-159	-1248
კახეთის რეგიონი	-2	-909	-1163	-1053	255	-229	-84	-370
მცხეთა მთიანეთი	635	-25	-15	-38	-184	-236	-165	-262
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	-512	-194	-579	-654	-473	-496	-395	-328
სამეგრელო ზემო სვანეთი	658	-1259	-1843	-1982	-399	-735	-683	-932
სამცხე ჯავახეთი	928	409	-29	-14	182	296	237	180
ქვემო ქართლის რეგიონი	3161	2371	1983	2145	2659	2037	2342	1654
შიდა ქართლი	788	-418	-854	109	569	357	210	-62

წყარო: დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2019. geostat.ge/media/27214/demograpia – 2018/

დემოგრაფები ვ. ლორთქიფანიძე და ა. თოთაძე ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ წერენ: სახეზეა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარი - უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება. თუ დროულად რამე არ ვიღონეთ გადაშენება მოგველის. [ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთძე. 2007: 9]

აღწარმოების დონეზე მუდმივი დაბალი შობადობის მაჩვენებელი და მიგრაციის უარყოფითი საალდო მოსახლეობის დაბერებას და მისი რიცხოვნობის შემცირებას განაპირობებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების (UNPD) პროგნოზით 2030 წლისთვის 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოში 19 პროცენტამდე გაიზრდება, ამასთან მომდევნო ათწლეულებში მოსალოდნელია მოსახლეობის კლება და დაბერება.

მოსახლეობის კლებამ და დაბერებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი ურთიერთდამოკიდებული პროცესები, როგორიცაა პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტის შემცირება,[3] ხანდაზმულთა დამოკიდებულების გაზრდა, ასევე, სავარაუდოდ, სამუშაო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. ამ პროცესებმა კი შესაძლოა ხელი შეუწყოს დემოგრაფიული დეფიციტის შექმნას, რაც გამოიწვევს ეკონომიკური პროდუქტიულობის კლებას და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და სოციალური განვითარების პოტენციალის შემცირებას,

უდავოა, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში საგანგაშოა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ პრობლემის მოგვარება ჩვენი – საზოგადოების ნების გარეშე შეუძლებელია. თითოეულმა ჩვენთაგანმა კარგად უნდა გააცნობიეროს ის საფრთხე რის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა. დემოგრაფიული თვალსაზრისით არა მხოლოდ მთავარია, არამედ საყურადღებოცაა ის, რომ ჩვენს პირობებში ოჯახმა იმდენი შვილი იყოლიოს, რომ არა მხოლოდ თაობათა რაოდენობრივ განახლებას შეუწყოს ხელი, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო მოსახლეობის ოპტიმალური გამრავლებაც უზრუნველყოს.

სოციოლოგი და დემოგრაფი ე. მენაბდიშვილი, თვლიდა, რომ „დღეს ჩვენი ქვეყანა ორი სახის საფრთხის წინაშე დგას, ერთი, თვით ქართველთა ფიზიკური შენარჩუნება და, მეორე,

---

[3] პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი არის სამუშაო ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობის რაოდენობის 65 წელზე მეტი ასაკის ერთ ადამიანთან თანაფარდობა. ეს კოეფიციენტი ასახავს მომუშავე მოსახლეობის (მასში არ შედიან ბავშვები და უმუშევრები) ტვირთს, განპირობებულს არამომუშავე ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენაჩუნება.“ ჩვენნაირი პატარა ერისთვის უმთავრესია არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ თვისობრიობა, ანუ თითოეული ჩვენთაგანის საფიქრალი უნდა იყოს არა მხოლოდ დეპოპულაციის შეჩერება, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ახალგაზრ-დობაზე, რადგან ახალგაზრდობა წარმოადგენენ ქვეყნის განვითარების ძირითად რესურსს, ხვალინდელი საზოგადოების აქტიურ წევრებს. მათ უნდა შეიტანონ უმთავრესი წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ინოვაციების დანერგვაში, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში

ახალგაზრდობის ცნების გაგებისათვის

ქვეყნის განვითრება-გარდაქმნის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება ახალგაზრდობას, რადგან ის წარმოადგენს ახალ თაობას ახალი ცოდნით, ახალი იდეებით, ახალი მოძრაობით. ახალგაზრდობის პრობლემისადმი ცხოველი ინტერესი საქართელოში დიდი ხანია არსებობს. თავისი წარსულის და თანამედროვეობის კარგ მცოდნე ახალგაზრდობას კარგად აქვს გააზრებული თუ საით, რა მიმართულებით უნდა წასვლა. მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობაში ხედავდა იმ ძალას, რომელსაც შეეძლო წასძღოლოდა თავის ხალხს ქვეყნის მომავალი ცხოვრების სწორ გზაზე. ასეა დღესაც.

2019 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საადგომო ეპისტოლეში ბრძანა: „მშობლებსა და ასაკოვან ადამიანებს ბევრი რამ უნახავთ და ადამიანური ურთიერთობების მხრივ მეტი ცოდნა აქვთ, მაგრამ ახალგაზრდები რომ უფრო გაბედულნი, ზოგჯერ რადიკალურნიც არიან, ამასთან, აქვთ ახალი იდეები, ახალი ხედვა, ახალი მისწრაფებები – ესეც ფაქტია. უფროსების ვალია მათი შემოთავაზებებიდან სწორი არჩევანი გააკეთონ, დაინახონ მათში რეალური, სასიკეთო შედეგები და

მომავალ თაობას დაეხმარონ გზის გაკაფვაში. თანამშრომლობა და ურთიერთშევსების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. ეს ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. [ილია II. 2019]

შეუძლებელია არ დაეთანხმო ჩვენი ერის სულიერ მამას. ახალგაზრდობა ახალი და უახლესი ცოდნის მატარებელია, რომელიც მოაქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. უფრო მეტიც, ცოდნის მოცულობა და ხარისხი, ახალი იდეები საზოგადოებაში იზრდება, პირველ რიგში, ახალგაზრდების გამო. ახალგაზრდობა არის ახალი იდეების, ინიციატივების, ახალი ცხოვრების ფორმების პრაქტიკაში დანერგვის დირიჟორი და ამჩქარებელი, რადგან ბუნებით იგი ეწინააღმდეგება კონსერვატიზმსა და სტაგნაციას. მოსახლეობის ფიზიკურად ყველაზე ჯანსაღი ნაწილი სწორედ ახალგაზრდობაა. ეს არის საზოგადოების მაცოცხლებელი ინტელექტუალური და ფიზიკური ძალა. რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სიჯანსაღე.

თაობების მანძილზე ახალგაზრდობა განიხილებოდა როგორც მომავლის ბუნებრივი რესურსი, რომელიც მას მერე, რაც განიცდის სოციალიზაციას, მიიღებს განათლებას ჩაერთვება რეალურ ცხოვრებაში. მაგრამ ეს პროცესი მიმდინარეობდა დიდი სიფრთხილით და კონტროლით. დღეს ვითარება სრულიად სხვაგვარია, ბევრ შემთხვევაში სწორედ ახალგაზრდები აკონტროლებენ და მართავენ ქვეყნის ცხოვრებას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გავიგოთ ის ღირებულებები რომლებიც მათთვის არის მნიშვნელოვანი. რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ, რა ალტერნატიულ გზებს ეძებენ და როგორ ესახებათ მათ თავისი და ქვეყნის მომავალი.

თავდაპირველად განვსაზღვროთ ახალგაზრდობის ცნება — ვის მოვიაზრებთ ახალგაზრდობაში. სპეციალურ ლიტერატურაში ახალგაზრდობა მიიჩნევა როგორც უნიტარული კატეგორია, რომელსაც აქვს საერთო ასაკობრივი, ფსიქოლოგიური და

სოციალური მოთხოვნილებები. ახალგაზრდობა ითვლება პიროვნების განვითარების განსაზღვრულ საფეხურად. ქცევის მოდელები და ღირებულებები, რომლებსაც ითვისებენ ახალგაზდები სამომავლოდ იქცევიან მთელი მათი ცხოვრების განმსაზღვრელ იდეოლოგიურ ღუზად.

პირველი საკითხი, რომელსაც ახალგაზრდობის შემსწავლელი სოციოლოგები აყენებენ ეს არის საკითხი იმის შესახებ თუ ვინ მოიაზრება ცნებაში: „ახალგაზრდა“. ახალგაზრდა ადამიანი – ეს არის ადამიანი გარკვეული ასაკის, რომელიც იმყოფება ბავშობასა და ზრდასრულ ასაკს შორის, რომელიც ქმნის განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს.

ცნობილი ფსიქოლოგი ერიკ ერიქსონი (1902–1994) მიიჩნევს, რომ ადამიანი ცხოვრების მანძილზე გაივლის მთელი კაცობრიობისთვის უნივერსალური განვითარების რამოდენიმე სტადიას. ერიქსონი გულისხმობს, რომ პიროვნება საფეხურეობრივად ვითარდება. ერთიდან მეორე საფეხურზე გადასვლა განპირობებულია შემდგომი ზრდისკენ, გაცნობიერებული სოციალური არეალისა და სოციალური ურთიერთობების გაფართოებისაკენ მზაობით. ერიქსონი წიგნში „ბავშობა და საზოგადოება“ (1963) ადამიანის ცხოვრების ეგოს განვითარების თეორიას იძლევა, რომელიც მოიცავს ინდივიდის მთელ ცხოვრებას ჩვილობიდან მოწიფულობამდე და მოხუცებულობამდე. სრულფასოვნად ფორმირებადი პიროვნება მხოლოდ ყველა სტადიის თანმიმდევრულად გავლის გზით ფორმირდება. ახალგაზრდობის პერიოდი მოიცავს განვითარების მეხუთე და მეექვსე სტადიას. მეხუთე სტადია ეს არის 12–18 ასაკი, როცა ხდება პიროვნების იდენტობა – როლების აღრევა. ამ დროს მოზარდის თვითგამორკვევის პროცესი მიმდინარეობს – „ვინ ვარ მე“, რომელიც რთული და მტკივნეული პროცესია. მას შემდეგ როცა ადამიანი გაარკვევს „ვინ არის“ და „საით მიდის,“ იწყება მეექვსე სტადია — ადრეული მოზარდობა, 19–35 წელი. წინა პლანზე გამოდის სიახლოვე, ინტიმურობა – სიმარტოვე,

იზოლაცია. ახალგაზრდები ახლო ურთიერთობების დამყარებას ცდილობენ. იმედგაცრუებების გამო ზოგიერთ მათგანს არ შეუძლია ახლო ურთიერთობების დამყარება და იზოლაციაში რჩება. ახალგაზრდობის – ადრეული მოზარდობის ძირითადი კრიზისი ინტიმურობასა და იზოლაციას შორის კონფლიქტის გადაჭრაა. ამ კონფლიქტის წარმატებული გადაწყვეტის შედეგია სხვა ადამიანებთან სრული ემოციური, ზნეობრივი და სექსუალური ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების უნარის განვითარება. ასეთი ურთიერთობები თავისთავად გულისხმობს ზოგიერთი პიროვნული პრიორიტეტის დათმობას, კომპრომისს, საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას. [Pervin L. A. 2003]

სტენლი ჰოლი (ფსიქოლოგი, 1905–1981), კარლ მანჰეიმი (სოციოლოგი,1893–1947) და ტალკოლტ პარსონსი ახალგაზრდობას განიხილავენ როგორც ბიოლოგიური ბუნების მიერ კონსტრუირებულს და მიიჩნევენ, რომ მას ახასიათებს მარტო მისთვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თავისებურებები, ხოლო რაც შეეხება, კულტურულ და ისტორიულ ასპექტებს, ეს უკანასკნელნი, წარმოადგენენ შუამავლებს, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ ამა თუ იმ დროს როგორ წარმოაჩენს თავს ახალგაზრდობის ეს ბიოლოგიურ–ფსიქოლოგიური არსი. ტალკოლტ პარსონსი ახალგაზრდობის ცნების გაჩენას უკავშირებს საზოგადოებრივი სისტემების სტაბილურობის, მიზანმიმარ-თულებისა და მიზანდასახულობის განვითარების დაფუძნებას.

სტენლი ჰოლმა, ერთ–ერთმა პირველმა, ჩაუყარა საფუძველი აღიარებას, რომ ახალგაზრდობის პერიოდი ეს არის მღელვარებისა და სტრესის პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში. ამავე დროს არის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და იმედისმომცემი პერიოდი. ის ამტკიცებდა, რომ ამ პერიოდში უნდა მიეცეს ადამიანს შანსი მოსინჯოს თავი სხვადასხვა შესაძლო როლში და აწარმოოს ექსპერიმენტები. ეს მოსაზრება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერიკ ერიქსონის თეორიაშიც გაჟღერდა. მან

ახალგაზრდობის (მოზარდობის) ასაკი დაუკავშირა პრობლების წინაშე დგომას, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებაზე „თვითგარკეევა თუ არასწორი არჩევანი (მცდარი როლი)“. „თვითგარკვევა“ ნიშნავს იმას თუ საით მიდიხარ, მაგრამ თუ ვერ ახერხებ თვითგარკვევას მაშინ იბნევი და ვერ იგებ თუ რა შეგიძლია და რა უნდა აკეთო ცხოვრებაში. [ქერეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი. 2008: 423]

ძალიან ძნელია განისაზღვროს რომელ ასაკში ხდება ბავშვი ახალგაზრდა ადამიანად. ცნება „ახალგაზრდობა“ იმ ადამიანების სოციალურ პოზიციას აღწერს, რომლებიც ზემოქმედებენ მათ ბიოლოგიურ ასაკზე, თუმცა სულ მთლად ამით არ განისაზღვრება, მაგალითად, თუ ახალგაზრდობის დასასრულად აღვნიშნავთ მოზრდილი ადამიანის როლის თავის თავზე მიღებას (დაქორწინება, ბავშვის გაჩენა, სამსახური) მაშინ გამოვა, რომ ადამიანების ახალგაზრდობა მთავრდება სხვადასხვა ასაკში. მიჩნეულია, რომ ყველაზე კარგია ახალგაზრდობა განვიხილოთ დამოუკიდებლობა – დამოკიდებულების ტერმინებში. ბავშვები არიან დამოკიდებულნი, ხოლო მოზრდილები დამოუკიდებელნი. ახალგაზრდობა არის ტერმინი, რომელიც აღწერს ამ მოძრაობას დამოკიდებულებიდან დამოუკიდებლობისაკენ. ახალგაზრდა ადამიანები უფრო დამოუკედებლები არიან ვიდრე ბავშვები, თუმცა ზოგიერთ საკითხში ახალგაზრდები (მაგალითად, არსებობის საშუალებები) ჯერ კიდევ დამოკიდებულნი არიან უფროსებზე.

ახალგაზრდული ასაკის ქვედა და ზედა ზღვარს სხვადასხვა დისციპლინებში განსხვავებულად განიხილავენ. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ფრანგი მეცნიერი ფლურანსი ახალგაზრდულ ასაკად 20–30 წელს მიიჩნევდა. გერმანელი მეცნიერის მაქს რუბნერის აზრით, ეს იყო 15–20 წლის ასაკობრივი ჯგუფი, ამერიკელი დემოგრაფებისთვის კი 15–24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები ითვლებიან ახალგაზრდებად. ცნობილი რუსი დემოგრაფის ბ. ურლანისი ახალგაზრდულ ასაკად 16–24 წელს

მიიჩნევს, სოციოლოგი ლ. კოგანი 16–30 წელს. ვ. ბორიაზის აზრით, ის ფაქტი, რომ 16–30 წლის ჯგუფს ანიჭებენ ახალგაზრდულ ასაკად უპირატესობას არ ნიშნავს იმას, რომ იგი საფუძვლად დაედოს მეცნიერებააში, ხელოვნებასა და კულტურაში ახალგაზრდულ წლებს და ახალგაზრდობის ზედა ზღვარი შესაძლოა 40 წლამდე გაგრძელდეს. წიგნის „საქართველოს ახალგაზრდობა“ ავტორები ი. კოზირევი და ჯ. ბეთანელი კი მიიჩნევენ, რომ ქალთა ახალგაზრდული ასაკია 15–34, ხოლო ვაჟთა 15–39 წელი. ქართველი დემოგრაფი ა. სულაბერიძე ეხება, რა ახალგაზრდა თაობის ასაკის გააზრების საკითხს აღნიშნავს, რომ: „ჩვენ ახალგაზრდობა წარმოვადგინეთ, როგორც 0–29 წლის ასაკობრივი ჯგუფი, როგორც უახლოესი და ახალი თაობის ერთობლიობა. დემოგრაფიული კუთხით 0–14 და 15–29 წლის ასაკობრივი ჯგუფების გაერთიანება განპირობებულია იმითაც, რომ 15–29 წლის მოსახლეობის დემოგრაფიული, კერძოდ, რეპროდუქციული ქცევა ბევრადაა დამოკიდებული 5–14 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჩამოყალიბებულ რეპროდუქციულ ორიენტაციებზე, რაც საბოლოოდ შობადობის დონეს განსაზღვრავს.“ [ა. სულაბერიძე. 2017: 9–10]

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი წერდა: „ახალგაზრდობის“ ცნებას უპირატესად განსაზღვრავენ ასაკობრივი ნიშნით და გულისხმობენ 15-24 წლის ასაკის თაობას, მოსახლეობის ეს ჯგუფი მოქალაქეობრივი სრულწლოვანობისა და სქესობრივი სიმწიფის ფარგლებს, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია, ცხადია, არ ემთხვევა. სხვადასხვა საზოგადოებრივი აზრი და სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ახალგაზრდებად მიიჩნევს სხვადასხვა ასაკის, სოციალური ჯგუფის, ოჯახური, მორალური და სხვა მდგომარეობის თაობას. პ. გუგუშვილი თვლიდა, რომ ახალგაზრდობის რასობრივი, ნაციონალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ფსიქოლოგიური მდგომარეობის მრავალფეროვნების გამო, „ახალგაზრდობის“

ცნების (ტერმინის) უნივერსალური განმარტება ფრიად ძნელია. [პაატა გუგუშვილი. 1981: 20]

გ. წულაძე ახალგაზრდობას ახასიათებს, როგორც სოციალურ–დემოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც გამოყოფილია ასაკობრივი მახასიათებლების ერთიანობის, სოციალური მდგომარეობის თავისებურებების საფუძველზე და განპირობებულია მათი სოციალურ–ფსიქოლოგიური თვისებებით. მისი აზრით, ახალგაზრდობის კონკრეტულ ასაკობრივ საზღვრებს და მასთან დაკავშირებულ სოციალურ სტატუსსა და სოციალურ–ფსიქოლოგიურ თვისებებს გააჩნიათ სოციალურ–ისტორიული ბუნება და დამოკიდებულია საზოგადოებრივ წყობაზე, კულტურასა და სოციალიზაციის თავისებურებებზე. ახალგაზრდობის ქვედა საზღვარს განსაზღვრავენ 14–15 წლის ასაკით, ხოლო ზედას 25, 30 ან 35 წლით. [გ. წულაძე. 2012: 29]

გაეროს განმარტების თანახმად ახალგაზრდებს წარმოადგენენ 15–24 წლის ასაკის პირები. გაეროს სისტემაში, ახალგაზრდების ქვეჯგუფებთან მიმართებაში სხვა კონცეფციებიც გამოიყენება. გაეროს მოსახლეობის ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი გამოყოფს: მოზარდებს, ახალგაზრდებსა და ახალგაზრდა პირებს. ამ ორგანიზაციათა განმარტებების თანახმად მოზარდად მიიჩნევა 10–19 წლის ადამიანი; ახალგაზრდა პირად 10–24 წლის პირები, ხოლო 15–24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შემავალი პირები მიიჩნევიან ახალგაზრდებად. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრება, როგორც 14–29 წლის ასაკის პირი. [ფრენკ ილენსი, 2017: 2]

ახალგაზრდობისა და ახალგაზრდული ასაკის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების შეჯერებით, მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ – ახალგაზრდობა ეს არის სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი ბავშობისა და ზრდასრულობას შორის. რომელიც ხასიათდება სწრაფი ფიზიკური, შემეცნებითი და

სოციალური ცვლილებებით. ეს არის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების პერიოდი, ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების მომავალს და, ამასთან, ასახვას ჰპოვებს მთლიანად საზოგადოებაზე.

15 – 34 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა საშუალოდ საქართველოს მოსახლეობის 28,8%–ს შეადგენს.

ცხრილი 4. ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით (ათსი კაცი) პირველი იანვრის მდგომარეობით

წელი	15–19		20–24		25–29		30–34	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
2000	172.2	160.9	154.0	150.5	143.6	147.8	134.7	146.4
2001	170.3	158.3	151.9	147.3	140.3	143.8	131.8	143.4
2002	169.8	156.7	151.3	146.3	139.4	142.3	130.5	141.8
2003	169.4	155.9	151.6	146.2	139.0	141.3	129.9	140.2
2004	168.0	154.7	152.7	146.6	138.5	140.3	129.9	139.0
2005	166.6	153.6	154.6	147.8	138.1	139.4	129.9	137.6
2006	165.4	152.9	156.3	149.2	138.2	138.8	129.8	136.5
2007	163.2	151.3	157.2	149.6	138.7	138.6	130.0	135.7
2008	158.4	147.4	157.0	149.1	139.4	138.9	130.3	135.1
2009	150.4	139.9	154.5	141.7	139.4	138.6	129.1	133.6
2010	141.2	131.2	151.9	145.5	140.2	139.3	127.9	132.2
2011	131.8	121.9	149.8	144.2	140.8	140.0	127.2	131.1
2012	125.2	114.8	147.0	142.2	140.6	139.9	126.7	130.4
2013	122.3	111.0	142.7	138.4	140.5	139.5	127.3	130.8
2014	120.5	108.3	136.8	132.2	139.8	139.0	129.1	131.8
2015	118.5	105.6	129.8	124.4	138.9	138.6	131.8	133.8
2016	115.7	102.9	123.1	116.1	138.9	138.2	134.4	135.5
2017	112.3	99.9	118.6	109.7	138.2	136.7	136.1	136.1
2018	109.8	97.4	116.5	106.2	135.2	132.7	136.7	135.8

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

ცხრილში 4–ში შეყვანილია 30–34 წლის ასაკობრივი ჯგუფიც.

რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სხვადასხვა მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ ახალგაზრდობის ზედა ზღვართან დაკავშირებით. მაგრამ თუ ამ ჯგუფის გარეშე განვიხილავთ საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შედეგებს, მაშინ მივიღებთ ცხრილ 5–ში ნაჩვენებ შედეგს. სადაც მკაფიოდ ჩანს რომ 15–29 წლის ასაკის ახალგაზრდების რაოდენობამ 1989 წლის აღწერის მონაცემებით პიკს მიაღწია და 1. 300.636 კაცი შეადგინა. მას შემდეგ კი მათი რაოდენობა მცირდება. 2002 წელს ახალგაზრდების რაოდენობა წინა აღწერასთან შედარებით 1,3 – ჯერ შემცირდა და კიდევ იგივე მაჩვენებლით მოხდა შემცირება ბოლო აღწერის მონაცემებით, ანუ 2014 წელს 1,3–ჯერ შემცირდა ახალგაზრდების რიცხვი 2002 წელთან შედარებით. ამასთან, 1989 წელს 15–29 წლის ახალგაზრდები მთელი ქვეყნის მოსახლეობის 23,9 პროცენტს შეადგენდა. მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2014 წელს 20,7 პროცენტის ტოლი გახდა.

ცხრილი 5. ახალგაზრდების რაოდენობა საქართველოში აღწერის მონაცემების მიხედვით.

ასაკობრივი ჯგუფები	აღწერის ჩატარების წლები				
	1959	1979	1989	2002	2014
15–19	335 835	486 257	419 267	357 145	226 022
20–24	399 578	416 323	413 724	327 471	266 125
25–29	366 327	359 772	467 645	311 176	278 662

წყარო https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

ახალგაზრდობა იყოფა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად: მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტი ახალგაზრდობა, მუშა ახალგარდობა და სხვ. წარსულშიც და დღევანდელ საქართველოში სტუდენტი ახალგაზდები წარმოადგენენ წამყვან და განმსაზღვრელ ძალას. ისინი ყოველთვის აქტიურად იყვნენ და ახლაც არიან ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. თვალს თუ გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას სტუდენტთა აქტიურობის და ქვეყნის სასიკეთოთ განხორციელებული

ქმედებების მნიშვნელოვან არაერთ მაგალითს გავიხსენებთ. თუნდაც ქართულ ენასთან დაკავშირებული ფაქტი — 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს სტუდენტობამ და მათთან გაერთიანებულმა საზოგადოებამ, საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება არ მისცა ქართული ენისთვის წაერთმია სახელმწიფო ენის ისედაც დამცრობილი სტატუსი. სტუდენტები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს აქტიურობა გრძელდება დღესაც. ეს არის რევოლუციური ძალა, რომელიც მზად არის ცვლილებებისთვის.

საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებას ყოველთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. ასეა დღესაც. ყოველწლიურად საშუალოდ 36 ათასიდან 42 ათასამდე აბიტურიენტი აბარებს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდას. უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტები ქვეყნის ახალგაზრდების 14–15 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა 2. სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სახის მიხედვით



წყარო https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

ახალგაზრდობა, და მით უფრო, სტუდენტი ახალგაზრდობა არის ნებისმიერი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის და სხვა სფეროებში. დღეს ახალგაზრდების ფუნქციური როლი მდგომარეობს ცხოვრების სოციალური სისტემის უწყვეტ განახლებაში. სტუდენტი ახალგაზრდობა თავისი თავის ფორმირების პროცესში აქტიურად აღიქვამს ღირებულებებსა და ნორმებს, პასუხისმგებლურად პასუხობს სოციალურ სტიმულირებას, ცვლილებებს და, ხშირად, იწვევს იმპულსებს საზოგადოების განვითარების მიმართულებით.

სტუდენტი ახალგაზრდობა უახლოეს პერიოდში დაიკავებს წამყვან პოზიციებს სახელმწიფო მართვაში, სამეცნიერო და კულტურის კვლევებში და განსაზღვრავს ქვეყნის ხვალინდელ დღეს. როგორი იქნება ეს უკანასკნელი დიდადაა დამოკიდებული სწორედ ამ ახალგაზრდების მსოფლმხედველობაზე, ღირებულებებზე, ეროვნულობაზე. მომავლის პროგნოზირე-ბისათვის საჭიროა დღევანდილი დღის სრულყოფილი შესწავლა. ანუ სტუდენტი ახალგაზრდების ქცევის ნორმები, ღირებულებების, წარმოდგენების კვლევა.

როგორი იქნება საქართველოს ფიზიკური და კულტურული უწყვეტობა სწორედაც, რომ ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული. სოციოლოგი სტივ ბრიუსი წერს: თუ გვსურს გავიგოთ რას და რატომ სჩადიან ადამიანები, უნდა შევისწავლოთ მათი მოტივები, განზრახვები, და მსოფლმხედველობა. მაგრამ თუ გვსურს გავიგოთ რატომაა სამყარო ასეთი, როგორიც არის, ადამიანის ქვევის გაუთვალისწინებელ და უნებლიე შედეგებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. [სტივ ბრიუსი. 2018: 83]

სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაცია

უდაოა, ადამიანის არა მარტო როგორც მწარმოებლის, არამედ როგორც მომხმარებლის, როგორც საზოგადოების წევრის და ახალი საზოგადოების იდეალების მატარებლის მნიშვნელობა. ადამიანის „მე“ მრავალ განზომილებაში პოულობს ასახვას, მარამ, ეს უკანასკნელი, ყველაზე ადექვატურად მისსავე მსოფლმხედველობაში გამოიხატება. ეს არის პოზიცია სამყაროსა და სხვა ადამიანებისადმი. ადამიანის „მე“–ს ღირებულებები განსაზღვრავენ, რადგან მსოფლმხედველობა აგებულია ღირებულებით ორიენტაციაზე.

ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ჯემსი ადამიანის მსოფლმხედველობის აგებულებას ღირებულებით ორიენტაციაზე ამგვარად აღწერს: ოთახის გამქირავებლისთვის უფრო მნიშვნელოვანია იცოდეს მისი მდგმურის მსოფლმხედველობა, ვიდრე მისი ჯიბის მდგომარეობა, რადგან რამდენი ფულიც არ უნდა ჰქონდეს მდგმურს, თუ მისი მსოფლმხედველობა არ არის აგებული მოვალეობის პრინციპზე ის ქირას არ გადაიხდის, მაგრამ თუ მისი მსოფლმხედველობა აგებულია მოვალეობაზე, ფულის არ ქონის შემთხვევაშიც, შესაძლებელია, რომ იგი ვალს გადაიხდიდეს მაშინვე, როგორც კი ფულს იშოვის. [ე. კოდუა. 2001: 188–189]

საზოგადოებაში ადამიანი უმაღლესი ღირებულებაა და რადგან საზოგადოება უნდა წარიმართოს ჰუმანური გზით, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის შემეცნებას. ეს კი შეუძლებელია მისი ღირებულებების გარკვევის გარეშე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ვინაობას და მისგან მოსალოდნელ ქცევის ფორმებს სწორედ ის ღირებულებები განსაზღვრავენ რომელზეც ის ორიენტირდება. საორიენტაციო ღირებულებებს ადამიანის მოთხოვნილებანი, მიდრეკილებანი, ასაკი, მდგომარეობა, ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, გარემო და ის გლობალური თუ ლოკალური სიტუაციები განსაზღვრავენ, რომლებშიც მას უხდება ცხოვრება. ახალგაზრდობის აღზრდის

საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირებას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ცნებას „ღირებულება“. მას შეფასებითი მნიშვნელობით იყენებენ და მაშინ ხმარობენ როცა რაიმე საგანს, მატერიალურსა თუ იდეალურს, ან ინსტიტუტს, მნიშვნელოვან როლს მიაწერენ. ღირებულების ცნების განსაზღვრების მრავალი ვარიანტი არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ხაზს უსვამს ღირებულებას, როგორც წარმოდგენას სასურველის შესახებ, რომლის მიხედვითაც მოქმედებს ინდივიდი, ირჩევს მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს.

ღირებულებები და ღირებულებითი ორიენტაციები ყველა ეპოქასა და საზოგადოებაში არსებობდა, რადგან არ არსებობს კულტურა ღირებულების გარეშე. მაგრამ ღირებულებათა გააზრებას მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. მისი პიონერი იყო ლოტცე. XX საუკუნის სოცლიოლოგთა ფართო წრემ გააგრძელა ლოტცეს მიერ დაწყებული საქმე (პარსონსი, ბეკერი, კოლბი, ვილდენბანდი, რიკერტი, მაქს და ალფრედ ვებერები და სხვ.).

ღირებულებების კვლევა სოციალურ მეცნიერებათა უპირველესი ამოცანაა, რაც განპირობებულია თავად ღირებულებების მნიშვნელობით. ეს უკანასკნელი ღრმად გამჯდარი სტანდარტებია, რომლებიც განსაზღვრავს მომავალ ქმედებებს და ამართლებს წარსულში ნამოქმედარს. ესენი არიან პიროვნული, კულტურული და ისტორიული ფაქტებით განპირობებული წარმოდგენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდის ქცევაზე. სოციოლოგიაში, ღირებულებითი ორიენტაციები შეისწავლება, როგორც სოციალური სუბიექტების სოციალური ქცევის რეგულატორები. ღირებულებითი ორიენტაცია გამოიხატება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ისინი გვხვდებიან იდეალებში, მიზნებში, ინტერესებში და სოციალური სუბიექტის სხვა გამოვლინებებში.

ღირებულებები თანამედროვე სოციო–კულტურული განვითარების ერთგვარი ინდიკატორია. რომელიც, ერთი მხრივ, არსებულ მდგომარეობას გვიჩვენებს, მეორე მხრივ, კი წარმოდგენას გვიქმნის საზოგადოების განვითარების მოსალოდნელ ტენდენციებზე. ღირებულებითი სისტემები იქმნება და გარდაიქმნება საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალად და მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე ცვლილებებთან. სოციუმისათვის პრიორიტეტული ღირებულებები ასახავს ქვეყნის და საზოგადოების სოციალურ–ეკონომიკურ ვითარებას და, ამავე დროს, მათზე ზეგავლენასაც ახდენს.

ღირებულებითი ორიენტაციის გაგებაში მკვლევართა მხრიდან განსხვავებული დამოკიდებულებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი აღიარებს, რომ პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრავს პიროვნების მიმართულებას და პოზიციას საქმიანობის ამა თუ იმ ფორმისადმი. ასევე ერთსულოვანია მოსაზრება, რომ ღირებულებითი ორიენტაცია თამაშობს მთავარ როლს ადამიანის სოციალურ ქცევაში.

ღირებულებითი ორიენტაციის სტრუქტურა იყოფა სამ კომპონენტად: შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი. თითოეული მათგანი მონაწილეობს ღირებულებითი ორიენტაციის მახასიათებლების ფორმირებაში და ასევე დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვთ, როგორც შინაარსით ისე გამოვლენის ხარისხით. საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები აისახება ინდივიდის ცნობიერებაში, ამის საფუძველზე კი ხდება პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირება, რომელიც თავის მხრივ ძალიან რთული და მრავალფეროვანი შინაარსისაა. ადამიანის აღქმა შერჩევითია, პირველ რიგში იღებს განსაკუთრებით დამახასიათაებელ და მისთვის მნიშვნელოვნად ღირებულს.

ღირებულებითი ორიენტაციის სისტემა კომპლექსური სისტემისაა, რომლის კომპონენეტებიც კვალდაკვალ მიჰყვებიან საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტულ სახეს. ღირებულებითი ორიენტაციები შეესაბამება საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სახეს. ამდენად, პრაქტიკული კვლევები ღირებულებების შესახებ ყოველთვის აუცილებელი და აქტუალურია. ამგვარი კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ღირებულებათა გააზრებას მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. მეოცე საუკუნიდან კი ცნობილი ხდება კვლევის სხვადასხვა მეთოდიკა. იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი შ. შვარცი ღირებულებას განიხილავს როგორც ქცევის წარმმართველ ტრანსსიტუაციურ მიზანს, გამოყოფს ათ მოტივაციურ ტიპს და აჯგუფებს იმ ინტერესების მიხედვით, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მან გამოყო ინდივიდუალურ ინტერესებზე ორიენტირებული ღირებულებათა ჯგუფი – თვითორიენტაცია, სტიმულაცია, ჰედონიზმი, მიღწევა, ძალაუფლება; კოლექტიურ ინტერესებზე ორიენტირებული – კეთილგანწყობა, ტრადიციულობა, კონფორმულობა; შერეულ ინტერესებზე ორიენტირებული ჯგუფი – უნივერსალიზმი, უსაფრთხოება. ღირებულებები გაცნობიერებული მიზნების ფორმით პასუხობს სამ უნივერსალურ მოთხოვნას: ინდივიდის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის მოთხოვნილებებს; სოციალური მოთხოვნილების კოორდინაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ჯგუფების ნორმალური ფუნქციონირების და გადარჩენის მოთხოვნებს. ღირებულებათა ჩამოთვლილი ათი განსხვავებული ტიპი წარმოიშობა ამ სამი უნივერსალური მოთხოვნიდან.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორს მილტონ როკიჩის მიხედვით ღირებულება განისაზღვრება როგორც სასურველი ტრანსსიტუაციური მიზნები, რომელთა მნიშვნელობაც ვარირებს ადამიანთა ცხოვრების წამყვანი პრინციპებიდან

გამომდინარე. ღირებულებათა შორის განმასხვავებელი არის მოტივაციური მიზანი, რომელსაც ის გამოხატავს. მ. როკიჩის აზრით, ღირებულებები წარმოადგენს „ძირითად, მტკიცე რწმენას, რომლის მიხედვითაც, ქცევის ან არსებობის საბოლოო მდგომარეობის კონკრეტულ ფორმას, სხვა, საპირისპირო ქცევის წესთან ან არსებობის საბოლოო მდგომარეობასთან შედარებით, პიროვნულად ან სოციალურად ენიჭება უპირატესობა. [Rokeach M; 1973: 5] როკიჩმა ჩამოაყალიბა ადამიანის სოციალური ღირებულებების კონცეფცია, რომელიც შედგება შემდეგი დებულებებისაგან:

– ღირებულებათა რიცხვი დიდი არ არის (ის დაახლოებით 30–მდეა);

– ყველა ადამიანს გააჩნია ერთი და იგივე ღირებულებები, თუმცა მათი მნიშვნელობა ყველასთვის ინდივიდუალურია;

– ღირებულებები დალაგებულია იერარქიის მიხედვით;

– პიროვნების ღირებულებები სათავეს იღებს იმ კულტურიდან, იმ საზოგადოებიდან, რომლის წარმომადგენელიც თავად არის.

მ. როკიჩი განასხვავებს ღირებულებათა ორ კლასს: ტერმინალურსა და ინსტრუმენტულს. ტერმინალური ღირებულებები ეს არის არსებობის საბოლოო მდგომარეობა, ის მიზნები რისი მიღწევაც სურს ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე. ტერმინალური ღირებულებები განსაზღვრავენ იმის რწმენას რომ ინდივიდუალური არსებობის საბოლოო მიზნისთვის ღირს სწრაფვა.

როკიჩისეული ინსტრუმენტული ღირებულებები ეს არის ქცევის სასურველი მანერა, ანუ ტერმინალური ღირებულებების მიღწევის საშუალებები. ინსტრუმენტული ღირებულებები იმის რწმენაა, რომ რომელიმე თვისებები ან ქმედებები უპირატესობას წარმოადგენს ნებისმიერ სიტუაციაში. [Rokeach M; 1972: 73, 102]

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად შეიცვალა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემო. რამაც, ბუნებრივია, ასახვა ჰპოვა

პიროვნებისა თუ სოციალური ჯგუფების ღირებულებათა სისტემაზე. ამგვარი ტრანსფორმაცია, პირველ რიგში, მოზარდი თობის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე აისახება. ღირებულებითი ორიენტაციის, როგორც ერთიანი ფსიქოლოგიური სტრუქტურის ფორმირება ხდება ადრეული მოზარდობის და გვიანი მოზარდობის შუა პერიოდში. მაშასადამე, სტუდენტებში ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირება დასრულების ფაზაშია. სწორედ ამან განაპირობა დიდი ინტერესი სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაციის შესწავლისადმი. როგორია თანამედროვე ახალგაზრდების ღირებულებათა სისტემა? როგორი ღირებულებების, უნარ–ჩვევებისა და კომპეტენციების მქონენი არიან ადამიანები, რომლებიც უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის იმოღვაწებენ? ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი საკითხია და მუდმივი კვლევის საგანიც.

გასული საუკუნის მიწურულიდან დღემდე დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფების ღირებულებების კვლევაში. ამ ხნის მანძილზე მრავალი კვლევა იქნა ჩატარებული. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობოდა სტუდენტი ახალგაზრდების კვლევას. არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა ჩავატარეთ ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის მიზანიც იყო სტუდენტთა განწყობების, დამოკიდებულებების, ღირებულებითი ორიენტაციების შესწაცლა.[4] ღირებულებითი ორიენტაციების შესწავლა მოვახდინეთ როგორც უცხოელი ისე სამამულო მეცნიერების მეთოდიკით.

---

[4] მონოგრაფიაში გამოყენებულია ყველა იმ კვლევის შედეგები, რომლებიც ჩატარდა ჩვენი ინსტიტუტის თაოსნობით და ჩვენი უშუალო მონაწილეობით. სოციოლოგიური გამოკვლევების ყველა კითხვარი ჩვენს მიერ იყო შედგენილი და გამოკვლევაშიც უშუალო მონაწილეობა გვაქვს მიღებული. გამოკვლევები ჩატარდა 2004, 2010, 2014, 2016, 2017 წლებში

ღირებულებათა შეფასება შეიძლება ორი ძირითადი თვისების მიხედვით. ესაა: შინაარსი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქცევის მანერა, ან არსებობის საბოლოო მდგომარეობა ზოგადად მნიშვნელოვანია, და ინტენსიურობა, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნებისათვის ესა თუ ის ღირებულება.

ქ. თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის 1200 სტუდენტის ღირებულებითი ორიენტაციები შევისწავლეთ მ. როკიჩის მეთოდიკით. რესპონდენტებს ცალ–ცალკე უნდა ამოერჩიათ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი, მეორე და მესამე მნიშვნელობის ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებები. საბოლოოდ კი უნდა მოეხდინათ შერჩეული პოზიციების გაერთიანება. თითოეულ სიაში სამი, ანუ სულ ექვსი აღნიშნული ღირებულებიდან აერჩიათ სამი მნიშვნელოვანი და მოეხდინათ მათი რანჟირება.

ტერმინალური ღირებულებების თვრამეტი დასახელებიდან სტუდენტებისათვის რიგით პირველ – ყველაზე მნიშვნელოვან სამეულში პირველი, მეორე და მესამე ადგილი დაიკავა ღირებულებებმა: ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, ჯანმრთელობა და თავისუფლება. ჩვენ საზოგადოებაში ტრადიციულად ოჯახს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ის იყო ერთგვარი საზომი პიროვნებისა. მიიჩნეოდა, რომ თუ ადამიანს კარგი ოჯახი ჰქონდა, ღირსეული პიროვნება იყო. თანამედროვეობაშიც არ დაუკარგავს ოჯახს თავისი მნიშვნელობა. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება კვლავ უმნიშვნელოვანესია. ბედნიერი ოჯახური ცხოვრების მოტივაციური მიზანია ჰარმონია და სტაბილურობა ოჯახურ ურთიერთობებში. ის წარმოიშობა ბაზისური ინდივიდუალური მოთხოვნილებიდან.

მეორე ადგილზე დასახელებული ღირებულება – ჯანმრთელობა – ასევე ბაზისური ინდივიდუალური მოთხოვნილებიდანაა წარმოშობილი. ეს არის უსაფრთხოების ტიპის ღირებულება, რომელიც ემსახურება უფრო მეტად ინდივიდუალურ ინტერესებს.

მესამე ადგილზე დასახეებული ღირებულება –თავისუფ-ლება – თვითორიენტაციის ღირებულებაა. მისი განმსაზღვრელი მიზანია დამოუკიდებელი ფიქრი და მოქმედება, დამოუკიდებელი არჩევანი.

ცხრილი 6. სტუდენტთა ტერმინალური ღირებულებების განაწილება რიგითობის მიხედვით

ტერმინალური ღირებულებები	რიგით		
	პირველი	მეორე	მესამე
აქტიური და სრული ემოციური ცხოვრება	88	14	25
ბედნიერი ოჯახური ცხოვრება	323	138	79
ბუნების სილამაზე და ხელოვნება	27	13	20
გართობა	75	47	19
თავისუფლება	133	105	44
კარგი და ერთგული მეგობრები	40	112	58
მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება	71	161	109
პროდუქტიული ცხოვრება	20	39	37
საზოგადოებრივი აღიარება	10	26	34
საინტერესო სამუშაო	15	56	50
საკუთარი თავის განვითარება	37	81	81
საკუთარი თავის რწმენა	17	41	37
სიყვარული	49	124	147
სხვა ადამიანების ბედნიერება	4	8	21
შემეცნება	1	11	22
შემოქმედება	5	8	18
ცხოვრებისეული სიბრძნე	7	13	27
ჯანმრთელობა	196	121	290

ტერმინალური ღირებულებების უმნიშვნელოვანეს სამეულში სტუდენტებმა დაასახელეს ბაზისური ინდივიდუა-ლური მოთხოვნილებიდან წარმოშობილი ღირებულებები და ასევე თვითორიენტაციის ღირებულება. სამივე დასახელებული: ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, ჯანმრთელობა და თავისუფლება ეს ის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია, რისთვისაც

სტუდენტთა აზრით ღირს სწრაფვა, რისი მიღწევაც სურთ მათ სიცოცხლის მანძილზე.

ცხრილი 7. სტუდენტთა ინსტრუმენტული ღირებულებების განაწილება რიგითობის მიხედვით

ინსტრუმენტული ღირებულებები	რიგით		
	პირველი	მეორე	მესამე
აკურატულობა	83	6	10
განათლებულობა	456	99	71
გულმოდგინება	33	14	11
დამოუკიდებლობა	147	126	61
ზრდილობიანობა	81	146	36
თვითკონტროლი	41	81	27
მაღალი მოთხოვნები	10	43	22
მზრუნველობა	18	64	39
ნებისყოფა	34	83	79
პასუხისმგებლიბა	65	142	129
პატიოსნება	67	112	137
რაციონალიზმი	10	19	55
საკუთარი და სხვათა ნაკლის მიმართ შეურიგებლობა	2	12	25
საქმეში ეფექტიანობა, შრომის-მოყვარეობა, შრომაში პროდუქტიულობა	22	69	103
სითამამე და საკუთარი აზრისა და შეხედულებების გატანა – დაცვა	10	32	87
სიცოცხლის ხალისიანობა	29	48	134
შემწყნარებლობა	8	13	43
შეხედულებათა სიფართოვე	2	9	49

ინსტრუმენტული ღირებულებების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ სტუდენტებისათვის რომელი თვისება ან ქმედება წარმოადგენს უპირატესს ნებისმიერ სიტუაციაში. უმნიშვნელოვანესი – პირველი რიგის ღირებულებებში სტუდენტებმა დაასახელეს განათლებულობა, დამოუკიდებლობა

და აკურატულობა. ეს არის ის სამი თვისება რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ სტუდენტები. ისინი ხაზს უსვამენ განათლებულობას, დამოუკიდებლობას და აკურატულობას, რაც, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მათთვის არამედ მთელი საზოგადოებისათვის.

რიგითობით დასახელებულ ღირებულებების ჩამონათვალში საკმაოდ დაბალია შემწყნარებლობის და შეხედულებათა სიფართოვის მაჩვენებელი, რაც დამაფიქრებელია. ადამიანები ყოველდღიურად კონტაქტში შედიან სხვა ადამიანებთან, დიდ ჯგუფებთან. მათი მიუღებლობით და განსჯით კი საკუთარ კეთილდღეობას ჩიხში აქცევ. დაბალია ასევე რაციონალიზმის მაჩვენებელი. სტუდენტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ გონიერებას, ნებიყოფას და თვითკონტროლს.

ყოველდღიურ ურთიერთობებში ხდება გარშემომყოფი ადამიანების კეთილგანწყობის – ზრუნვის – ღირებულებების ფოკუსირება, იმ ადამიანების კეთილდრეობის დაცვა–გაძლიერება რომელთანაც მუდმივი კონტაქტი გაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ მზრუნველობას სტუდენტები არც თუ მაღალ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სტუდენტებმა საბოლოო ჯამში მოახდინეს ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებებიდან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამის არჩევა და რანჟირება. პირველი რიგის მნიშვნელობის ღირებულებათა ხუთეულში მოხვდა: ჯანმრთელობა (273), ბედნიერი ოჯახური ცხოვრება (199), თავისუფლება (105), მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება (83), სიყვარული (82).

მეორე რიგის მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამონათვალშია: ჯანმრთელობა (159), განათლებულობა (141), ბედნიერი ოჯახური ცხოვრება (105), მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება (99) და სიყვარული (80). ხოლო სტუდენტებისთვის მესამე რიგის ღირებულებებია:

განათლებულობა (139), ჯანმრთელობა (78), პატიოსნება (73), სიცოცხლის ხალისიანობა (68), საქმეში ეფექტიანობა, შრომისმოყვარეობა, შრომაში პროდუქტიულობა (63). მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ როდესაც სტუდენტებმა გააერთიანეს მათ მიერ შერჩეული პოზიციები უპირველესი აღმოჩნდა ჯანმრთელობა, თავისუფლება და ბედნიერი ოჯახური ცხოვრება. ესენია ის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, რისთვისაც სტუდენტთა აზრით ღირს ცხოვრებაში სწრაფვა.

ამრიგად, როკიჩის მეთოდიკით სტუდენტთა ღირებულებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მათთან უმთავრესი ადგილი უკავია ბაზისურ ინდივიდუალურ მოთხოვნილებებიდან წარმოშობილ ღირებულებათა ტიპს. სტუდენტებში ბედნიერი ოჯახური ცხოვრება უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. მისი მოტივაციური მიზანია ჰარმონია და სტაბილურობა ოჯახურ ურთიერთობებში. ის წარმოიშობა ბაზისური ინდივიდუალურ მოთხოვნილებიდან და პირველი ადგილი უჭირავს სტუდენტთა ღირებულებით ორიენტაციაში. სტუდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯანმრთელობას, რომელსაც მეორე ადგილი უკავია ღირებულებათა სისტემაში. ის ემსახურება უფრო მეტად ინდივიდუალურ ინტერესებს. რადგან ღირებულებითი სისტემა არეგულირებს პიროვნების ქცევას, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუდენტების ქცევა მიმართული იქნება ჯანმრთელობაზე ზრუნვისაკენ. ვინაიდან ადამიანის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავსს მისივე ცხოვრების წესი, სავარაუდოდ, ახალგაზრდებმა ჯანსაღი ცხოვრების წესი უნდა აირჩიონ. ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხების შესწავლას სტუდენტებში ჩვენმა ინსტიტუტმა სპეციალური კვლევა მიუძღვა. ამ საკითხებს შემდეგ თავში შევეხებით.

დადებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ თავისუფლებას,

დამოუკიდებლობას. მათთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ფიქრი, მოქმედება, შემოქმედება, დამოუკიდებელი არჩევანი. თავისუფლება, ეს უპირველეს ყოვლისა, არის არჩევანის თავისუფლება. ეს ღირებულება მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდებისთვის არ არის მნიშვნელოვანი. ის ერთ–ერთი მნიშვნელოვან ღირებულებად არის აღიარებულია ამერიკაში, რომელსაც დღემდე არ დაუთმია მოწინავე პოზიციები. ამერიკის ღირებულებებს მხოლოდ იმიტომ შევეხებით, რომ ამერიკა ითვლება მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ სახემწიფოდ. ჩვენ კი ამგვარი სახელმწიფოს აშენებაზე გვაქვს პრეტენზია. ამიტომ საინტერესოა რომელ ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას იქ და მნიშვნელოვანია თუ არა ჩვენი ახალგაზრდებისთვის იგივე ღირებულებები.

რობიმ უილიამსმა (1960) გამოყო ათი ღირებულება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ამერიკაში და წარმოადგენს ამერიკული ცხოვრების ბირთვს:

– თანასწორი შესაძლებლობა. აშშ–ს მოსახლეობა დადებითად აფასებს არა თანასწორ მდგომარეობას, არამედ თანასწორ შესაძლებლობას, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველი საზოგადოება უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული ინდივიდისთვის შანსს, რომ მათ საკუთარი ტალანტისა და ძალისხმევის შესაფერის წარმატებას მიაღწიონ.

– მიღწევა და წარმატება,. ამერიკული ცხოვრების წესი აღძრავს შეჯიბრის სურვილს, რომლის წყალობითაც ადამიანი იღებს პერსონალური დამსახურების შესაფერის ანაზღურებას. უფრო მეტიც, წარმატება ანიჭებს ადამიანს საკუთარი თავის მნიშვნელობას – მოსავს მას გამარჯვებულის მანტიით.

– მატერიალური კომფორტი. აშშ–ში წარმატების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მიიღო ფული და ამით კმაყოფილება. თუმცა ხანდახან შეიძლება გაიგო, რომ

„ბედნიერებას ვერ იყიდი“. ამერიკელების უმეტესობა ერთმნიშვნელოვნად აგრძელებს სწრაფვას შეძლებულობისაკენ.

– შრომა და აქტიურობა. ამერიკაში პოპულარული გმირები, დაწყებული არქეოლოგ ინდიანა ჯონსით და დამთავრებული გოლფის ჩემპიონით – თაიგერ ვუდსით, წარმოადგენენ „საქმოსნებს“, რომლებსაც ჩანაფიქრი ბოლომდე მიჰყავთ. ამერიკულ კულტურაში ღირებულებები არ არის რეფლექსია და არც საკუთარი ბედის პასიური მიღება, არამედ მოქმედება და მოვალეობის კონტროლია.

– პრაქტიკულობა და ეფექტურობა. ამერიკელები თეორიაზე მეტად პრაქტიკას აფასებენ, ანუ ოცნებაზე მეტად მოქმედებას ანიჭებენ უპირატესობას. მათთვის საქმიანობა იმდენადაა ღირებული რამდენადაც ის იძლევა ფულის გამომუშავების საშუალებას. მშობლები თავის შვილებს ასწავლიან, რომ “მთავარი არის ის, რაც დაგეხმარება სამსახურის შოვნაში“

– პროგრესი. ამერიკელები ოპტიმისტები არიან. სწამთ, რომ აწმყო წარსულზე უკეთესია. მიესალმებიან პროგრესს, რადგან მას „ახალთან და „სასურველთან’ აიგივებენ.

– მეცნიერება. მეცნიერებისა და მოწინავე ტექნოლოგიებისაგან ამერიკელები მოელიან პრობლემის გადაწყვეტას და ცხოვრების გაუმჯობესებას. ისინი თავს მიიჩნევენ რაციონალურ ადამიანებად, რითაც აიხსნება ამერიკული კულტურის ერთ–ერთი ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებით მამაკაცებში შეიმჩნევა — ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ემოციას და ინტუიციას, როგორც შემეცნების წყაროს.

– დემოკრატია და თავისუფალი მეწარმრობა. ამერიკელები აღიარებენ პიროვნების უფლებებს. თვლიან, რომ ისინი არ უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან გათელილი. ამერიკელთ აზრით, სამართლიანი პოლიტიკური სისტემა დაფუძნებული უნდა

იყოს თავისუფალ არჩევანზე და ეკონომიკაზე. თავისუფალი არჩევანის საშუალებით უფროსები ირჩევენ თვიანთ ლიდერებს, ხოლო თავისუფალი ეკონომიკა რეაგირებს ცალკეული მომხმარებლის უპირატესობის მინიჭებაზე.

– თავისუფლება. ამერიკელები თავისუფლებაში გულისხმობენ იმას, რაც ინდივიდუალურ ინიციატივაში იძენს უფრო მეტ მნიშვნელობას, ვიდრე კოლექტიურ კონფრომიზმში. თუმცა მათ კარგად იციან, რომ თითოეულს აქვს თავისი ვალდებულება სხვების მიმართ. ისინი თვლიან, რომ ადამიანები უნდა იყვნენ თავისუფალნი პერსონალური ღირებულების დაცვაში და სახელმწიფოს ჩარევა უნდა იყოს მინიმალური.

– რასიზმი და ჯგუფური უპირატესობა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს აქვთ მკაცრი წარმოდგენა ინდივიდუალიზმსა და თავისუფლებაზე. მათი უმეტესობა მაინც აგრძელებს ადამიანების შეფასებას გენდერული, რასობრივი, ეთნიკური და კლასობრივი მიკუთვნებულობით. საერთოდ ამერიკის კულტურაში მამაკაცები დგანან ქალებზე მაღლა, თეთრკანიანები – შავკანიანებზე, მდიდრები – ღარიბებზე, სამხრეთ და დასავლეთ ევროპული წარმოშობის ადამიანები სხვა მხარეებიდან ჩამოსულებზე. თუმცა ამერიკელები უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე ილაპარაკონ, როგორც თანასწორი ნაციის წარმომადგენლებზე. ნაკლებად თუ ვინმე ეჭვობს, რომ „ზოგიერთი ჩვენთაგანი უფრო თანასწორია ვიდრე სხვა“. [Масионис ДЖ. 2004: 110-111]

ამერიკული ღირებულებების შესახებ მნიშვნელოვანი კვლევები იქნა ჩტარებული დევიდ რისმანის, ნათან გლეიზერის, რუელ დენნის (1950) და დენიელ ბელის (1975) მიერ. რისმანისა და მისი კოლეგების თანახმად ამერიკაში მეოცე საუკუნის შუახანებიდან შეიმჩნევა ტრადიციული „შინაგანი პრინციპებისაგან“ (თვითკონტროლი, პასუხისმგებლობის გრძნობა)

ჩამოშორება და სხვა მიმართულებით სწრაფვა (წარმატება, მაღლი პრესტიჟი). შესაბამისად გაიზარდა ინტერესი შემლების, მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის და არა შემოქმედებითი საქმიანობისაკენ სწრაფვისადმი. ნეილ სმელზერი ახასიათებს ამერიკული ღირებულებების ცვლილებას მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, როცა მთავარ ღირებულებად ითვლებოდა საქმიანი წარმატების მიღწევა. 50–იან წლებში კი მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკური აყვავებისაკენ სწრაფვა. უფრო მოგვიანებით ტრადიციულ ღირებულებებში ეჭვის შეტანა დაიწყეს. თუმცა სმელზერი თვლის, რომ ყველა ღირებულება არ განიცდის ცვლილებას. ამერიკელები ერთგულები რჩებიან ისეთი ღირებულებებისადმი, როგორიცაა პირადი წარმატებისაკენ სწრაფვა, ოპტიმიზმი, შეუპოვარი შრომა. მისი აზრით ამ ღირებულებებს არ ემუქრებათ ცვლილება, რადგან მყარად აქვთ დამკვიდრებული ადგილი ამერიკულ საზოგადოებაში და გამოხატავენ მათი ცხოვრების არსს. [Смелзер Н. 1994: 64]

ღირებულებათ სისტემა ყალიბდება და ვითარდება კულტურის ფარგლებში მათი ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია. ის სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე. ყოველი ერთობის კულტურაში მიღებულია ღირებულებათა გარკვეული სისტემა და იერარქია. გლობალიზაციის პროცესი, რომელიც მოიცავს გლობალურ ეკონომიკას, გამარტივებულ კომუნიკაციას და მიგრაციის მაღალ დონეს, სულ უფრო და უფრო უწყობს ხელს და აძლიერებს კულტურათა დაახლოებას, საზოგადოებებში განსხვავებული ღირებულებებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას და ღირებულებათა სისტემის შეცვლასც კი.

გასული საუკუნის ბოლოდან ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლიბა და დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. გადავიდა რა საბაზრო ეკონომიკაზე, ფაქტიურად ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო. მართალია, ახალი

დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას ბევრი პრობლემა და წინააღმდეგობა შეხვდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე გადაუჭრელია, მაგრამ ჩაკეტილი სივრციდან გასვლამ ჩვენს კულტურაში თანდათან შემოიტანა ის ღირებულებები, რომლებიც ადრე მიუღებელი და უცხო იყო. ერთ–ერთი სოციოლოგიური გამოკვლევა რომელიც 2010 წელს ჩატარდა ელგუჯა მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით და ჩვენი უშუალო მონაწილეობით, ემსახურებოდა საქართველოს სტუდენტების დამოკიდებულებას იმ ღირებულებებისადმი, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკული ცხოვრების ბირთვს. საინტერესოა, მაშინ როცა ძალიან მოგვწონს ეს ქვეყანა, იქაური ცხოვრების სტილი, ის წარმატებები რომელსაც მან მიაღწია, ჩვენ ვიღებთ თუ არა იგივე ღირებულებებს, რასაც იქ აფასებენ და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რამაც განსაზღვრა ამ ზესახელმწიფოს დღევანდელი სახე და რაც მათი ცხოვრების ბირთვს წარმოადგენს.

სტუდენტთა მოსაზრებით ჩვენს საზოგადოებაში დიდი პრესტიჟით სარგებლობს ისეთი ღირებულებები როგორიცაა: პირადი წარმატებისაკენ სწრაფვა (67,5%), ძვირად ღირებული ნივთებისაკენ სწრაფვა (62,7%). პირადი წარმატება და მატერილური კომფორტი არის ამერიკელთა მნიშვნელოვანი ღირებულებები, მათი ცხოვრების წესი. ოღონდ ისინი ამ ღირებულებებთან ერთად ასევე მნიშვნელოვნად აფასებენ თავდადებულ შრომას. მათთვის სწორედ თავდადებული შრომაა წინაპირობა წარმატებული ცხოვრებისა და მატერიალური კომფორტის. ჩვენი სტუდენტების შეფასებით ქართული საზოგადოება მკვეთრად განსხვავდება ამ კუთხით ამერიკული საზოგადოებისაგან, რადგან, როგორც სტუდენტები აფასებენ, ჩვენთან დიდია პირადი წარმატებისა და ფუფუნებისაკენ სწრაფვა, მაგრამ დაბალია ამის მიღწევისათვის ერთ–ერთი აუცილებელი პირობის – თავდადებული შრომისადმი დამოკიდებულება. მათი შეფასებით თავდადებული და შეუპოვარი შრომა იმდენად არ არის

მოწონებული ჩვენს საზოგადოებაში, რომ 3,6–ჯერ ჩამორჩება პირადი წარმატებისაკენ სწრაფვას და 3,4–ჯერ ფუფუნებისადმი სწრაფვას.

დიაგრამა 3. ზოგიერთი ღირებულებისადმი ჩვენს საზოგადოების დამოკიდებულების შეფასება სტუდენტთა მიერ (%)



* ეთნიკური, რელიგიური, გენდერული

სტუდენტები მიიჩნევენ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ის მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომლებიც განაპირობებენ თითოეული ადამიანის და მთლიანი საზოგადოების წარმატებას არ არის აღიარებული და პრესტიჟული. მათი აზრით ჩვენი საზოგადოება ისწრაფვის პირადი წარმატებისა და ფუფუნებისაკენ, თუმცა ნაკლებად აფასებს მეცნიერებას და პროგრესს. ნაკლებად ახასიათებს დროის რაციონალური გამოყენება, თავდადებული და შეუპოვარ შრომა.

სტუდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ თანატოლების დამოკიდებულება იგივე ღირებულებებისადმი, რითაც მოახდენეს მთლიანად საზოგადოების შეფასება. პირადი წარმატებებისაკენ სწრაფვა, რესპონდენტთა შეფასებით, თანაკურსელთა უმეტესობისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა წარმატების

მთავარი პირობა – შეუპოვარი შრომა მხოლოდ უმცირესობისთვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეცნიერული საქმიანობა მხოლოდ სტუდენტთა მცირე ნაწილისთვის არის ღირებული. რაც შეეხება პროგრესს, ეფექტიანობასა და სარგებლიანობას ისინი მხოლოდ სტუდენტთა ნახევრისთვის არის მნიშვნელოვანი. ის ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ პრობლემების გადაწყვეტას, ცხოვრების გაუმჯობესებას რესპონდენტთა შეფასებით მათ თანატოლებში ნაკლებადაა აღიარებული.

რესპონდენტები სუბიექტურები არიან საკუთარი თავის შეფასებაში. ისინი დადებითად აფასებენ თავიანთ დამოკიდებულებას პირადი წარმატებებისაკენ სწრაფვაში. მათი უმეტესობა თვლის, რომ არის ოპტიმისტი, აქვს მომავლის რწმენა, მიესალმება პროგრესს და დადებითად არის განწყობილი მეცნიერებისადმი. რესპონდენტები, როდესაც აფასებდნენ ქართული საზოგადოების და თანატოლების დამოკიდებულებას ფუფუნებისადმი, აღნიშნავდნენ, რომ მისდამი სწრაფვა მაღლია, მაგრამ, როცა უნდა შეეფასებინათ ამ კუთხით საკუთარი თავი, მაშინ საპირისპირო შეფასება გააკეთეს. ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ ფუფუნებისაკენ სწრაფვისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ანუ, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით ფუფუნებისადმი სწრაფვა მნიშვნელოვანია სხვისთვის და არა თავად მისთვის. თუ ამ მონაცემს შევადარებთ მ. როკიჩის მეთოდიკით შესწავლილი ღირებულებების შედეგებს, სადაც მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება იყო ტერმინალურ ღირებულებებში დასახელებული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდებისთვის ფუფუნებისადმი სწრაფვა არ არის დამახასიათებელი, მით უფრო, რომ, დამეთანხმებით, ფუფუნებაში ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება, რომელიც ინტენსივობის მიხედვით პირველ რიგში დაასახელა 71 სტუდენტმა, მეორე რიგში 161 და მესამე რიგში 109.

ცხრილი 7. სტუდენტთა დამოკიდებულება ზოიერთი ღირებულებისადმი

	დადებითი	უარყოფითი	არ უპასუხა
პირადი წარმატებისაკენ სწრაფვა	98,4	1,6	0,0
მომავლის რწმენა	98,6	1,4	0,0
შეუპოვარი შრომა	67,6	14,8	17,6
ფუფუნებისადმი სწრაფვა	41,2	58,8	0,0
მეცნიერება	85,6	12,0	2,4
პროგრესი	91,8	8,1	0,1
პიროვნული თავისუფლება	97,7	2,0	0,3

ახალგაზრდებში პირადი გამდიდრებისაკენ ორიენტაციის საკითხი შესწავლილია აკადემიური პროექტით „ევროპის სოციალური კვლევა“. ამ კვლევის მიზანი იყო იმ ცვლილებების შეცნობა და აღწერა რომელიც მიმდინარეობს ახალ საუკუნეში ევროპის ქვეყნებში. კვლევის შედეგების მიხედვით გაკეთებულია დასკვნა, რომ ახალგაზრდების ღირებულებათა სისტემაში სიმდიდრე იკავებს შედარებით მაღალ პოზიციებს იმ ქვეყნებში, რომლებიც, ევროპული გაგებით, ითვლება შედარებით ღარიბად. მაშინ როცა, მდიდარ და აყვავებულ ქვეყნებში (შვედეთი, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ნორვეგია) ახალგაზრდების მხოლოდ 13-14% არის ორიენტირებული პირადი გამდიდრებისათვის. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი არის ფინეთში - 10%. შესწავლილ 28 ქვეყანას შორის ახალგაზრდებში გამდიდრების სურვილმა რუსეთში დაიკავა მეოთხე ადგილი (47%), ლატვიის (54%), თურქეთის (53%) და საბერძნეთის (48%) მერე. ამასთან, რუსეთის მონაცემები მხოლოდ მეათედით განსხვავდება ისრაელის მონაცემებთისგან. [Синельников А.Б. 2011: 145-158]

პიროვნული, ანუ პირადი თავისუფლება, უზრუნველყოფს პირის თავისუფალ არჩევანს, რომელიც ყოველთვის როდია სისტემურ-საგანმანათლებლო კომპონენტებში დადებითი,

საზოგადოებრივად მიღებული. იმ შემთხვევაში როცა პირი თავისუფალია ნებისმიერი შეზღუდვებისაგან, მაშინ ამან შეიძლება მიგვიყვანოს სოციალიზაციის ასოციალური მოდელის ფორმირებამდე.

ღირებულება ყველასთვის ერთნაირი არ არის და არც შეიძლება იყოს. ინდივიდთა გარკვეული ჯგუფისთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს ფული, მეორისთვის მეცნიერული ცოდნა ან ხელოვნების ქმნილება, ან პოლიტიკური მიზნები, ან მორალური ნორმები და ა.შ. ჩვენი რესპონდენტი სტუდენტებისთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს მომავლის რწმენა, პირადი წარმატებისაკენ სწრაფვა და პიროვნული თავისუფლება.

ოპტიმიზმი საკუთარ მომავალთან დაკავშირებით განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვისაა დამახასიათებელი. ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ–ერთი კვლევის შედეგები, სადაც ოპტიმიზმის ყველაზე მაღლი მაჩვენებელი, სწორედ რომ, ახალგაზრდებმა აჩვენეს. 15–34 წლის ასაკობრივი ჯგუფი 1,1–ჯერ აღემატება მომავლის რწმენით 35–54 წლის ასაკობრივ ჯგუფს და 1,3–ჯერ 55 და მეტი წლისას.

ცხრილი 8. ოპტიმიზმი საკუთარ მომავალთან დაკავშირებით, %

ასაკობრივი ჯგუფი	ოპტიმიზმი	პესიმიზმი	არ ვიცი
15–34	82	13	5
35–54	76	22	2
55 და მეტი	65	30	5

წყარო: ყოველწლიური კვლევის ანგარიში: საქართველო EEAS —მეორე ტალღა (2017 წლის გაზაფხული)[5]

[5] 2017 წლის მარტიდან მაისის ჩთვლით აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვს ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) ჩატარდა ყოველწლიური კვლევების მეორე ტალღა. კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ღია მეზობლობა – კომუნიკაცია უფრო ძლიერი პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად: აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში მოქალაქეებთან კავშირის დამყარება“ (‘EU NEIGHBOURS east’) ფარგლებში.

გასული საუკუნის ბოლოს ე. მენაბდიშვილმა შ. ნადირაშვილთან ერთად შექმნა მკვლევართა ჯგუფი, რომელმაც იმუშავა მნიშვნელოვანი ღირებულებების განსაზღვრაზე საქართველოში მცხოვრებ ცალკეულ ეროვნებებში. მკვლევარები დაეყრდნენ სპეციალურ გამოკვლევას, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეროვნებების კვალიფიციურ სპეციალისტებში (პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, იურისტები, კულტურის და ხელოვნების მუშაკები) ჩატარდა. მათ 50 ღირებულებიდან ამოარჩიეს საკუთარი ეთნოსისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი 24 ღირებულება. ქართველებისათვის ეს ღირებულებებია: თავისუფლება, კაცთმოყვარეობა, ეროვნული კულტურა, მშობლიური ენა, სამშობლო, მეგობრობა, პატიოსნება, ოჯახი, რელიგია, ნათესაობა, კანონი, შრომა, განათლება, ზნე-ჩვეულება, მეცნიერება, ხელოვნება, წინაპრები, მეზობლობა, მრავალშვილიანობა, ქალის პატივისცემა, ხელისუფლება, გართობა, ფული, იუმორი. არაერთი გამოკვლევა ჩატარდა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, რომლებიც ეხებოდა ამ ღირებულებების მნიშვნელობის განსაზღვრას. საინტერესოა გლობალიზაციის პროცესმა მოახდინა თუ არა გავლენა ამ ღირებულებების გადაფასებაზე.

გლობალიზაცია მიჩნეულია როგორც პოლიფუნქციური მოვლენა, რომელიც ძირითადად განიხილება სამ განზომილებაში, როგორიცაა: მუდმივი ისტორიული პროცესი; მსოფლიოს უნივერსალიზაცია; ნაციონალური საზღვრების „წალეკვა“.

დღეს ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ წარიმართება გლობალიზაცია თავისი სამივე განზომილებით. ამავდროულად ნათლად იკვეთება ხალხთა მოთხოვნილება და ინტერესი ინტეგრაციისადმი მსოფლიოს უნივერსალიზაციის მიზნით.

---

https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/euneighbourseast_annualsurvey2017report_georgia_geo_1.pdf

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია ობიექტური აუცილებლობაა და მისი ამბივალენტური ბუნება შეიცავს პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. პოზიტიურს მიეკუთვნება ინფორმაციული სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პირობებს კულტურის, განათლების, ბიზნესის ურთიერთობათა გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, უარყოფით ემოციებს კი იწვევს კულტურული ღირებულებების სტანდარტიზაცია, ნაციონალური კულტურისა და ტრადიციების გაქრობა და სხვ. [ვასაძე ნ. 2003: 173-180]

საქართველო მცირე ქვეყანაა. ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი ეროვნულობის, თვითმყოფადობის შენარჩუნება. უნდა დავიცვათ ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება, რათა არ მოხდეს ნაციონალური საზღვრების „წალეკვა“. როგორც წმინდა ილია მართალი (ილია ჭავჭავაძე) გვასწავლიდა „ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონ, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ გავარჯიშებულან იმაზედ ვარჯიშითა, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანია“.

ეს შორიეული და უცხო კი შემოიჭრა და დამკვიდრებას იწყებს ჩვენს საზოგადოებაში. 2010 წელს ე. მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა ქ. თბილისის შვიდ უმაღლეს სასწავლებელში. ამ გამოკვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა სტუდენტი ახალგაზრდობისათვის რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის ღირებულებები, რომლებიც მიიჩნეოდა ქართველი ერისთვის მნიშვნელოვნად, ანუ გლობალიზაციის პროცესმა და ქვეყანაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა რა გავლენა მოახდინა ღირებულებათა სისტემაზე.

სტუდენტებმა, შეთავაზებული ოცდაოთხი ღირებულებიდან ყველა დაასახელეს, ოღონდ სხვადასხვა სიხშირით. ყველზე მეტმა რესპონდენტმა დაასახელა ოჯახი, სარწმუნოება და სამშობლო. ხოლო ყველაზე ნაკლებმა – მრავალშვილიანობა, კანონი და

მეცნიერება. სტუდენტები, რომ მეცნიერებას ნაკლებად ასახელენ მნიშვნელოვან ღირებულებათა ჩამონათვალში ეს უკვე, სხვადასხვა დროს ჩატარებული, რამდენიმე გამოკვლევითაც გამოვლინდა. ვფიქრობთ, რომ მათი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი დამაფიქრებელია.

ე. მენაბდიშვილი გამოკვლევის შედეგების შეფასებისას წერდა: თუ მას შევაფასებთ ერის არსებობა – განვითარების პირობების შექმნის ფუნქციით, ე.ი. იმით, თუ რამდენად უწყობს ხელს ერის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას, მისი შემდგომი პროგრესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ვნახავთ, რომ ისინი ქართველი ერის წინაშე მდგომი ამოცანების არაადეკვატურია. დავკმაყოფილდეთ ორი მაგალითით: პირველი, სტუდენტები იმ ღირებულების იგნორირებას, არასათანადო დაფასებას ახდენენ, რომელიც ქართველი ერის ბიოლოგიურ, ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს. „მრავალშვილიანობა“ მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილისთვისაა (6,4%) დიდმნიშვნელოვანი ღირებულება, არადა, გაეროს მსოფლიო ექსპერტთა დასკვნით ქართველები მომაკვდავ ერებს მიეკუთვნებიან. მეორე, მეცნიერებისათვის ბოლო – უკანასკნელი ადგილით (2,4%) ფაქტიურად იმის უარყოფა ხდება, რაც თვით მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში – აშშ–ში აღიარებულია ეკონომიკის, ტექნოლოგიების, სოციალური პროგრესის განმსაზღვრელად. სოციოლოგები (ნ. სმელზერი, დჯ. მასიონისი, ენ. გიდენსი და სხვ.) ხაზს უსვამენ მეცნიერების გამორჩეულ როლს ახალი ტექნოლოგიების შექმნაში. ადამიანთა ჯანმრთელობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სოციალური პრობლემების მოხსნაში. ამერიკელები, აღნიშნავს ნ. სმელზერი, მეცნიერებისგან მოელიან ტექნოლოგიური, სამედიცინო და თვით სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. [ე. მენაბდიშვილი. 2011: 45-46]

ცხრილი 9. ქართველი ერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები სტუდენტებში, დასახელების სიხშირის და მნიშვნელობის მიხედვით

ღირებულებები	დასახელების სიხშირე	განაწილება მნიშვნელობის მიხედვით		
		პირველი მნიშვნელობის	მეორე მნიშვნელობის	მესამე მნიშვნელობის
ოჯახი	676	51,7%	32,3%	16,0%
სარწმუნოება	611	52,3%	37,5%	10,2%
სამშობლო	568	51,8%	36,2%	12,0%
მეგობრობა	521	20,5%	59,3%	20,2%
ფული	452	37,8%	33,9%	28,3%
თავისუფლება	450	42,9%	37,5%	20,2%
პატიოსნება	445	29,7%	45,8%	24,5%
წინაპრები	444	11,8%	60,9%	27,3%
ნათესაობა	397	10,5%	35,6%	53,9%
მშობლიური ენა	367	44,4%	36,5%	19,1%
ზნე–ჩვეულება	354	13,2%	26,8%	60,0%
განათლება	336	13,2%	48,6%	38,2%
იუმორი	298	11,6%	23,6%	64.8%
ქალის პატივისცემა	290	0,0%	4,8%	95,2%
გართობა	289	4,6%	39,9%	55,5%
ეროვნული კულტურა	276	14,1%	60,5%	25,4%
კაცთმოყვარეობა	200	0,0%	10,9%	89,1%
შრომა	151	0,0%	20,9%	79,1%
ხელისუფლება	132	6,8%	46,6%	46,6%
მეზობლობა	129	0,0%	20,8%	79,2%
ხელოვნება	67	8,3%	50,7%	41,0%
მრავალშვილიანობა	50	0,0%	40,2%	59,8%
კანონი	47	0,0%	50,2%	49,8%
მეცნიერება	19	0,0%	27,7%	72,3%

სოციოლოგები ხაზს უსვამენ ღირებულებებისა და სოციალური მდგომარეობის კავშირს. სოციოლოგ ტალკოლტ პარსონსის თანახმად სოციალური მდგომარეობა დამოკიდებულია იმ საერთო ღირებულებებზე, რომლებიც ლეგიტიმურად და სავალდებულოდ ითვლება, რომლებიც გვევლინებიან ხარისხის სტანდარტად და რომელთა დახმარებითაც ხდება მოქმედების მიზნის განსაზღვრა. [Аберкромби Н., Хилл С., Тернер Б. С. 2004: 518]

მაგრამ ადამიანები ყოველთვის არ არიან ორიენტირებულნი დადებით ღირებულებებზე. თავად დადებითი ღირებულებების გაგება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ანუ სრულიად შესაძლებელია ერთისთვის რაც დადებითია მეორისთვის სულაც არ იყოს დადებითი. ხშირია ადამიანის გაორების, ანუ გაუცხოების შემთხვევები. ქართველი სოციოლოგი ედუარდ კოდუა წერდა: პირველი რაც თვალში გხვდება ადამიანის არსებასა და არსებობას შორის გათიშვაა. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში ფრანც კაფკა ადამიანის ტრაგიკულობის ერთ–ერთ ნიშნად მიიჩნევდა გათიშვას მის ნაფიქრალს, ნათქვამს და ნაწერს შორის. იმას, რომ ადამიანი სხვას ფიქრობს, სხვას ამბობს და სხვას წერს. კაფკა წერდა: „მე ვწერ სხვაგვარად, ვიდრე ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ სხვაგვარად ვიდრე ვფიქრობ, ვფიქრობ სხვაგვარად ვიდრე უნდა ვფიქრობდე და ა. შ. ყველაზე ბნელ სიღრმეებამდე.“ კოდუას აზრით, ამას შეიძლება დაემატოს, რომ თანამედროვე ადამიანის არა მარტო ნათქვამი, ნაფიქრი და ნაწერი შორდება ერთმანეთს, არამედ საქმეც. ადამიანის ერთ–ერთი ძირითადი ნაკლი არის დაშორება სიტყვასა და საქმეს შორის. ეს არის ადამიანის გაუცხოების, მისი ყოფიერებისა და არსების გათიშვის მაჩვენებელი და ამ გაუცხოებისა თუ გაორების ხილვა უკარგავს ადამიანს მრწამსს, აგდებს ნიჰილიზმში. ამის შედეგია მათი ერთი ნაწილის უარყოფით ღირებულებებზე ორიენტირება. ეს გამოვლინდება ისეთი ღირებულებების შეფასებისას, როგორიცაა: განათლება,

თავისუფლება, კანონი, ძალაუფლება, ქორწინება, სიკეთე, ჭეშმარიტება, სიმართლე, სიმდიდრე, დანაშაული სასჯელი, ზნეობა, სამშობლო, ფული, მექრთმეობა და სხვა. [ე. კოდუა. 2001: 191]

თუ კოდუას მოსაზრებას დავეთანხმებით მაშინ ახსანა იმისა, რომ ქართველის ერის მნიშვნელოვანი ღირებულებებიდან: მეცნიერება, კანონი, მარავალშვილიანობა, შრომა, კაცთმოყვარეობა, მეზობლობა და ქალის პატივისცემა სტუდენტთა მნიშვნელოვან ღირებულებათა შორის პირველი მნიშვნელობის ღირებულებებში იმიტომ არ დასახელდა, რომ ეს სტუდენტები გაორებულები არიან. ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ეს ახალგაზრდები სწორედ იმ პერიოდში დაიბადნენ და გაიზარდნენ, როცა ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები მოხდა. ღირებულებები, იდეები და მრწამსი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში მიღებული და დაფასებული იყო ერთიანად დაინგრა. თუ ადრე მეცნიერი დაფასებული იყო, რჩევებს ეკითხებოდნენ და მისი აზრი გასათვალისწინებელი იყო, ამ ახალგაზრდების პიროვნებებად ჩამოყალიბების პერიოდში „ჩარეცხილები“ გახდნენ და ნორმალური საარსებო პირობებიც კი აღარ ჰქონდათ. ასევე შეგვიძლია ავხსნათ კანონის და მისი უზენაესობის მნიშვნელობა, თუმცა აღარ ჩავღრმავდებით.

ოჯახი და მეგობრები

ცხოვრების ერთი სტილის მქონე ადამიანებისთვის საერთო ღირებულებათა, სამყაროს შესახებ წარმოდგენათა და ქცევის კოდთა ერთობლიობას კულტურა ეწოდება. კულტურის ფენომენთა აღწერისას ორი მომენტი იქცევს ყურადღებას: ერთი მხრივ, ადამიანები თვითონ ქმნიან კულტურას, მეორე მხრივ, ეუფლებიან სხვების მიერ შექმნილ კულტურას. ე.ი. ადამიანი ერთდროულად შემოქმედიცაა და ამთვისებელიც. რასაც განაპირობებს ის, რომ კულტურა შეუძლებელია გადაეცეს

ბიოლოგიური გზით, გენური კოდების მეშვეობით. რ. ე. პარკის ცნობილი გამონათქვამში – ადამიანი ადამიანად კი არ იბადება, არამედ ადამიანად იქცევა აღზრდის პროცესში - მოკლედ არის ჩამოყალიბებული სოციალიზაციის მნიშვნელობა. ბავშვს დაბადებიდან დაჰყვება მთელი რიგი პოტენციური თვისებები, რომლებსაც აღზრდა უნვითარებს, აღზრდის მეშვეობით ხდება მისი პიროვნებად ფორმირება – სოციალიზაცია. ე. ი. სოციალიზაცია არის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ინდივიდის მომზადებისა და მასში ჩართვის პროცესი.

ყოველი თაობა იძულებულია კვლავ აწარმოოს კულტურა და გადასცეს მომდევნო თაობას. ეს პროცესი კი არის სოციალიზაციის მთავარი ნაწილი. მისი მეშვეობით ღირებულებები, იდეალები, რწმენა, ქცევის ნორმები და წესები ყოველი ინდივიდის პიროვნების შემადგენელ ნაწილად იქცევა და ხელს უწყობს მისი ქცევის – მოქმედების ფორმირებას. სოციალიზაციის პროცესი, რომ მასობრივი მასშტაბებით შეწყვეტილიყო, კულტურის დაღუპვას გამოიწვევდა. სოციალიზაცია აყალიბებს საზოგადოების წევრთა სახეს და აკონტროლებს მათ მოქმედებას. სოციალიზაციის გარეშე ადამიანები ვერ შეძლებენ ცხოვრების სწორი წესის ათვისებას. ენის დაუფლებას და არსებობის საშუალებების მოპოვებას. მთავარი ისაა, რომ სოციალიზაციის საშუალებით ხდება სოციალურ როლთა და კულტურულ მოდელთა ათვისება. ანუ, კულტურული ელემენტები სოციალიზაციიის გზით თაობიდან თაობას გადაეცემა, რითაც ის ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ამასთან, ინდივიდი საზოგადოების სრულფასოვან წევრად იქცევა სოციალიზაციის გზით და, სწორედ, ამ გზით ახდენს გავლენას კულტურა ინდივიდის ქცევაზე. ეს კავშირი შეიძლება ასე გამოიხატოს: კულტურა – სოციალიზაცია – პიროვნება – ქცევა

ფუნდამენტალისტმა ჯორჯ მერდოკმა კულტურის ფუნდამენტალურ მახასიათებლებს შორის პირველობა მიანიჭა

ისეთ ორ მახასიათებელს, როგორიცაა: კულტურა გადაეცემა დასწავლის გზით; კულტურა გადაეცემა სოციალიზაციის გზით.

სოციალურ მეცნიერებათა ლიტერატურაში ბავშვის განვითარება და სოციალიზაცია სამი პარამეტრის საფუძველზე განიხილება:

- პიროვნულ მახასიათებელთა კულტურული ორგანიზება;
- გარემოს კომუნიკაციური როლი;
- მშობელთა რწმენის სისტემები კულტურაში.

სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ ოჯახი და მეგობრები - ეს ორი მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფია, რომელიც პიროვნების ცხოვრების ადრეული ეტაპიდანვე ქმნის ყველაზე გავლენიან კონტექსტებს, გადასცემს ნორმებს, დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს. შესაბამისად, ორივე, ოჯახიც და მეგობრებიც, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თაობიდან თაობაზე ღირებულებების გადაცემასა და კულტურული განგრძობითობის შენარჩუნებაში. როგორც ვერნ ლ. ბერგსტონი მიიჩნევდა „ჩვეულებრივ, ოჯახი მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმად ღირებულებათა სოციალიზაციაში. მაგრამ ოჯახს გარეთ, თანატოლებისა და ასაკობრივი დაწესებულებების გავლენა... აღაარებულ იქნა სოციალიზაციის თეორიაში, როგორც ღირებულებათ განსაზღვრის მნიშვნელოვანი და ალტერნატიული დეტერმინანტი.“ [Bengston, V. L. 2010]

თუმცა, არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ მხოლოდ ოჯახი და მეგობრები არიან სოციალიზაციის აგენტები. მათთან ერთად სკოლა, რელიგიური ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მის მსოფლმხედველობაზე.

ოჯახი წარმოადგენს პირველ სოციალურ სამყაროს ბავშვისათვის: გზას უკვლევს მას ჯგუფური ცხოვრებისა და ინტიმური ურთიერთობებისაკენ. ოჯახი წარმოადგენს იმ პირველ ჯგუფს, რომლის ღირებულებებსა და ნორმებსაც ითვისებენ ბავშვები. ისინი საზოგადოების „ახალწვეულები“ არიან. მათ უნდა

ისწავლონ კულტურის ელემენტები, რაც მათ სოციალურ ცხოვრებაში კომპენტენტური მონაწილეობისათვის დასჭირდებათ. ოჯახი ასეთი სწავლების პირდაპირი არენაა. [კალჰუნი ქ, ლაითი, კელერი ს. 2007: 36]

საოჯახო სოციალიზაცია ორნაირად გაიგება: ერთი, მომზადება მომავალ საოჯახო როლებამდე და, მეორე, ოჯახის გავლენა სოციალურად კომპენტენტური, მომწიფებული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ოჯახი უზრუნველყოფს საზოგადოების კულტურულ უწყვეტობას, შემდგომ თაობებში კულტურული მემკვიდრეობის გადაცემას. მოზარდები მთლიანად დამოკიდებულნი არიან უფროსებზე, უშუალოდ მათგან იძენენ ჩვევებს, ღირებულებებს, ქცევის ნორმებს. ტყუილად როდია ნათქვამი - ბავშვი ოჯახის სარკეაო.

ბავშვების რეალური აღზრდა დაბადებიდან იწყება, მაგრამ ყოველთვის არ არის გარკვეული როგორ და რანაირად უნდა მოხდეს მათი აღზრდა. რა თქმა უნდა, ყველა მშობელს სურს, რომ მისი შვილი ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს, კარგ პიროვნებად ჩამოყალიბდეს. თუმცა ყველა ოჯახში ასე ვერ ხერხდება. ოჯახების დიფერენციაციას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საოჯახო მეხსიერების, საოჯახო ტრადიციების მიხედვით მივყავართ აღზრდისა და სოციალიზაციის განხვავებულობამდე.

ოჯახი, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ერთობა მასოციალიზირებელ გავლენას ახდენს პიროვნებაზე ნორმატიული და ინფორმაციული გავლენის მეშვეობით. რაც უფრო შეკავშირებულია ოჯახი, მით უფრო ეფექტურია ნორმატიული ზემოქმედება. შეკავშირება გულისხმობს ისეთ მახასიათებლებს როგორიცაა: ღირებულებათა ერთობა, ფამილიზმის არსებობა, ოჯახის პრიორიტეტულობა და ინდივიდის ინტერესების დაქვემდებარება საოჯახო ნორმებისადმი. მაგრამ თუ ეს პრიორიტეტულობა აბსოლუტური ხდება მაშინ ყალიბდება

კონფორმისტული ქცევა, როცა პიროვნება არაფერს აკეთებს ოჯახის დომინანტი წევრების ნებართვის გარეშე.

პიროვნების აღმოცენების პროცესი არის, როგორც ბიოლოგიურად მოცემული მასალის გარდაქმნის პროცესი სოციალური რეალობის ძალებით, რომლებიც არსებობენ ამ მასალის გაჩენის, მის გარეშე და მისგან სრულიად დამოუკიდებლად.

„ტრადიციული“ და „თანამედროვე“ ოჯახები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა როგორც ნორმატიული და ინფორმაციული გავლენის მატარებლები, არამედ იმ როლით, რომელსაც ისინი ასრულებენ სოციალიზაციის პროცესში.

ოჯახში სწავლა დაკავშირებულია არა მხოლოდ მშობლების მიზანმიმართულ მოქმედებასთან, არამედ ოჯახურ გარემოსთან. სწორედ ამაზეა, მეტწილად, დამოკიდებილი როგორები გამოვლენ ისინი: ძლიერები თუ სუსტები, მოაზროვნეები თუ გონებაჩლუნგები. როგორ ერიკ ერიქსონი მიიჩნევს, იმის მიხედვით თუ რას გრძნობენ ბავშვები - სიყვარულს თუ უბრალოდ მოთმენას, განსაზღვრავენ სამყაროს სანდო ან საშიშ ადგილად. [Масионис ДЖ. 2004: 184]

ცნობილი თურქი მკვლევარის ს. კაგიციბასის შეხედულებები სოციალიზაციის მიზნებსა და ოჯახის ტიპებთან დაკავშირებით თანამედროვე საზოგადოებებში, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი განპირობებულია მკვლევარის მიდგომით სოციალიზაციის „ტრადიციული“ და „თანამედროვე“ ღირებულებების შეთავსებისა და სინთეზის მცდელობით. ს. კაგიციბასიმ შეიმუშავა ოჯახის მოდელი და მასში სამი ტიპი გამოჰყო:

ურთიერთდამოკიდებული თუ მიჯაჭვული ოჯახი, რომელიც ოჯახის კოლექტივურ მოდელს წარმოადგენს -- ეს არის დიდი, ტრადიციული ოჯახი, რომლის წევრებს შორისაც არის მატერიალური და ემოციური დამოკიდებულება;

დამოუკიდებელი ოჯახი, რომელიც ოჯახის ინდივიდუალისტურ მოდელს წარმოადგენს – აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტონომიას და ძალიან მცირეა მატერიალური თუ ემოციური დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის;

ემოციურად დამოკიდებული თუ მიჯაჭვული ოჯახი, რომელიც ოჯახის წინა ორი ტიპის დიალექტიკურ სინთეზს წარმოადგენს.

ავტორი მიჯაჭვულობას ორი საზომით ზომავს: მატერიალური და ემოციური. ინდივიდუალისტური მოდელი გულისხმობს დამოუკიდებლობას ორივე საზომის მიხედვით; კოლექტივისტური – მიჯაჭვულობას ორივე საზომის მიხედვით; შერეული მოდელისთვის კი დამახასიათებელია მიჯაჭვულობა ემოციური საზომის მიხედვით. სახეზეა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან ერთად, თუმცა ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად მცირდება მატერიალური დამოკიდებულება, ემოციური დამოკიდებულება შეიძლება კი არ შემცირდეს, არამედ გაიზარდოს კიდეც. სოციალიზაციის გზით ბავშვში „თანამშრომლობის“ ღირებულების ხაზგასმასთან ერთად, კოლექტივისტურ მოდელში, რომელიც დამახასიათებელია არადასავლური ტრადიციული საზოგადოებებისათვის, მშობელი-შვილის ინტერაქცია ორიენტირებულია მორჩილებაზე; ინდივიდუალისტურ მოდელში, რომელიც დასავლეთის განვითარებული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, ხაზგასმულია ავტონომია და საკუთარი თავის რწმენა; შერეულ მოდელში კი, რომელიც არადასავლურ-ინდუსტრიულ-ურბანისტულ საზოგადოებებს ახასიათებს, ბავშვის სოციალიზაცია აგებულია როგორც კონტროლსა და მიჯაჭვულობაზე, ისე ავტონომიაზე, თუმცა სოციალიზაციის ღირებულებები კვლავ ხაზს უსვამს ოჯახისა და ჯგუფის მნიშვნელობას, ინდივიდუალურ მახასიათებელთა როლიც იზრდება და ბავშვის ავტონომია აღარ აღიქმება ოჯახისათვის მუქარის მქონედ. ასე რომ, ს. კაგიციბასის

აზრით, „ძველი“, „ტრადიციული“ ღირებულებები წარმატებით უთავსდება „ახალ“ ღირებულებებს. [ლ. წულაძე. 2004: 14-15]

ზოგადად თანამედროვე საზოგადოებაში ახალგაზრდების სოციალიზაციის პროცესი გართულებულია იმ სირთულეებით, რომლებიც წარმოიქმნება ტრადიციების, ნორმების და ღირებულებების განსხვავებისგან. ადრე ახალგაზრდები დიდწილად ეყრდნობოდნენ წინა თაობების გამოცდილებას, მაგრამ ახლა ისინი სწავლობენ და ქმნიან ახალ სოციალურ გამოცდილებას, რაც თავისთავად უპირისპირდება საკუთარ თავს, რაც, დიდწილად, ადგენს თანამედროვე ახალგაზრდების გონებაში და ქცევაში კონფლიქტურ ტენდენციებს.

საყოველთოდ ცნობილია, რომ იქ სადაც ძლიერია რელიგიური რწმენა ღირებულებები უფრო მეტადაა შენარჩუნებული. სხვადასხვა დროს ე. მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება შობადობის, შობადობაზე კონტროლის, განქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისადმი მკვეთრად განსხვავდება არამორწმუნეების დამოკიდებულებებისაგან. ამასთან, მართლმადიდებელ მორწმუნეებში შვილების აღზრდა მიმდინარეობს მეუღლეთა შორის ურთიერთშემწყნარებლური ვითარების პირობებში, ეროვნულ და რელიგიურ ღირებულებებზე. ამგვარ ოჯახებში აღზრდილი ბავშვების სოციალიზაციის გარემო განსხვავდება არამორწმუნეების გარემოსაგან.

ოჯახთან დაკავშირებული ყველა საკითხი მჭიდრო კავშირშია შიგაოჯახურ ურთიერთობებთან. შიგაოჯახურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა, ის ქმნის და განსაზღვრავს ოჯახის სახეს. მეუღლეთა ურთიერთობებსა და თვისებებზეა დამოკიდებული ოჯახის ზნეობრივ-ემოციური სისავსე და გამოხატულება, მისი ყველა ფუნქციის განხორციელება და აღმზრდელობითი შესაძლებლობები. ცნობილია, რომ მეულეთა ურთიერთ-

დამოკიდებულების ზნეობრივ-ემოციური სისავსე და გამოხატულება სხვადასხვაგვარად ვლინდება ისეთი ტიპის ოჯახებში, როგორიცაა: დემოკრატიული, ავტორიტარული და გარდამავალი. შესაბამისად არაერთვაროვანია მათი გავლენა ბავშვის ფსიქიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოკვლევები იქნა ჩატარებული. დ. კენდელისა და გ. ლეხსეროს გამოკვლევების მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ ოჯახის დემოკრატიული ტიპი ფლობს მეტად მაღლ აღმზრდელობით პოტენციალს. კერძოდ, დადგინდა, რომ იმ ოჯახებში, რომლებშიც მაღლია მეუღლეთა ურთიერთდამოკი-დებულებაში დემოკრატიზაციის ხარისხი, მნიშვნელოვნად მაღალია ბავშვების მოსწრება სკოლაში. უფრო მეტადაა განვითარებული ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიკეთე, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებლობა, უანგარობა, მორიდე-ბულობა, პასუხისმგებლობა, თვითკრიტიკულობა. ასეთ ოჯახებში აღზრდილ ბავშვებს კარგად აქვთ შეთვისებული მომავალი მეუღლის როლი, იჩენენ მზრუნველობას მშობლებისადმი. მათი ცხოვრების მიზნის სტრუქტურა წარმოადგენს უფრო დიდ სოციალურ ღირებულებას, ვიდრე იმ ოჯახებისა, სადაც უფრო დაბალია მეურლეთა ურთიერთობის დემოკრატიზაცია. ამ თვისებების პირდაპირი კოლერაცია უფრო მეტად არის დამახასიათებელი დემოკრატიული ტიპის ოჯახებისათვის. [Титаренко В. 1987: 39-4]

ამერიკელების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ოჯახში მეუღლეთა შორის ძალაუფლების განაწილებაზე დიდად არის დამოკიდებული ახალგაზრდების მიერ ღირებულებების ათვისება. ბაუერმანი და ბარი გაესაუბრნენ 18 664 ახალგაზრდას. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც გაიზარდნენ ისეთ ოჯახებში, სადაც მეუღლეებს ჰქონდათ ერთნაირი გავლენა, ჩვეულებრივ, ითვისებენ მათი მშობლების ღირებულებებს, წარმოდგენებს, აზრებს, რაც არ შეიმჩნეოდა ისეთ

ოჯახებში, რომლებშიც ძალაუფლებას ფლობს ერთ-ერთი მშობელი, განსაკუთრებით დედა. [Смелзер Н. 1994: 406]

მრავალი გამოკვლევა მოწმობს, რომ ოჯახში მეუღლეთა შორის თანხმობასა და დეზორგანიზაციასთან კავშირში ხდება ბავშვის ყველზე უფრო მგრძნობიარედ ფსიქიკური, ზნეობრივი და გონებრივი განვითარება. მეცნიერულად დადგენილია, რომ ჰარმონიული და სრულყოფილი ემოციური ურთიერთდამოკიდებულება ოჯახში ყველაზე დადებითი სახით ახდენს გავლენას მოზარდის მორალური ნებისყოფის ფორმირებაზე, რომელიც გამომჟღვნდება მის საზოგადოებრივ საქმიანობაში და, პირიქით, დადებითი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს და ემოციური კონტაქტების უქონლობა არა მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდზე, არამედ შეიძლება ხელიც შეუწყოს იმას, რომ მას არასაკმარისად განუვითარდეს სხვა ადამიანებთან კონტაქტში შესვლის მოთხოვნილება.

რაც უფრო შეკავშირებული ოჯახი, მით უფრო ძლიერია საოჯახო „ჩვენ“ და მით უფრო გამოკვეთილია იმის ნიშნები და ატრიბუტები რომ „ჩვენ შინაურები ვართ“.

ნუკლეარული ოჯახი წარმოადგენს იმ საწყის სოციალურ მატრიცას, რომლის შიგნითაც აღმოცენდება პიროვნების ფესვები და საიდანაც გამომდინარეობს „მე“-ს ჩამოყალიბების წყაროები. ოჯახი ახდენს ბავშვის ორიენტირებას პირველ რიგში, ოჯახის წევრებსა და სხვა ნათესავებზე, ხოლო შემდეგ, სოციალურ გარემოზე და მთლიანად საზოგადოებაზე.

ოჯახი არ არის იზოლირებული ჯგუფი, ის ფართო საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. ოჯახის ღირებულებებში, დამოკიდებულებებსა და ცხოვრების წესში აირეკლება სოციალური კლასი, რელიგია და ქვეყნის ის კუთხე, რომლის ნაწილიც თითონ ეს ოჯახია. სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულია ოჯახური ურთიერთობები. ზოგიერთ საზოგადოებაში ბავშვის აღზრდა ითვლება ცოლის პრიორიტეტად. მეორეში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქმარი. პარსონსის აზრით, ოჯახში ორი ლიდერია: დედა

– ემოციური ლიდერია, ე.ი. იგი ოჯახს ემოციურად კრავს, ხოლო მამა საქმიანი ლიდერია ე.ი. მარჩენალია.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ არაერთი კვლევა იქნა ჩატარებული სოციალიზაციასთან დაკავშირებთ. ერთ-ერთი კვლევის დროს გამოვიკითხეთ როგორც ახალგაზრდები, ისე მათი მშობლები. მშობლების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ ოჯახებში შვილების აღზრდაში უდიდესი წვლილი მიუძღვის დედას (47,9%). მათზე 1.8-ჯერ ნაკლები რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ ოჯახებში ორივე მშობელს ერთნაირი წვლილი აქვს შვილების აღზრდაში. მამაკაცების უპირატესი როლი კი 26%-მა დაასახელა. ქართულ ოჯახებში ბავშვების აღზრდის პროცესში აქტიურად არიან ჩართუნი პაპა-ბებია.

მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი შვილები გულახდილნი არიან დედებთან (74,1%), მამებთან შვილების გულახდილობის მაჩვენებელი 6,5-ჯერ ჩამორჩება დედებთან და 1,7-ჯერ დედმამიშვილთან გულახდილობის მაჩვენებელს. მშობლების თითქმის 2%-ის აზრით მათი შვილები გულახდილები არიან ოჯახის „სხვა წევრთან“, მაგრამ ეს სხვა ვინ არის არ აკონკრეტებენ.

მშობელთა უმრავლესობის აზრით (63,9%), შვილები რჩევას დედებს ეკითხებიან. ამ მაჩვენებელს 4,5-ჯერ ჩამორჩება ორივე მშობლისგან და 4,9-ჯერ მხოლოდ მამისგან რჩევის მიღების მაჩვენებელი. ამ შემთხვევაშიც მშობელთა თითქმის 2% აღნიშნავს, რომ რჩევას მათი შვილები ოჯახის „სხვა წევრისაგან“ იღებს, მაგრამ დაკონკრეტება არ ხდება. საკითხი რომ ცალმხრივად არ ყოფილიყო შესწავლილი გამოიკითხა ახალგაზრდებიც (17-26 წლის სტუდენტები). სტუდენტების ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ მათ აღზრდაში უპირატესი წვლილი მიუძღვის დედას, მესამედზე მეტი ორივე მშობლის წვლილზე ამახვილებს ყურადღებას. მშობლებისაგან განსხვავებით ახალგაზრდები მათ აღზრდაში პაპა-ბებიის წვლილს უფრო მეტად ასახელებენ, ვიდრე მამისას.

ახალგაზრდების აზრით მშობლები შვილებთან ურთიერთობისას გამოირჩევიან სიყვარულით, სითბოთი, მეგობრობით, ყურადღებიანობით. თუმცა შვილების მიმართ სითბო, სიყვარული და მეგობრობა დედებისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი ვიდრე მამებისთვის, მაშინ როცა, შვილების გაგებაში დედებს მამები სჯობიან.

ცხრილი 10. ახალგაზრდების აზრი, მშობლების გამორჩეული თვისებების შესახებ მათთან ურთიერთობაში

მშობლის თვისებები	დედა	მამა
მოსიყვარულე	77,3	67,9
ალერსიანი, თბილი	52,3	88,5
ყურადღებიანი	39,5	29,5
მეგობრული	38,4	37,4
კარგი გამგები	33,3	34,6
მომთმენი	15,5	16,5
ერთგული	14,0	15,3
მკაცრი	12,4	29,5
სათრი აზრის თავზე მომხვევი	3,6	5,9
უხეში	0,5	2,0

სტუდენტი ვაჟებიც და გოგონებიც მიიჩნევენ, რომ დედებს მათთან ურთიერთობისას ძირითადად სითბო და სიყვარული ახასიათებთ, ოღონდ ისინი გოგონების მიმართ უფრო მეგობრულები და ყურადღებიანები არიან ვიდრე ვაჟების მიმართ. მამები გოგონების მიმართ უფრო მეტად მოსიყვარულე, თბილები და მკაცრები არიან, ვიდრე ვაჟების მიმართ. ამასთან, ორივე მშობელი თავის აზრს უმეტესწილად გოგონებს ახვევს თავს.

ახალგაზრდებთან, ისევე როგორც მშობლებთან, უმეტესწილად აღინიშნა, ოჯახის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, დედასთან გულახდილობის და რჩევის მიღების მაღალი მაჩვენებელი. ამასთნ, ახალგაზრდების მეოთხედი რჩევას ოჯახის გარეთ, მეგობრების წრეში იღებს. ეს ტენდენცია ორივე სქესის სტუდენტებში დაფიქსირდა. თანაც, რჩევას ახალგაზრდები

მეგობრებს უფრო მეტად ეკითხებიან, ვიდრე მამას და დედმამიშვილს.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად დამოუკიდებლები არიან ახალგაზდები. უთანხმებენ თუ არა ვინმეს პირადად მათთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტი დამოუკიდებლად წყვეტს ყველა საკითხს, რომელიც პირადად მას ეხება. გადაწყეტილების მიღებაში უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენენ ვაჟები (67%), ვიდრე გოგონები (46%). პირად საკითხებს დედასთან შეთანხმებით წყვეტს ახალგაზრდების მეხუთედი. ეს ტენდენცია უფრო მეტადაა გამოკვეთილი გოგონებში (28%), ვაჟებთან შედარებით (5,3%). ახალგაზრდებში საკმაოდ დიდია მეგობრების გავლენა და როლი. რესპონდენტთა 17% პირადად მასთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ მეგობრებთან შეთანხმებით წყვეტს. ეს მაჩვენებელი 2-ჯერ აღემატება დედმამიშვილთან შეთანხმებით და 5-ჯერ მამასთან შეთანხმებით გადაწყვეტილების მიღების მაჩვენებელს.

ახალგაზრდები თავიანთ გულისწადილს უმეტეს შემთხვევაში მეგობრებს უზიარებენ (52,6%). ეს მაჩვენებელი აღემატება ყველა სხვა პიროვნებასთან გულისწადილის გაზიარების მაჩვენებელს და მათ შორის 1,6-ჯერ აღემატება დედასთან გაზიარებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ მშობლები უფრო მეტად აფასებენ თავიანთ როლს ახალგაზრდების აღზრდაში, ვიდრე ამას თითონ ახალგაზრდები აღნიშნავენ.

ოჯახი და მეგობრები – მათ გამორჩეული როლი აკისრიათ ახალგაზრდების სოციალიზაციაში. თავად ახალგაზდების შეფასებით მეგობრები როლი სკოლის როლზე მაღლია.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ღირებულებათა იერარქიაში ოჯახს მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია და მას ნდობის მაღალ ხარიხს ანიჭებენ. რესპონდენტთა

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახის მნიშვნელობა მისი პიროვნების ძირითადი ელემენტების ფორმირებაში განსაკუთრებით დიდია (გოგონები - 95,4%, ვაჟები - 93,3%).

ახალგაზრდების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ოჯახი ის ადგილია, სადაც ყველაზე მეტად გრძნობს თავს კარგად (60,6%). ამასთან მშობლების ნდობის მაჩვენებელიც მაღალია (81%).

ცხრილი 11. ოჯახის, მეგობრების და სკოლის როლი ახალგაზრდების პიროვნებად ჩამოყალიბებაზე

	ძალიან დიდი	დიდი	საშუალო	უმნიშვნელო	არანაირი
ოჯახი	94,9	4,1	0,8	0,2	0,0
სკოლა	24,7	47,4	21,5	5,8	0,6
მეგობრები	40,5	33,1	13,8	1,3	0,4

ოჯახის მერე რესპონდენტებმა მიუთითეს მეგობრების მნიშვნელოვან როლზე, რაც იმით აიხსნება, რომ მოზრდილებისა და ბავშვების დამოკიდებულება ასიმეტრიულია. ამ დამოკიდებულებაში ბავშვები ყოველთვის დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. თანატოლებთან კი ისინი თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ცნობილი ფსიქოლოგი ერიკ ერიქსონის აზრით, უარყოფენ რა მშობლებს, როგორც მოდელებს, მოზარდები თანადგომას თანატოლთა წრეში ეძიებენ და ეს კავშირი მეტად ძლიერია. თანატოლთა ღირებულებები და განწყობები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მშობლების. ეს ჯგუფები ეხმარება მათ თვითრწმენის განვითარებაში სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მასში ღრმა ფიზიოლოგიური და იდეოლოგიური ცვლილებები ხდება. მოზარდთა ჯგუფების შექმნა, ჩაცმის ერთნაირი სტილი, მსგავსი მიხრა-მოხრა, ლექსიკა და სხვა მახასიათებლები უფრო მეტად დაცვის ფუნქციას ასრულებენ. ამგვარი ქცევა მათ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შეგრძნებას ჰგვრის. ამავე დროს, ხაზს უსვამს მათ გამოყოფას უფროსებისგან. ყოველივე ეს კი იდენტობის ძიებითაა განპირობებული. [http://dictionary.css.ge]

თანაბარი მდგომარეობა და ასაკობრივი თანატოლობა ხელს უწყობს ახალგაზრდების ინტერესების, ხასიათების და შეხედულებების მსგავსებას. რესპონდენტთა ნახევარი მეგობრებს საერთო ინტერესით ირჩევს. საერთო ხასიათზე მიუთითა 35,7%-მა. მეგობრის არჩევისას საერთო ინტერესის ფაქტორი უფრო მაღალია გოგონებთან (54,8%), ვიდრე ვაჟებთან (36,5%), საერთო ხასიათს კი ვაჟები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ (შესაბამისად ვაჟები - 59,6%, გოგონები – 28%). მეგობრების არჩევის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის დასახელდა: ქცევს კარგი მანერები (31,7%), კარგი წრე-ოჯახი (15,2%), ძალიან მცირე ნაწილმა აღნიშნა კარგი სწავლა. მატერიალური მდგომარეობა დასახელებულ ფაქტორთა შორის საერთოდ არ მოხვედრილა. აღნიშნული ფაქტორების გავლენით რესპონდენტი სტუდენტები მეგობრების წრეში თავს კარგად გრძნობენ, რის გამოც თავისუფალ დროს უმეტესად მათთან ატარებენ (69,2%).

სტუდენტთა შეფასებით სკოლის როლი მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაში არც თუ მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წლის ასაკიდან ცხოვრების გარკვეულ წლებს სკოლაში ატარებენ. სოციოლოგების აზრით, სკოლას უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რადგან აქ მოზარდი ითვისებს არა მარტო განათლებას, არამედ ქცევის ნორმებს, ღირებულებებს. ისინი სკოლაში ხდებიან დიდი კოლექტივის წევრები. ბავშვები აქ ექცევიან ოჯახისაგან განსხვავებულ გარემოში, სადაც უნდა იმოქმედონ გარკვეული წესრიგით, ისწავლონ ცხოვრება დიდ საზოგადოებაში.

სოციალიზაციაზე საუბრისას ყოვლად დაუშვებელია არ შეეხო იმ ღირებულებებს, რომელთა ათვისებაც ხდება ამ პროცესში. ჩამოყალიბებული ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან ცნობიერების თავისებურ ღერძს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სიმტკიცეს, გარკვეული ქცევისა და საქმიანობის მემკვიდრეობითობას, რომელიც ინტერესთა და მოთხოვნილებათა მიმართულებას გამოხატავს. ამის ძალით ღირებულებითი

ორიენტაცია გამოდის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად პიროვნების მოტივაციის დეტერმინირებისა და რეგულირების საქმეში. [Масионис. 2004: 110-114] ღირებულებითი ორიენტაციის განვითარება პიროვნების სიმწიფის ნიშანი და მისი სოციალურობის ზომის მაჩვენებელია. იგი არის ინდივიდის არა მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანი სამყაროს აღქმის პრიზმა, რომელიც განაპირობებს ცნობიერების და თვითშემეცნების კავშირს. ღირებულებითი ორიენტაციის სიმყარე განაპირობებს პიროვნების ისეთ თვისებებს, როგორიცაა მთლიანობა, საიმედობა, განსაზღვრული პრინციპებისა და იდეალებისადმი ერთგულება, სისწორე, ნებელობითი ძალისხმევის უნარი. აგრეთვე, ამ იდეალებისა და ღირებულებების სახელით ცხოვრებისეული პოზიციების აქტივობა, მიზნის მიღწევაში სიმტკიცე.

ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერარურაში ყურადღებას ამახვილებენ ოჯახის ფუნქციათა ტრანსფორმაციაზე, ზოგიერთი ფუნქციის დაკარგვაზე. ერთი რამ ცხადია, ოჯახს კვლავ უდიდესი როლი აკისრია და გადაჭარბებულიც არ იქნება ითქვას, მისი როლი შეუცვლელია, ჩვენს მიერ განხილულ ერთ-ერთ ფუნქციაში - სოციალიზაციაში. ამტომ არის, რომ სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა მიმღებ ოჯახებს.

სოციალიზაცია გულისხმობს ღირებულებების ათვისებას. ამ უკანასკნელს ახალგაზრდები ითვისებენ ოჯახში, სკოლასა და მეგობრების წრეში. მათგან გამორჩეული როლი ოჯახს აკისრია. მეგობრების წრეში ახალგაზრდები სწავლობენ, პირველ რიგში, მეგობრებთან ურიერთობას. ხდებიან დამოუკიდებლები, კეთილგანწყობილნი და პრინციპულები. ეს არის ყოველდღიური, ცხოვრებისეული ურთიერთობები, რომლებსაც მათ ცხოვრებაში უდიდესი როლი ენიჭება.

სკოლაში ათვისებული ღირებულებებიდან ახალგაზრდებმა გამოყვეს კარგი განათლება, წარმატებისაკენ სწრაფვა და დამოუკიდებლობა.

ცხრილი 12. ღირებულებები, რომლებიც შეითვისეს რესპონდენტებმა (%)

	ოჯახში	სკოლაში	მეგობრების წრეში
კარგი აღზრდა	98,4	7,4	2,0
შრომის სიყვარული	75,0	28,7	3,7
პასუხისმგებლობის გრძნობა	75,6	26,2	6,3
რელიგიური რწმენა	71,3	9,5	13,4
ტრადიციებისადმი ერთგულება	84,3	9,7	3,0
გაჭირვებულების დახმარება	54,6	16,6	12,9
წარმატებისაკენ სწრაფვა	48,8	39,5	19,2
შემწყნარებლობა	72,9	17,5	12,5
მორჩილება	75,5	19,9	1,6
სხვა ადამიანების პატივისცემა	83,6	17,5	12,2
პრიცნიპულობა	47,9	23,3	31,4
ყაირათიანობა, თანხის დაზოგვა	73,1	6,0	7,4
კეთილგანწყობა	65,5	13,2	26,2
დამოუკიდებლობა	47,2	31,5	33,1
კარგი განათლება	40,0	61,5	2,0
მეგობრებთან ურთიერთობა	28,5	24,7	66,6
არაფერი	0,0	10,8	14,6

კვლევების მიხედვით ფრიად საყურადღებო ტენდენცია გამოიკვეთა. ოჯახში, სხვა ღირებულებებთან შედარებით, ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთი ღირებულებების ათვისებას, როგორიცაა: წარმატებისაკენ სწრაფვა, პრინციპულობა და დამოუკიდებლობა. დამეთანხმებით, მათზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახალგაზრდების შემდგომი ბედი, რადგან სწორედ ეს ღირებულებებია წარმატების წინა პირობა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ამ მხრივ ახალგაზრდების ორიენტირება.

სტუდენტთა დამოკიდებულება ოჯახისა და გენდერისადმი

ოჯახის ინსტიტუტის პრობლემათა კვლევა, არა მხოლოდ თანამედროვე სოციო-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია, არამედ, ერთ-ერთი განმსაზღვრელიც, რადგან ის დემოგრაფიული პრობლემატიკის საფუძველიცაა. ამასთან, ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებასა და სახელმწიფოს სტრატეგიაზე.

ოჯახის მნიშვნელობაზე მეტყველებს ყველასათვის ნაცნობი ფრაზა „ოჯახი პატარა სახელმწიფოა“. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ამ „პატარა სახელმწიფოს“ ტრანსფორმაციაზე, რომელიც სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების თავისებურებების, საზოგადოებრივი ურთიერთობების ღრმა ტრანსფორმაციის პროცესების კვალად ხორციელდება. ოჯახის ტრანსფორმაცია შეუქცევადი პროცესია და სოციალური ღირებულებების ცვლილებების საფუძველზე მიმდინარეობს.

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც უამრავი ახალი ტენდენცია, ტექნოლოგია, თუ სხვა საშუალებები იჭრება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ძნელი ხდება მამა-პაპური ტრადიციების შენაჩუნება. თანამედროვეობის მოთხოვნაა მეტ-ნაკლებად ავუწყოთ ფეხი ახალ გამოწვევებს. ხდება ღირებულებების, წეს-ჩვევების გადაფასება, გადახარისხება, იცვლება სტერეოტიპები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. ეს ეხება ოჯახსაც. არსებობს ტოფფლერის თეორია, რომელიც ასაბუთებს, რომ ყველაზე სწრაფად ყველანაირ სიახლეზე, პირველ რიგში რეაგირებს ბაზარი, ხოლო მეორე ადგილზეა ოჯახი მოქნილობით და რეაქციის სიჩქარით [Ред. Е. В. Ануфриевой, Т. П. Машихиной. 2012: 36]. დიახ, იცვლება ოჯახი, თანამედროვე ოჯახი ხდება ნუკლეარული. სახეცვლილებას განიცდის ცოლ-ქმრის როლები და ფუნქციები. მაგრამ ოჯახში მომხდარი ცვლილებები, ჩვენი აზრით, არ მიანიშნებს, რომ ვკარგავთ ოჯახს, როგორც

სოციალურ ინსტიტუტს. უმთავრესია თვალყური ვადევნოთ მიმდინარე ცვლილებებს და მოვახდინოთ სოციალური გამოწვევების ადაპტირება ჩვენ ცხოვრების წესთან.

ოჯახში მომხდარ ცავლილებებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მეცნიერთა მხრიდან მეოცე საუკუნიდან დაიწყო ოჯახის კრიზისზე ლაპარაკი. საკითხი დაისვა იმის შესახებ გადარჩება თუ არა ოჯახი XXI საუკუნეში. ალტერნატიული სოციოლოგიის ამერიკული სკოლის წარმომადგენელი ალან კარლსონი ამ საკითხს დადებითად წყვეტს, რადგან თვლის, რომ როგორც ადამიანს, ისე ბუნებრივ ოჯახს აქვს განახლების უნარი. თუმცა ის ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზებზე რამაც შეიძლება ოჯახის დაღუპვა გამოიწვიოს. მისი აზრით, ოჯახი დაიღუპება თუ არ დამყარდება კონტროლი ბიოლოგიურ მეცნიერებებზე. ხელოვნური განაყოფიერების, გენური ინჟინერიის, კლონირების და საშვილოსნოს გარეშე ემბრიონალირი განვითარების სფეროების სწრაფი პროგრესი, ო. ჰაკსლის კოშმარულ სამყაროს, არც თუ შორეულ პერსპექტივად გარდაქმნის. ამ „საოცარ“ სამყაროში კი აკრძალულია ქორწინებები, სიტყვები მამა და დედა არ წარმოითქმის, ოჯახი იწვევს ზიზღს. კარლსონის აზრით, ახალ ათასწლეულში ჩვენ უნდა ვისწავლოთ ვუთხრათ „არა“ იმ მეცნიერებებს, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ თვით ადამიანის არსებობას, სხვაგვარად ის ოჯახი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით გაქრება. მეორე მიზეზად კარლსონი ასახელებს იმ წამყვან როლს რომელსაც ახდენენ ოჯახის მოწინააღმდეგეები საზოგადოებრივ აზროვნებაზე. დიდი ხნის განმავლობაში ოჯახი თავდასხმის ობიექტი იყო, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგება ყოველგვარ ცვლილებას, ზღუდავს ინდივიდის თავისუფლებას და ადამიანის უფლებებს. რევოლუციურმა ღირებულებებმა, რომელთაც შეძრეს დასავლური სამყარო 1960-იან წლებში, ატარებდნენ მებრძოლი ათეიზმის, რელიგიური რწმენის მკვეთრი უარყოფის, განმასხვავებელ ხაზსს.

ბელგიელი სოციოლოგი რ. ლესტეიგი ამ რევოლუციას აკავშირებს ქრისტიანულ ღირებულებებიდან (ვალდებულება, პასუხისმგებ-ლობა, თავგანწირვა, ალტრუიზმი, ქორწინების სიწმინდე და შვილთაშობა) ინდივიდუალისტური ათეიზმის ღირებულებებზე გადასვლასთან, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი სურვილების შესრულებაზე. კარლსონი თვლის, რომ ვინაიდან, ამ პოსტოჯახური წესრიგის მხარდამჭერების პოზიციები ძლიერდება. საჭიროა ოჯახის დამცველების ეფექტური ურთიერთქმედება. [კარლსონი ალან. 2017: 145]

ოჯახისადმი მეცნიერთა ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. არსებობს უამრავი თეორია, რომელიც ოჯახის და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას მოიცავს. ფრანგმა მეცნიერმა ლე პლემ, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, წამოაყენა "ძირეული ოჯახის" (la famille souche) კონცეფცია. მისი აზრით, „ძირეული ოჯახი" წარმოადგენს რაღაც უფრო მეტს ვიდრე, ცოლ-ქმრის ნუკლეარული წყვილი, რადგან ის მოიცავს გაფართოებულ ნათესაობას და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ადამიანური განვითარების წარმმართველ და წამყვან ძალას. „ძირეული ოჯახი" თავის თავში აერთიანებს ინდივიდუალური გამოხატვის შესაძლებლობებთან შეხამებული ერთიანობის გრძნობას, რიგიდული პატრიარქალური ოჯახისათვის დამახასიათებელი რაიმე დამთრგუნველი ზემოქმედების გარეშე. ამრიგად, ორგანიზებული ოჯახი ნამდვილად იყო საზოგადოების უჯრედი, სტაბილურობის, პროგრესის და თავისუფლების წყარო.

XX საუკუნის სამი უდიდესი სოციოლოგი კარლ ციმერმანი, პიტირიმ სოროკინი და რობერტ ნისბეტი ანვითარებენ ლე პლეს თეორიას. კრიზისული ოჯახის ალტერნატივად ციმერმანმა აიღო „ძირეული ოჯახის" კონცეფცია. მისი აზრით, „ძირეული ოჯახის" მოდელი წარმავალი წარსულის გამოხატულება არ არის. ის უფრო მეტად ცხოვრების ნიმუშია, რომელიც მეორდება ყველა დროსა და

ყველგან მსოფლიოში. ლე პლეს, ციმერმანისა და სოროკინის კვალდაკვალ, ნისბეტი თვლის, რომ ოჯახის დიადი ძალა ყოველთვის მდგომარეობდა უფრო მეტად მშობლობა-ნათესაობაში, ვიდრე ცოლ-ქმრობაში. საკვანძო თვისებები, რომლებიც ოჯახის ავტორიტეტს განსაზღვრავდა იყო: ვალდებულება, ღირსება, სუბორდინაცია, ურთიერთდახმარება და გვერდიგვერდ დგომა. ნისბეტი თვლის, რომ „ოჯახი და არა ინდივიდი, საზოგადოების ჭეშმარიტ მოლეკულას წარმოადგენს. ის ყოფიერების სოციალურ ჯაჭვში საკვანძო რგოლია. ინტელექტის განვითარებას და სოციალურ წესრიგს, თავისუფლების საფუძვლებს ადამიანები მხარს დაუჭერენ იმ დრომდე, ვიდრე ნათესაობრივი კავშირები ძლიერია, რომელთაც გააჩნიათ ფუნქციონალური მნიშვნელობა და პრესტიჟი“ [კარლსონი ალან., 2017: 12-15]

ჩვენს საზოგადოებაში ოჯახს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სხვადასხვა დროს, განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად სახელდებოდა და სახელდება. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები მიუთითებენ ოჯახური კონფლიქტების, ოჯახში ძალადობისა და განქორწინების ზრდის ტენდენციებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინა პლანზე გამოვიდა პიროვნული მიღწევები: კარიერა, მატერიალური უზრუნველყოფა. ახალგაზრდები არ ჩქარობენ ოჯახის შექმნას. ისინი ჯერ ორიენტირებულები არიან განათლების მიღებასა და კარიერის მოწყობაზე. სწორედ ესაა ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბოლო აღწერის მონაცემების მიხედვით გაზრდილია ქორწინების საშუალო ასაკი. რეგისტრირებულ ქორწინებებში ქალების ქორწინების საშუალო ასაკი 25,9 წელია, მამაკაცებში კი 29,5 წელი. პერსპექტივაში სავარაუდოა ქორწინების ასაკის კიდევ უფრო ზრდა. ეს ტენდენცია მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისთვის არ არის დამახასიათებელი. გერმანიასა (30-40 წელი) და თანამედროვე

ამერიკაში (35-40 წელი) ახალგაზრდები ოჯახს ქმნიან კარიერისა და მატერიალური სიძლიერის მერე. თუ წლების წინ ოჯახი იყო ადამიანის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტეტიუმი, ახლა ვითარება შეიცვალა. ახალგაზრდებს აღრ აქვთ ამ საკითხისადმი მკვეთრად გამოხატული ერთმნიშვნელოვანი პოზიცია. სტუდენტთა მხოლოდ მესამედზე მეტი (ვაჟების - 39,4%, გოგონების - 38,0%) ფიქრობს, რომ ადამიანი უფრო ოჯახით ფასობს, ვიდრე კარიერული წინსვლით. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, იქიდან გამომდინარე, რომ შეიცვალა ღირებულებათა სისტემა. ახალგაზრდებში წინა პლანზე წამოვიდა ინდივიდუალური ღირებულებები, პიროვნული დამოუკიდებლობა. ამიტომ ლოგიკურია, რომ მათი აზრით, უმჯობესია ჯერ პიროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვო, რათა თავად შეძლო ოჯახის უზრუნველყოფა და შემდეგ შექმნა ოჯახი.

ოჯახური ცხოვრება უამრავ ასპექტს მოიცავს: ემოციურს, ეკონომიკურს, სოციალურს, სექსუალურს და ა.შ. ცოლქმრული კავშირის შეკვრის აქტი საზოგადოებრივი მოწიფულობის აღიარების აქტია. ეს არის იმის აღიარება, რომ წყვილს უნარი შესწევს შეასრულოს მოვალეობები, შეინახოს ოჯახი, გაზარდოს შვილები. ოჯახს ქმნის ორი ადამიანი, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი „მე“, თავისი ინდივიდუალურობა. ოჯახი აერთიანებს „მე’-ს „ჩვენ“-ში, „ჩემ“-ს „ჩვენ“-ში. როგორც ოჯახის სოციოლოგიის მკვლევარები ამბობენ, აუცილებელია მეუღლეთა ისეთი ერთიანობა, რომ, ერთ მხრივ, ოჯახური ინტერესი ბუნებრივად წინა პლანზე იყოს წამოწეული, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ოჯახის ინტერესები აუცილებლად გულისხმობდეს მისი ყოველი წევრის პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას. „მე“-ს „ჩვენ“-ში გადასვლის თვისობრივი ნახტომი, მკვლევართა აზრით, წარმოადგენს მთავარ ფსიქოლოგიურ სიძნელეს ოჯახის ცხოვრებაში. ცოლქმრობაში წარმატება იმ ძალების მოქმედების შედეგია, რომლებსაც განაპირობებენ პარტნიორების პიროვნება,

მათი შეგუება, მათი ერთობლივი ცხოვრების დროს წარმოშობილი შინაგანი ძალების გავლენა და გარეშე ძალები.

მეუღლეთა ურთიერთშეგუების წარმატებასა და ცოლქმრობის ჰარმონიულ კავშირად შეკვრისათვის აუცილებელი ღირებულებების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებულია. ამ განსხვავებას განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ასაკი, განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება და სხვ. სტუდენტებთან ოჯახური ცხოვრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებათა პირველ ხუთეულში მოხვდა: ერთგულება (91,4%), ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება (85,5%), საერთო შვილების ყოლა (78,6%), სქესობრივი შეთავსებადობა (68,3%) და მატერიალური უზრუნველყოფა (55,1%). ხოლო იმ ღირებულებებში, რომლებიც ოჯახური ცხოვრებისათვის, რესპონდენტთა აზრით, არაა მნიშვნელოვანი პირველ ხუთეულში აღმოჩნდა: ეროვნული ერთგვაროვნება (35,2%), ცოლ-ქმრის და შვილების ცალკე, ოჯახის სხვა წევრებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება (29,1%), საოჯახო საქმეების განაწილება (18,1%), განათლება (17,7%) და საერთო რელიგიური შეხედულებები (13,5%).

მეუღლეთა ერთგულება, მათ შორის ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახის სახეს. რაც უფრო მაღალია მეუღლეთა შორის ურთიერთგაგების და ნდობის მაჩვენებელი მით უფრო ჰარმონიულია მათი ოჯახური ცხოვრება. ჩვენს საზოგადოებაში მეუღლეთა ერთგულება ორმაგი სტანდარტის პრინციპით განიხილება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალებს ერთგულება უფრო მეტად მოეთხოვებათ, ვიდრე მამაკაცებს. თუმცა ორივე სქესის სტუდენტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ოჯახურ ცხოვრებაში ერთგულება პირველი მნიშვნელობის ღირებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა აზრით, ოჯახური ცხოვრებისათვის ერთგულება პირველი მნიშვნელობის ღირებულებაა, ღალატს, როგორც

მეუღლეზე ძალადობისათვის საკმარის მიზეზს უმეტესობა არ ამართლებს. ეს პოზიცია ორივე სქესის რესპოდენტებმა დააფიქსირეს.

ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა მეუღლეთა ერთგულება-ღალატზე და აღნიშნა: „მეუღლეთაგან ერთი იჩენს ერთგულებას და თავდადებულ სიყვარულს, მაგრამ მეორე ამ გრძნობებს სათანადოდ არ აფასებს და მხოლოდ თავისი ვიწრო ეგოისტური სურვილების ტყვეობაშია. საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ და მატერიალისტურმა მსოფლ-მხედველობამ ადამიანში სხვისი ფლობის სურვილი და მომხმარებლური სული გააძლიერა. დღეს უკვე ამგვარი მიდგომა შეეხო ოჯახის წევრებსაც და ეგოისტური მიზნებით თვით მათი გამოყენების მცდელობები გააჩნია. ასეთი დამოკიდებულება ოჯახურ ყოფას გაუსაძლისს ხდის“. [ილია II. 2015]

ოჯახში არსებული ქცევის მოდელები და რეალობაში არსებული ფუნქციების გადანაწილება ოჯახის წევრებს შორის ეფუძნება წარმოდგენას და რწმენას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ოჯახი. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახში არსებულ ქცევის მოდელებთან ერთად კვლევის ფარგლებში მოხდეს იმის შესწავლა, თუ რა განწყობები, ღირებულებები და დამოკიდებულებები დაედება საფუძვლად ქართული საზოგადოების წევრების -- სტუდენტების ქცევას ახლო მომავალში, როცა ისინი შექმნიან ოჯახს.

სტუდენტებმა მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულების რიგ საკითხებში დემოკრატიული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. მათი აზრით აუცილებელია მოხდეს ქალის თვითრეალიზაცია, მის მიერ ოჯახის დიასახლისისა და დედის როლის შეთავსების შედეგად. სტუდენტების უმრავლესობა (68,2%) თვლის, რომ უკვე აღარ არის „ყველასთვის უმჯობესი, როცა მამაკაცი მუშაობს, ხოლო ქალი საოჯახო საქმეებით არის

დაკავებული“. რესპონდენტმა გოგონებმა გამოხატეს მაღლი თვითშეფასება და თანასწორობისაკენ მიდრეკილება. სავარაუდოა, რომ ამგვარი თვითაღქმის მქონე გოგონები აქტიურები იქნებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში, დასაქმებაში და ბიზნეს-საქმიანობაში.

ტრადიციული აღქმები და ჩვეულებები ქალს ხატავდა როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისსა და დედას. ქალის სამსახური და კარიერა ნაკლებად მნიშვნელოვნად ითვლებოდა. მოიაზრებოდა, რომ ქალის სრული რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მის მიერ ოჯახის შექმნის და მეუღლისა და დედის როლის შეთავსების შედეგად. მაშინ როდესაც, მამაკაცის შემთხვევაში სრულიად საპირისპიროდ აღიქმებოდა. კარიერა და ოჯახი ერთნაირად მნიშვნელოვნად, ან კარიერას უფრო დიდი წონა აქვს ვიდრე ოჯახს. შესაბამისად, სოციალურ დონეზე ქალს მოეთხოვებოდა, რომ მამაკაცის მორჩილი ყოფილიყო, მისი სურვილების მიხედვით ემოქმედა სურვილები და მოთხოვნილებები უკან გადაეწია. ამგვარი აღქმები ზოგადად დამახასიათებელია მამაკაცის მიერ დომინირებულ, პატრიარქალურ საზოგადოებაში. ბევრი კონსერვატული მკვლევარი თვლის, რომ დასაქმებული ქალი სათანადო ყურადღებას ვეღარ უთმობს საოჯახო საქმეებს და ბავშვებს, რაც ხშირად მამაკაცის აღშფოთებას და კონფლიქტს იწვევს, რომელიც შეიძლება ფიზიკურ ძალადობაშიც გამოიხატოს. [Family Connection... 2007]

სტუდენტ ახალგაზრდებში ოჯახისადმი კონსერვატული დამოკიდებულება არ შეიმჩნევა. მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (90,7%) თვლის, რომ „ქმარს საკმარისი მიზეზი არ აქვს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ცოლს, თუ ცოლი არ ასრულებს საოჯახო საქმეს ისე როგორც ქმარს სურს“. ეს მოსაზრება ორივე სქესის სტუდენტთა უმრავლესობისათვისაა მისაღები (მამაკაცების 78,3%, ქალების 91,9%).

ოჯახის შიგნით მამაკაცის და ქალის თავისუფლების ხარისხის თვალსაზრისით საინტერესო იყო შეკითხვები მეგობრების არჩევასა და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი თვლის, რომ მეუღლეები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთს სექსუალური ურთიერთობების დაკმაყოფილებისას (72%). მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრებს უნდა შეეძლოთ მეგობრების არჩევა, მაშინაც კი, როცა ოჯახის დანარჩენი წევრები წინააღმდეგნი არიან სრულად იზიარებს მხოლოდ 39%, ამ მაჩვენებელს სამი პროცენტით აღემარება მათი რიცხვი ვინც გამოთქმულ მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს.

საქართველოში ადგილი ჰქონდა გარკვეულ იერარქიულ მიმართებებს ოჯახის წევრებს შორის. ამას მოწმობს არა ერთი კვლევის შედეგად გამოვლენილი გენდერული სუბორდინაცია და გენდერულ როლებთან დაკავშირებული აღქმები, სტერეოტიპები და სოციალური ნორმები. ზოგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სტუდენტები ქალში მოიაზრებენ არა მხოლდ დიასახლისსა და შვილების აღმზრდელს, არამედ აქტიურ პიროვნებას, მოსამსახურეს, საკუთარი შემოსავლების მქონე პიროვნებას, რომელსაც მამაკაცის თანასწორად შეუძლია იზრუნოს საკუთარ კარიერაზე. ცოლი, მათი აზრით, აღარ არის ქმრის მორჩილი. მას მეუღლის თანასწორად შეუძლია შეავსოს და განკარგოს ოჯახის ბიუჯეტი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ერთნაირი მოსაზრება განხილული საკითხებისადმი, თუმცა უმრავლესობა გამოთქმულ მოსაზრებებს იზიარებს. რესპონდენტთა 67% თვლის, რომ ოჯახის ბიუჯეტი ცოლ-ქმრის შეთანხმებით უნდა შედგეს და დაიხარჯოს. ამ მოსაზრებას იზიარებს ორივე სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა. საოჯახო ბიუჯეტის შედგენაში ორივე მეუღლის აქტიური მონაწილეობა არა მხოლდ სასურველია, არამედ აუცილებელიცაა, რადგან ამ შემთხვევაში მეუღლეები თავს

გრძნობენ ვალდებულად მიჰყვნენ შედგენილ გეგმას. ერთად შედგენილი ბიუჯეტი ეხმარება მათ უკეთესად განკარგონ ოჯახის შემოსავალი, გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები. საოჯახო ბიუჯეტის შედგენა-განკარგვისადმი სტუდენტთა დამოკიდებულება მოწმობს, რომ სტუდენტები ოჯახში მეუღლეთა თანაბარ გავლენას ანიჭებენ უპირატესობას. ასეთ ურთიერთობას კი სამეცნიერო ლიტერატურაში პარტნიორობის სინკრეტულ ტიპს უწოდებენ. პარტნიორობის სინკრეტულ ტიპის ოჯახებში როლები თანაბრადაა განაწილებული, გადაწყვეტილებები მიიღება თითქოს „კოლექტიური აზროვნების“ მიერ და ეს კომპრომისი კი არ არის, არამედ თითოეული მეუღლის დამოუკიდებლობის აღიარებაა.

სტუდენტი რესპონდენტების ცხრა მეათედზე მეტი თვლის, რომ მეუღლეები ოჯახში საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ. რაც იმის მაუწყებელია, რომ მას შემდეგ რაც ისინი ოჯახს შექმნიან კიდევ უფრო გაიზრდება ოჯახები მეუღლეთა თანაბარი გავლენით. ანუ აღწარმოების უახლესი ტიპისათვის ოჯახები პარტნიორობის სინკრატული ტიპის იქნება.

ოჯახის პრობლემების შემსწავლელი ერთ-ერთი თეორია სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ყურადღებას ამახვილებს რა ოჯახის წევრების ურთიერთქმედებასა და წყვილების სიახლოვეზე, აღნიშნავს, რომ ის მნიშვნელოვნადაა დაფუძნებული სიტუაციის ერთნაირად გაგებაზე. თუმცა არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა სიტუაციის სხვადასხვაგვარი აღქმა გაგება ხდება მეუღლეთა მხრიდან. ასეთ შემთხვევაში როგორი ურთიართობა შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ მეუღლეთა მხრიდან? როგორც სტუდენტი რესპოდენტების მესამედზე მეტი მიიჩნევს მეუღლეები ერთმანეთს ემორჩილებიან, მაშინაც კი, როცა მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მათი თითქმის ნახევარი (49%) კი ამ მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს.

ოჯახური ცხოვრება დაკავშირებულია ისეთ საკითხთან როგორიცაა მართვა. ოჯახი უამრავ ფუნქციას ასრულებს. იმისთვის

რომ ეს ფუნქციები ეფექტუად განხორციელდეს საჭიროა ოჯახის გონივრული მართვა. ტრადიციულად საქართველოში ოჯახის მართვა მამაკაცის მოვალეობა იყო, რადგან ის იყო „ოჯახის თავი“. ამ უკანასკნელს არა მხოლოდ გამორჩეული უფლებები, არამედ ოჯახის ცხოველმყოფელობაზე გამორჩეული პასუხისმგებლობაც ჰქონდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებებმა ადეკვატური ცვლილებები მოითხოვა „ოჯახის თავის“ ცნების განსაზღვრაშიც. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც ოჯახის საკითხების მკვლევარებმა დაიწყეს იმ ცვლილებების შეცნობა, რომლებსაც ოჯახში ჰქონდა ადგილი. ამ პერიოდიდან დაიწყო ოჯახში ძალთა გადანაწილების, დომინირების, ლიდერობის, პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა განაწილების, როლებრივი ურთიერთობების შესწავლა. ოჯახების განმარტება დაიწყო ისეთი განსაზღვრებებით, როგორიცაა: „ორ უფროსიანი“, „სიმეტრიული“, „ეგალიტარული“, „ცოლ-ქმრული“. ეს ცვლილებები დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ქალს ოჯახში სულ უფრო მეტი ძალაუფლება ენიჭება.

მკვლევართა ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში. ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გადაწყვეტილების მიღებას. ოჯახში ძალაუფლებას, როგორც წესი, ის იძენს ვინც დიდი ზომით ფლობს მატერიალურ სიკეთეს, ანუ ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას ახდენს. ეს უკანასკნელი ასევე განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებასაც. თანამედროვე ყოფაში ოჯახის მატერილურ უზრუნველყოფას მხოლოდ მამაკაცი არ ახდენს. ხშირ შემთხვევაში ქალის შემოსავლები აღემატება კიდეც მამაკაცისას. ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ოჯახში ძალთა გადანაწილებაზე.

როგორც გამოკვლევები ადასტურებენ თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახის უფროსის ინსტიტუტისადმი შეიცვალა. სტუდენტი რესპონდენტების ნახევარზე მეტის აზრით აუცილებელია ოჯახში ლიდერის, ანუ

„ოჯახის უფროსის“ არსებობა (53,4%). ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ „ოჯახის უფროსის“ ტრადიციული გაგება შეიცვალა, მაგრამ ის დარჩა, როგორც აუცილებელი რგოლი საოჯახო ურთიერთობათა სისტემაში. ამასთან, ის არის ფუნქციური როლი, რომელიც ახლა უკვე შეიძლება შეასრულოს არა მხოლოდ მამაკაცმა, არამედ ქალმაც, ან ორივემ ერთად. ოჯახის უფროსი ასრულებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საოჯახო მიზნების მისაღწევად ოჯახის ყველა წევრის ქმედებათა კორდინაცია; ცხოვრებისეულ პერსპექტივათა განსაზღვრა; ოჯახის განვითარება; ოჯახის წევრებისათვის რწმენის გაღვივება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოციალურ–ფსიქოლოგიური ან საოჯახო-პოლიტიკური აზრით, ცნება „ოჯახის უფროსი“ („ოჯახის თავი“) შენარჩუნებული იქნება, ვიდრე იარსებებს ოჯახი, ვიდრე მოთხოვნადია ლიდერობაზე სოციალური მოთხოვნილებები, მისწრაფებები პრესტიჟისა და სტატუსის ამაღლებაზე, გარკვეული სოციალური კუთვნილების შეცვლაზე და ა.შ. თუმცა ამ როლს ოჯახში შეასრულებს არა მხოლოდ ერთი მეუღლე, არამედ ცოლ-ქმარი ერთად. [მენაბდიშვილი ლ. 2018: 187-188]

ცნობილი რუსი სოციოლოგი ს. გოლოდი თვლის, რომ თანამედროვე ეტაპზე ოჯახი თავის განვითარებას გადის ცოლ-ქმრობის პერიოდში. ცოლი და ქმარი ყოველთვის წარმოადგენდა ოჯახის საფუძველს. მაგრამ მათი კავშირი იყო ან ეკონომიკური, ან რეპროდუქციული, ან აღმზრდელობითი, მაგრამ არა ცოლ-ქმრული. ცოლ-ქმრობა კი წარმოადგენს ცოლისა და ქმრის პიროვნულ ურთიერთქმედებას, რომელიც რეგულირდება მორალური პრინციპებით და შენარჩუნებულია იმანენტური ღირებულებებთ. პრინციპები, რომლებიც ცოლ-ქმრობის საფუძველში დევს რეალიზდება სოციალური ძვრების შედეგად, რომელსაც თან სდევს მამაკაცთა ინდივიდუალიზაცია

(შერჩევითობის გაფართოება, შინაგანი პასუხისმგებლობის ზრდა, სოციალურ ერთობლიობისაგან ავტონომიურობა) და ამ თვისებების ქალებზე გავრცელება, რაც შეუძლებელი იქნებოდა მათი ეკონომიკური და სამოქალაქო ემანსიპაციის გარეშე. ცოლ-ქმრობა ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას, რომელიც ხორციელდება თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ თავისებურებათა გახსნით. ასეთ შემთხვევაში ურთიერთობები ცოლ-ქმარს შორის განისაზღვრება არა ნათესაობით (როგორც პატრიარქალურ ოჯახში) და არა შვილების დაბადებით (როგორც შვილთა ცენტრისტულ ოჯახში), არამედ თვისებებით. ცოლ-ქმარი თავის ინტერესებს უსიტყვოდ აღარ უქვემდებარებენ შვილების ინტერესებს, მათი ურთიერთობები ემყარება ეროტიზმს, რომელიც ახალი ოჯახის საკვანძო მომენტად გაიაზრება. ასეთი ოჯახის ტიპის ფარგლებში იქმნება თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობები. [ა. სულაბერიძე, გ. წულაძე, ც. გვრიტიშვილი, ნ. გომელაური. 2018: 59-60]

სტუდენტი ახალგაზრდების წარმოდგენები, მოსაზრებები და ღირებულებები ოჯახისადმი მკვეთრად განსხვავებულა უფროსი თაობის დამოკიდებულებისაგან, სადაც წამყვანი სიტყვა მამაკაცს ეკუთვნოდა და ოჯახის მარჩენალიც ის იყო. სტუდენტთა წარმოდგენით ძალთა გადანაწილება ოჯახში უფრო დემოკრატიულ ხასიათს ატარებს. ოჯახის ნორმალური ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ფუნქციათა სამართლიან გადანაწილებაზე ცოლ-ქმარს შორის და ორივე მეუღლის მატრეიალური და ემოციური მხარის დაკმაყოფილებაზე. ფსიქოლოგები თვლიან, რომ თუ მეუღლეებს ოჯახში სოციალური განწყობები მყარი აქვთ ასეთი ოჯახი მყარია. ამასთან, ნორმალურად ფუნქციონირებად ოჯახში შესრულდება ოჯახის უმთავრესი ფუნქცია – საზოგადოებას მისცეს ნორმალური, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოლქმრული კავშირი ყოველთვის ჰარმონიული როდია. არის შემთხვევები, არც თუ ისე ცოტა, როცა ცოლქმრული კავშირი გადადის მუდმივი დაპირისპირებისა და იძულებითი თანამშრომლობის მდგომარეობაში. ოჯახის წევრებს შორის დაგროვილი დაძაბულობა იწვევს მუდმივ გაღიზიანებას, აგრესიულობას, რასაც შეიძლება ძალადობაც კი მოჰყვეს. ოჯახში ადამიანი ეძებს ემოციურ კომფორტს, ურთიერთმხარდაჭერას, კარგ კომუნიკაციას და გრძნობების გაზიარებას, რაც შეუძლებელია მუდმივი კონფლიქტების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება შეურაცხყოფამდეც კი მივიდეს. როგორც მართვის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები განმარტავენ, კონფლიქტი ეს არის თანხმობის არ არსებობა, როცა კონფლიქტში მონაწილე მხარეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მიღებული იყოს მათი შეხედულებები და ხელს უშლის მეორე მხარეს იგივეს გაკეთებაში. კონფლიქტის არსის პოზიტიურ-ფუნქციონალური გაგებით -- კონფლიქტი არის ბრძოლა ღირებებულებისათვის და გარკვეული ამბიციები სოციალურ სტატუსთან, ძალაუფლებასთან, მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობასთან დაკავშირებით. [ფარესაშვილი ნ. 2012]

წინა თაობისაგან განსხვავებით სტუდენტი ახალგაზრდების პოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ოჯახური კონფლიქტების საკითხშიც. თუ წინა თობისთვის ოჯახი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მზად იყო მის შესანარჩუნებლად მოეთმინა შეურაცსხყოფა ოჯახის სხვა წევრისაგან, სტუდენტები ასე არ თვლიან. პირიქით, მათი უმრავლესობის აზრით (65%), ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, ოჯახის წევრმა არ უნდა მოითმინოს შეურაცხმყოფა ოჯახის სხვა წევრისაგან. ამგვარი პოზიცია განსაკუთრებით მაღლია გოგონებში (72%), ვაჟებთან შედარებით (56,5%).

ოჯახის ფსიქოლოგიური კლიმატი ყველაზე მეტად მეუღლეთა შეთავსებადობაში ვლინდება. შეთავსებადობა კი უფრო

ხშირად ვლინდება ღირებულებათა შეფასებაში, ზნეობრივ ნორმებსა და მათ იერარქიაში. აზრთა სხვადასხვაობა ყველაზე მეტად თავს იჩენს განსხვავებული ღირებულებების მქონე მეუღლეებში. მეუღლეთა შეუთავსებლობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მეუღლეთა ასაკის, განათლების და ზოგადი კულტურის განვითარების დონე. ასევე, მეუღლეთა პიროვნული თავისებურებები, ხასიათი და ტემპერამენტი.

მკვლევართა აზრით, ქორწინების და ოჯახის ყველა უბედურება წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათისაა და პიროვნებათშორისი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე მეორე მეუღლის თვისებრივ პრიზმაში აღიქმება. ოჯახის, როგორც ინსტიტუტის არამყარობა იგრძნობა რიგი პრობლემების წარმოქმნით, რომელთა წარმატებული მოგვარება დამოკიდებულია პარტნიორის ინდივიდუალურ თვისებებზე. განქორწინების ზრდის ძირითადი მიზეზი „ხასიათის შეუწყობლობა“ მიიჩნევა.

მეუღლის თვისებისადმი „მოთხოვნილების ზრდა“ სულაც არ ნიშნავს „პიროვნების მაღლ განვითრებას“ ან თანასწორობისაკენ სწაფვას. მეტი მნიშვნელიბა ენიჭება საქორწინო პარტნიორის შერჩევას, ვიდრე ცოლქმრობის ურთიერთობების გახანგრძლივებას. „მეუღლით დაუკმაყოფილებლობა“ რთულია აიხსნას დისპოზიციური სტრუქტურის განხილვის გარეშე. საქორწინო პარტნიორის ცვლა უფრო ადვილად ხორციელდება, ვიდრე მათი ხელახალი „აღზრდა“. ქორწინებისადმი ასეთი დამოკიდებულება კი განაპირობებს განქორწინებას. [https://lib.sale/otrasli-menedjment/menedjment-domashnem-hozyaystve.html]

სტუდენტი ახალგაზრდების დამოკიდებულება საკითხისადმი: „განქორწინება საუკეთესო გამოსავალია, როდესაც წყვილი ვერ აგვარებს ოჯახურ პრობლემებს და ხშირად აქვს უთანხმოება“ არ არის ერთმნიშვნელოვანი. მათი ყველაზე დიდი ნაწილი (43%) მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას,

32%-მა მკვეთრად გამოხატა თავისი პოზიცია და მოსაზრება გაიზიარა. გოგონები უფრო კატეგორიულები არიან და ეთანხმებიან განქორწინებას (35%), ვიდრე ვაჟები (27%). ამგვარი დამოკიდებულების არსებობა თუნდაც აზრის დაფიქსირების დონეზე გოგონების მხიდან პროგრესულადაც შეიძლება მოვიაზროთ, თუ გათვალისწინებული იქნება უთანხმოების მიზეზები რომლებსაც ისინი ასახელებენ: დამოკიდებულება მავნე ჩვევებისადმი (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები), ოჯახისადმი უყურადღებობა და ეჭვიანობა. მკვლევართა აზრით, წარმატებული ქორწინების მოთხოვნილებამ, ნაწილობრივ ან სრული დაუკმაყოფილებლობის პირობებშიც კი, შეიძლება მეუღლეებს გაუჩინოს მოტივაცია ქორწინების გასამყარებლად და ოჯახური კლიმატის გასაუმჯობესებლად. ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს სტუდენტი რესპონდენტების ის 43%, რომელიც ნაწილობრივ ეთანხმენა განქორწინების საუკეთესო გამოსავლის მოსაზრებას.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები

ოჯახში მნიშვნელოვანია ურთიერთობის ორი ტიპი: ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის და ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. ამ ურთიერთობათა ხასიათი განსაზღვრავს ოჯახის სახეს. იდეალური ოჯახი სიხარულის და დახმარების წყაროა. აქ ოჯახის ყველა წევრი თავს ბედნიერად და დაცულად გრძნობს. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ არც თუ იშვიათია ისეთი ოჯახები სადაც ძალადობენ ოჯახის წევრებზე.

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი, ამასთან სპეციფიკურიცაა, რადგან ხორციელდება ოჯახის

წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრზე. არც თუ შორეულ წარსულში ოჯახური ძალადობის ფაქტები არ ხმაურდებოდა და არც სამართალდამცავების მხრიდან ეთმობოდა დიდი ყურადღება. ეს ტენდენცია მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისთვის არ იყო დამახასიათებელი. მაგალითად, 1960-იან წლების ბრიტანულ პოლიციაში ითვლებოდა, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტების განხილვა ზედმეტ გარჯად არ ღირდა. მაგრამ მას შემდეგ რაც 1970-იანს წლებში ქალთა ორგანიზებული ჯგუფების ძალისხმევით ამ საკითხზე მასმედიაში აქტიური გაშუქება დაიწყო, სამართალდამცავთა დამოკიდებულება შეიცვალა. [სტივ ბრიუსი. 2018] დღეისათვის მთელ რიგ ქვეყნებში მდგომარეობა მკვეთრადაა შეცვლილი. მათ შორისაა საქართველოც.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობისათვის და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. სამინისტრო სხვა უწყებებთან და საერთშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობის დაძლევაზე. ამ მიზნით 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. 2012 წლის მაისში სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია.

საქართველო ტრადიციულად ჩაკეტილი ტიპის საზოგადოება იყო, რომელმაც არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. ამ გზაზე ჩვენმა ქვეყანამ უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადა, რაც გამოიხატება: სამოქალაქო ომში, ეკონომიკურ რღვევაში, ინფლაციაში, კორუფციაში, უმუშევრობასა და შეიარაღებულ კონფლიქტებში, რასაც მოჰყვა ტერიტორიის დაკარგვა. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მოქალაქეთა სოციალურ აზროვნებაზე. მოქალაქეები არასტაბილურ და მძიმე

მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ხშირ შემთხვევაში მამაკაცს აღარ შეეძლო ოჯახის რჩენა და ეს ფუნქცია ქალმა აიღო. მათ ოჯახის რჩენის მიზნით ისეთი სამსახურის შესრულება დაიწყეს, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ განათლებასა და კვალიფიკაციას. ხშირად ისინი ოჯახსაც ტოვებდნენ და საზღვარგარეთ მიდიოდნენ. ეს კი იწვევდა ოჯახური ღირებულებების გადაფასებას, მეუღლეთა ურთიერთობების შეცვლას, გაუცხოებას და ა.შ. რაც ოჯახური პრობლემების მნიშვნელოვანი მიზეზია.

2015 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ბრძანებს: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა მკვიდრდება, რომელშიც ყველა ეძებს თავისას და არა იმას, რაც სათნოა ქრისტესათვის (ფილ. 2,4). სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება – ჩვეულებად, გულგრილობა – წესად, უზნეობა და თავაშვებულობა – მისაბაძად, ცილისწამება და ძალადობა – ყოველდღიურ მოვლენად; ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებლთათვის ცოდვითი ყოფა ნორმად ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება. აგრესია განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდებში და მამაკაცების გარკვეულ ნაწილში: განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენლისა და და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს ტვირთი დაემატა ქალს, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ცოლსა და ქმარს შორის ფუნქციური ბალანსი სრულად დაარღვია. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას, რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალის სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება. [ილია II. 2015]

საგანგაშო ინფორმაციას იძლევა ოჯახში ძალადობის სტატისტიკა. მარტო 2013-2018 წლებში დაფიქსირდა 6 464 ძალადობის შემთხვევა, 172 ჯანმრთელობის დაზიანება და 89 მკვლელობა. ოჯახში მომხდარი დანაშაულის ყველაზე მეტი

შემთხვევა თბილისში (1779), იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმსა (1106) და კახეთში (784) დაფიქსირდა.

დღეს მკვეთრად არის შეცვლილი დამოკიდებულება ძალადობისადმი. რაზეც მეტველებს მიმართვიანობის მკვეთრი ზრდა. მიმართვიანობის ზრდის შედეგად 2015 წლიდან ყოველწლიურად 50%-ით იზრდებოდა შემთხევათა რაოდენობა.

ცხრილი 13. ოჯახში მომხდარი დანაშაულის შემთხვევები

წლები	2013	2014	2015	2016	2017	2018-ის I კვარტალი
დანაშაულის შემთხვევათა რიცხვი	459	591	901	1416	2192	1163

წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI

ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ოჯახური ურთიერთობების კვლევის საქმეში. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყო ოჯახური ურთიერთობების, ოჯახში გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობის საკითხების კვლევა.[6]

დიდ სოციალურ სისტემებზე გათვლილი ძალადობის დეფინიცია ამგვარია: ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვება ქონების დაზიანება ან განადგურება, ან პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი. ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, რაც გარკვეულ მიკროსქემას ქმნის – სახელმწიფო სახელმწიფოში. მაკრო და მიკრო სისტემებს შორის გასაოცარი კანონზომიერება არსებობს, ერთის მდგომარეობა და კეთილდღეობა განსაზღვრავს მეორის მდგომარეობას და

[6] ოჯახური ურთიერთობები და თობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართვლოში, UNFRA, თბ. 2010; ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, UNFRA, თბ 2010; ოჯახური ძალადობა ქალზე – მრავალკომპონენტიანი კვლევა, თბ 2006.

კეთილდღეობას, და პირიქით. ამდენად ძალადობის განმარტება ოჯახზეც ვრცელდება, ოღონდ მოქმედებს შემცირებული მასშტაბით.

მცდარია მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა. ის შეიძლება ოჯახის ნებისმიერ წევრებს შორის განხორციელდეს, მაგრამ ოჯახურ ძალადობათა შორის ყველაზე ხშირად ცოლ-ქმარს შორის ძალადობა ფიქსირდება. ოჯახში ძალადობად ითვლება: ფიზიკური ძალადობა (ცემა), სექსუალური ძალადობა, მუქარა, ემოციური ძალადობა (სისტემატიური ყვირილი, გინება), საზოგადოებისაგან იზოლაცია, რაიმე ქმედების მუქარით აკრძალვა, დაშინება და ა.შ.

ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ის ხშირ შემთხვევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს. მოძალადეც და მსხვერპლიც შეიძლება იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი.

ცხრილი 14. ოჯახში ძალადობის მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში 2011-2017

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
	ოჯახში ძალადობის ფაქტების ჩამდენთა რაოდენობა						
მამაკაცები	240	291	207	690	2283	2544	3490
ქალები	21	22	18	60	185	222	393
	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა						
მამაკაცები	32	27	20	87	337	381	497
ქალები	253	308	220	742	2301	2585	3599

წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI

ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი მიძღვნილი ანგარიში და კვლევები, რომლებიც ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ეხებოდა ოჯახში ძალადობის მასშტაბებს

და პრობლემის შესახებ ინფორმირებულობას. ჩვენი კვლევა, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს არსებული კვლევების შევსება/გაღრმავებას, იმ აზრით, რომ უკვე ჩატარებული კვლევებისაგან განსხვავებით, ჩვენ შევისწავლეთ სტუდენტების წარმოდგენები, დამოკიდებულებები, ქმედებები, განცდები ოჯახში ძალადობისადმი. ახალგაზრდების ამ სოციალური ჯგუფის ინფორმირებულობის, დამოკიდებულების და სოციალური ცნობიერების შესწავლა, საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ რამდენად არიან ისინი მზად ჰარმონიული ოჯახის შესაქმნელად.

ნებისმიერი საკითხისადმი გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გაცნობიერებული გქონდეს მისი არსი. რესპონდენტთა ინფორმირებულობის გასარკვევად მივეცით ჩამონათვალი და მათ უნდა აღენიშნათ თითოეულ მათგანზე იყო თუ არა ძალადობის გამოვლენა.

ცხრილი 15. მიგაჩნიათ თუ არა ძალადობის გამოვლენად

	დიახ, ძალადობის გამოვლენაა		
	მამაკაცი	ქალი	სულ
ცემა	93,5	98,2	96,0
იძულებითი სქესობრივი ურთიერთობა	84,6	91,3	88,2
საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედების იძულება	77,4	90,1	84,2
საჯარო დამცირება	75,3	83,3	79,6
მეგობრებთან ურთიერთობის აკრძალვა	65,9	82,4	74,8
ოჯახის რომელიმე წევრისათვის მუშაობის აკრძალვა	57,3	81,4	70,3
სიტყვიერი მუქარა	50,3	75,5	63,9
გინება ოჯახის წევრის მიმართ	41,9	72,4	58,3
საოჯახო ან სხვა საგნების მოხმარების აკრძალვა	43,4	59,8	52,2
სისტემატიურად ფულის მიუცემლობა	33,3	51,4	43,0
წყევლა ოჯახის წევრის მიმართ	33,7	49,8	42,4

ცხრილი 16-დან ნათლად ჩანს, რომ რესპონდენტები კარგად ერკვევიან ძალადობის სახეებში. თუმცა გოგონები უფრო ინფორმირებულები არიან, ვიდრე ვაჟები. ამასთან გოგონებიც და ვაჟებიც გინებას უფრო მეტად მიიჩნევენ ძალადობად, ვიდრე წყევლას. ის რესპონდენტი გოგონები, ვინც აღნიშნა, რომ გინება ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის გამოვლენაა 22,6%-ით უსწრებს მათ, ვინც წყევლას თვლის ძალადობის გამოვლენად. ხოლო ვაჟებში განსხვავება ასეთი მაღალი არ არის – 8,2%-ია.

ცხრილი 16. ოჯახური ძალადობის გამომწვევი პირველი მნიშვნელობის მიზეზები

	მამაკაცი	ქალი	სულ
ოჯახის წევრის მოტყუება	19,0	12,1	15,3
საოჯახო საქმეების არათანაბარი განაწილება	1,4	2,5	2,0
აზრთა სხვადასხვაობა ბავშვების აღზრდის საკითხებში	4,3	1,2	2,7
ალკოჰოლური სასმელების მოხმარება	29,0	26,9	27,9
ნარკოტიკის მოხმარება	27,9	19,8	23,6
ოჯახის წევრის ღალატი	33,0	16,1	23,9
უთანხმოება ოჯახის ბიუჯეტის განაწილებისას	4,3	0,6	2,3
მატერიალური გაჭირვება	15,8	11,8	13,6
უმუშევრობა	14,7	12,7	13,6
გაუარესებული საბინაო მდგომარეობა	3,9	5,9	5,0
ნათესავთა ჩარევა ოჯახის საქმეებში	4,3	4,9	4,7
ეჭვიანობა	23,7	22,9	23,3
განათლების დაბალი დონე და არასწორი აღზრდა	7,5	17,6	13,0
გავლენის ძალაუფლების მოპოვების სურვილი	5,0	6,5	5,8
სიყვარულის დეფიციტი ოჯახში	10,0	11,8	11,0
არასასურველი ფეხმძიმობა	0,7	0,0	0,3

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, რესპონდენტებს უნდა დაელაგებინათ მნიშვნელობის მიხედვით; „პირველი მნიშვნელიბის“, „მეორე მნიშვნელბის“ და „მესამე მნიშვნელობის“. ძალადობის გამომწვევი პირველი მნიშვნელობის მიზეზებში აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება გოგონა და ვაჟ რესპონდენტებს შორის. გოგონებში ძალადობის გამომწვევი პირველი მნიშვნელობის ხუთეულში მოხვდა: ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, ეჭვიანობა, ნარკოტიკის მოხმარება, განათლების დაბალი დონე და არასწორი აღზრდა, ოჯახის წევრის ღალატი. ვაჟ რესპონდენტებში ოჯახის წევრის ღალატი პირველ ადგილზეა. მას მოჰყვება ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, ნარკოტიკის მოხმარება, ეჭვიანობა, ოჯახის წევრის მოტყუება.

საყურადღებოა, რომ მატერიალური გაჭირვება, უმუშევრობა და სიყვარულის დეფიციტი ოჯახში, არ მოხვდა არც ვაჟების და არც გოგონების დასახელებულ პირველი მნიშვნელობის ხუთეულში. რაც იმის მაუწყებელია, რომ მათ არ მიაჩნიათ ძალიან მნიშვნელოვნად არც ეკონომიურ-სოციალური და არც დადებითი ემოციის დეფიციტი ძალადობის პირველი მნიშვნელობის მიზეზად. თუმცა ეს განხილული მიზეზები მეორე მნიშვნელობის ხუთეულში მოხვდა. ვაჟებთან ნათესავთა ჩარევა ოჯახის საქმეებში და სიყვარულის დეფიციტი, ხოლო გოგონებთან მატერიალური გაჭირვება, სიყვარულის დეფიციტი ოჯახში და გავლენისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი, თანაბარი მაჩვენებლით, შევიდა ხუთეულთა სიაში. მესამე მნიშვნელობის ხუთეულში უკვე დასახელებული მიზეზები მოხვდა, მხოლოდ განხვავება ის არის, რომ ვაჟების დახასელებულ მიზეზებში თანაბარი მაჩვენებლით შევიდა განათლების დაბალი დონე და არასწორი აღზრდა და გავლენისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილი.

ოჯახში ძალადობის ფაქტები ახალი არ არის, თუმცა ადრე ასეთი ფაქტები არ ხმაურდებოდა. რადგან მათი გახმაურება სირცხვილად ითვლება. ამას ისიც ემატებოდა, რომ ასეთი ფაქტები გარეშე თვალთაგან დაფარულია და, თანაც საზოგადოება ამას

უყურებს როგორც ოჯახის შინაურ საქმეს. ტრადიციულად ოჯახი ხელშეუხებელად და მის საქმეებში ჩარევა ცუდ ტონად ითვლებოდა. თითქმის არავინ უჩივოდა სასამართლოში ქმარს ცემისთვის ან სექსუალური ძალადობისთვის. ბუნებრივია, არავის სიამოვნებს გააგებინოს სხვებს როგორ ცემს და ამცირებს მეუღლე. ძალადობას თან ახლავს შიში, შეურაცხყოფა, დეპრესია, საკუთარი ღირსების დაკარგვა, სიბრაზე, ნევროზი, აგრესია. ასეთ ოჯახებში გაზრდილი მოზარდების ურთიერთობის ფორმა ძალადობა ხდება. ამიტომ ოჯახში ძალადობა ანგრევს არა მარტო მეუღლეთა ურთიერთობებს, არამედ ანადგურებს მომავალი თაობის ფსიქიკას.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 70% მომსწრეა ოჯახური კონფლიქტის. ამასთან, 2,3-ჯერ აღემატება იმ სტუდენტების რიცხვი, ვინც იშვიათად შესწრებია ოჯახში კონფლიქტს მათზე ვინც ამ ფაქტის ხშირი მომსწრეა. შეუძლებელია არ დაეთანხმო მ. შელიას ახალგაზრდებზე ოჯახური კონფლიქტების გავლენი საკითხში. მას მიაჩნია, რომ ოჯახური კონფლიქტი ცუდი მასწავლებელია ახალგაზრდობისათვის. იგი ძირს უთხრის მათ თვალში ოჯახს, როგორც უმთავრეს ღირებულებას. იწვევს უარყოფითი ემოციების დაგროვებასა და ოჯახური ცხოვრების წესისადმი ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბებას. [მ. შელია, 2015: 102] ოჯახური კონფლიქტის მომსწრე ადამიანი დიდ სტრესს განიცდის, რასაც შესაძლებელია დეპრესია ან ემოციური აშლილობა მოჰყვეს. ამას თავად რესპონდენტებიც ადასტურებენ. კონფლიქტურ სიტუაციებს შემსწრე სტუდენტებს შორის ყოველი მეექვსე ძლიერი ემოციური სტრესის ქვეშ ხვდება (ვტირივარ, უმართავი ვხდები), ასევე ყოველი მეექვსე ცდილობს გაიქცეს კონფლიქტური სიტუაციის ზონიდან (ჩავიკეტები ჩემთვის, გავდივარ სახლიდან).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ იმ სტუდენტებს შორის რომლებიც შესწრებიან კონფლიქტს ოჯახში, ყოველი მეხუთე თვლის, რომ ოჯახში მომხდარი კონფლიქტი მისი საქმე არ არის. ნახევარზე მეტი (54%) ცდილობს რამენაირად განმუხტოს

კონფლიქტური სიტუაცია: თავად შეარიგოს კონფლიქტში მონაწილე მხარეები, ან მოძებნოს ვინმე ვინც დაეხმარება კონფლიქტის მოგვარებაში. იმ ახალგაზრდების რაოდენობა ვინც თვითონ ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას 5,4-ჯერ აღემატება მათ, ვინც ამ პრობლემის გადაჭრას სხვისი დახმარებით ფიქრობს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არც თუ შორეულ წარსულში ოჯახში ძალადობა ტაბუირებული თემა იყო. არ ითვლებოდა მიზანშეწონილად ამ საკითხზე ღიად საუბარი. მაგრამ ბოლო პერიოდში მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა, გაიზარდა მიმართვიანობა ძალადობის ფაქტების შემთხვევაში. განხორციელდა რიგი ღონისძიებები, ადამიანთა მენტალიტეტი თანდათან შეიცვალა, ეს, რა თქმა უნდა, უფრო მეტად უნდა გამიოკვეთოს ახალგაზრდებში, წინა თობისაგან განსხვავებით. თუმცა, მეტად დამაფიქრებელი შედეგები მივიღეთ რესპონდენტთა დამოკიდებულების განხილვისას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამჟღავნებასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები (45%) მიიჩნევს, რომ ოჯახის წევრთა შორის ძალადობის ფაქტები უნდა გამჟღვნდეს. მათზე 7%-ით ნაკლებმა საკუთარი პოზიციის გამოხატვა ვერ შეძლო (მიჭირს პასუხის გაცემა 38%), იმათზე, ვისი აზრითაც ძალადობის ფაქტები უნდა გამჟღავნდეს, 2,5-ჯერ ნაკლები აღმოჩნდნენ ისინი ვინც ამის წინააღმდეგია. გენდერულ ჭრილში საკითხის ანალიზმა აჩვენა, რომ გოგონები უფრო თამამები არიან საკუთრი პოზიციის დაფიქსირებისას, ვიდრე ვაჟები, თუმცა მათ შორისაც ყოველი მეათე ფიქრობს, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტები არ უნდა გამჟღავნდეს. ვაჟების უმრავლესობა საკუთარი პოზიციის გამოხატვისაგან თავს იკავებს. ამასთან ის ვაჟები ვისი აზრითაც არ უნდა გამჟღავნდეს ოჯახში მომხდარი ძალადობის ფაქტები 2,5-ჯერ აღემატება იმავე აზრზე მყოფ გოგონათა რაოდენობას.

რესპონდენტებს ვთხოვეთ აეხსნათ რა მიზეზით არ უნდა მოხდეს ოჯახური ძალადობის გამჟღავნება. რესპონდენტთა ორივე ჯგუფის წარმომადგენლები: პირველი, ვინც თვლის, რომ ოჯახში

მომხდარი ძალადობის გამჟღავნება არ შეიძლება და, მეორე, ვინც საკითხისადმი კონრეტული პასუხის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა, აღნიშნავენ, რომ ასე მოქცევა არ არის სასურველი. სტუდენტთა დამოკიდებულება საკითხისადმი დამაფიქრებელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უმრავლესობა თავს არიდებს კონკრეტულ პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ძალადობა ოჯახში არის დანაშაული. თუმცა, შეფარვით მაინც აფიქსირებს თავის პოზიციას, რადგან იმ რესპონდენტებს შორის ვისაც გაუჭირდა კონკრეტული პასუხის გაცემა ოჯახში ძალადობის ფაქტების გამჟღავნების შესახებ ვაჟების 50,9% და გოგონების 61,8% აღნიშნავს, რომ არ არის სასურველი ასე მოქცევა, ე.ი. ემხრობიან იმ პოზიციას, რომ ძალადობა არ უნდა გამჟღვდეს. მათთვის ოჯახურიძალადობის ფაქტები კვლავ შიგაოჯახურ საკითხად რჩება, ანუ ამ მხრივ ახალგაზრდების ცნობიერებაში ოჯახი ჩაკეტილ სივრცედ აღიქმება, სადაც ყველა საკითხი ოჯახის შიგნით უნდა მოგვარდეს, თუნდაც ის დანაშაულის სახეს ატარებდეს. ეს კარგად გამოიკვეთა სტუდენტების მიერ დასახელებული მიზეზების ჩამონათვალში რის გამოც არ უნდა გამჟღავნდეს ოჯახური ძალადობის ფაქტები.

ცხრილი 17. მიზეზით რის გამოც არ უნდა გამჟღავნდეს ოჯახში ძალადობა

	მამაკაცი	ქალი	სულ
ეს ჩრდილს აყენებს ოჯახის პრესტიჟს	7,6	6,9	7,3
ეს ლახავს ოჯახის წევრის თავმოყვარეობას	20,5	18,6	19,7
ოჯახი, რომ არ დაინგრეს	7,6	8,8	8,2
არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ შეიძლება	29,0	32,3	30,5
ეს ოჯახის პირადი საქმეა	35,3	33,4	34,3

რესპონდენტთა თითქმის მეხუდეთი თვლის, რომ თუკი გამჟღვნდება ოჯახში მომხდარი ძალადობის შემთხვევები, შეილახება ოჯახის წევრის თავმოყვარეობა. ვფიქრობთ, თავმოყვარეობასთან დაკავშირებით არასწორი წარმოდგენები აქვთ

ამ ახალგაზრდებს, რადგან, ჯერ ერთი, თავმოყვარე ადამიანი სხვაზე არ იძალადებს, ე.ი. ვერ იქნება მოძალადე და, მეორე, არ შეიძლება თავმოყვარე ადამიანი იყო მსხვერპლის როლში და ამას არ ამჟღავნებდეს, რადგან სწორედ თავმოყვარეობა არ მოგცემს ადამიანს იმის ნებას მუდმივად ითმინო დამცირება. დასაფიქრებელია, რესპონდენტებს ასეთი შეხედულება რატომ ჩამოუყალიბდათ. სავარაუდოა, რომ მათ არა აქვთ სათანადო ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ. რაც შეეხება იმ მიზეზს, რომელიც ყველაზე მეტმა რესპონდენტმა დაასახელა - „ეს ოჯახის პირადი საქმეა“, კიდევ ერთხელ ადასტურებას იმას, რომ მათი მენტალიტეტი არაფრით განსხვავდება იმ ადამიანების მენტალიტეტისაგან, რომლებიც, წლების წინ, ფიქრობდნენ, რომ ოჯახში ძალადობა „შინაური საქმეა“ და არ უნდა გასცდეს ოჯახის ფარგლებს.

2006 წლის 25 მაისს გამოიცა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამ კანონის მიზანია ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით შექმნას მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები. [საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. 2006] თუმცა, ოჯახში ძალადობა მხოლოდ ამ კანონით არ რეგულირდება. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი მექანიზმებიც. მაგრამ მათზე ამჯერად არ შევჩერდებით. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია რანდენად არიან რესპონდენტები ინფორმირებულები საქართველოს კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კვლევის შედეგების ანალიზიდან ნათელი

გახდა, რომ ამ კანონს არ იცნობს რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი - 83%. ცხადია, მათ არ იციან სახელმწიფოს დონეზე როგორ წყდება ძალადობის გამოვლენა და აღკვეთა. შევეცადეთ გაგვერკვია, რესპონდენტთა აზრით ძალადობის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს მსხერპლმა. რესპონდენტთა ყოველი მეექვსე თვლის რომ არავის. ყოველი მეხუთეს აზრით ახლობლების წრეში (თვისი ან მაუღლის მშობლები, ნათესავები) უნდა მოგვარდეს ეს საკითხი. პასუხები: „საკუთარ მშობლებს, ნათესავებს“, „მეუღლის მშობლებს, ნათესავებს“, „არავის“ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დამოკიდებულებას, რომ ოჯახში ძალადობა „შინაური საქმეა“ და ოჯახის ფარგლებში რჩება. თუმცა რესპონდენტთა შორის აღმოჩნდნენ პოზიტიურად მოაზროვნეებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქვეყანაში არსებობს რიგი ინსტიტუტები, რომლებსაც შეიძლება მიმართოს მსხვერპლმა. ასეთ ინსტიტუტებში დასახელდა: სამართალდამცავი ორგანოები (39%), ფსიქოლოგი (9%), სოციალური მუშაკი (8%), მოძღვარი (8,5%).

რესპონდენტის ქცევის გამოსავლენად, მივეცით ასეთი შეკითხვა: „თქვენი ახლობელი, რომ განიცდიდეს ოჯახში ძალადობას, რა სახის დახმარებას გაუწევდით მას?“ რესპონდენტთა მოსაზრება ძირითადად ორ ჯგუფად გაიყო: ერთი, არანაირ დახმარებას არ გაუწევს (16,7%), რადგან თვლის რომ ეს მათი პარადი საქმეა და, მეორე, რომელიც გაუწევს დახმარებას. მეორე ჯგუფში გაერთიანებული ახალგაზრდები 4-ჯერ აღემატება პირველ ჯგუფში გაერთიანებულებს. ამასთან, მეორე ჯგუფის ახალგაზრდები ორ ნაწილად იყოფიან: ვინც პირადად თვითონ ეცდება კონფლიქტის მონაწილეთა ურთიერთობის მოგვარებას და ვინც პატრულს მიმართავს დახმარებისათვის. ეს უკანასკნელნი 1,7-ჯერ ნაკლებნი აღმოჩნდნენ მათზე, ვინც საკუთრი ძალით ეცდება პრობლემის გადაჭრას.

რესპონდენტთა ქცევას არაპირდაპირ ეხება ისეთი საკითხი როგორიცაა: ოჯახის წევრის საპასუხო რეაქცია ფიზიკურ

ძალადობაზე, ანუ რა უნდა იყოს მსხვერპლის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოძალადეზე. 38,3% მიიჩნევს, რომ მოძალადე პასუხისგებაში უნდა მიეცეს. მათზე 4%-ით ნაკლები გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას ანიჭებს უპირატესობას. მათგან უმეტესობის აზრით მეუღლე უნდა გააფრთხილო, რომ ძალადობის განმეორების შემთხვევაში განქორწინდები, ხოლო მათზე 4,5-ჯერ ნაკლები გამოსავალს მოთმენაში ხედავს. სად გადის მოთმენის ზღვარი, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ძალადობის მოთმენა უცნობია. თანაც, ამას ასახელებს ორივე სქესის წარომადგენელი. მართალია გოგონათა რაოდენობა ჩამორჩება ვაჟებისას, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ფაქტი საყურადღებოა. ასეთი გოგონები მორჩილებისთვის არიან განწირულნი. მათ არ შეეძლებათ საკუთარი თავისა და უფლებების დაცვა. ვაჟები კი, დიდი ალბათობით, მომავალში, საკუთარი მეუღლეებისაგან მორჩილებას და მოთმენას მოითხოვენ.

ცხრილი 18. მიზეზები, რის გამოც ცოლმა უნდა მოითმინოს ქმრის ძალადობა

ცოლმა უნდა მოითმინოს ქმრის ძალადობა	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ უპასუხა
თუ უყვარს ქმარი	7,8	15,6	75,1	1,5
თუ არ სურს იყოს მარტოხელა	7,6	12,3	78,7	1,4
მომავალში ქმრის გამოსწორების იმედით	8,0	30,0	60,0	2,0
თუ არ აქვს სხვაგან წასასვლელი	6,9	15,9	73,4	3,8
ბავშვების გამო	10,6	21,0	65,9	2,5
ოჯახის რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით	6,5	17,3	74,6	2.6

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიზიკურ ძალადობაზე საპასუხო რეაქციებში დასახელდა „მოთმენა“. საინტერესოა, რის გამო უნდა

მოითმინოს ცოლმა ქმრის ძალადობა? რესპონდენტთა აზრის გასაცნობათ მივეცით ჩამონათვალი თეზისების სახით. უნდა გაცნობოდნენ და აღენიშნათ სამი სავარაუდო პასუხიდან, „ვეთანხმები“, „ნაწილობრივ ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, ერთ-ერთი.

გოგონები უფრო კატეგორიულები არიან და ყელა ჩამოთვლილ შემთხვევაში უფრო მეტად, ვიდრე ვაჟებს, მიაჩიათ, რომ ცოლმა არ უნდა მოითმინოს ქმრის ძალადობა. საკითხი როცა ეხება მომავალში ქმრის გამოსწორების იმედით ძალადობის მოთმენას, აქ ვაჟები მოსაზრებას თითქმის თანაბარია ნაწილობრივ დათანხმებასა არ დათანხმებასთან.

რადგან ყურადღება გავამახვილეთ ცოლის მიერ ძალადობის მოთმენაზე, არ შეიძლება არ შევეხოთ საკიხს, რა შემთხვევაში აქვს ქმარს საკმარისი მიზეზი ცოლზე ძალადობისათვის. დასახელდა სამი მიზეზი ეჭვიანობა, ღალატი და ცოლის მხრიდან საოჯახო საქმეების ქმრის მოსაწონად შესრულება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა არცერთ შემთხვევაში, უმეტესწილად არ ამართლებს ძალადობას.

ცხრილი 19. ცოლზე ძალადობისათვის საკმარისი მიზეზები

ცოლზე ძალადობისათვის საკმარისი მიზეზია	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	არ უპასუხა
თუ ცოლი ვერ ასრულებს საოჯახო საქმეს ისე, როგორც ქმარს სურს	4,2	11,6	75,0	9,2
ეჭვიანობა	15,8	23,0	59,8	1,4
ღალატი	24,7	22,4	51,0	1,9

მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ახალგაზრდებში ოჯახური

ურთიერთობების კულტურის ამაღლების მიზნით კვლავ ბევრია გასაკეთებელი. აუცილებელია მათი უფრო მეტი ინფორმირებულობა, რისთვისაც საჭიროა ახალგაზრდების აღზრდა – სწავლებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. აუცილებელია, მეტი ინფორმაციის მიწოდება ოჯახური ცხოვრების წესზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, ცოლ-ქმრის თანასწორობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, მათ უფლებებსა და მოვალეობაზე. საჭიროა ამ საქმეში ჩაერთოს სკოლა, რადგან ოჯახური გარემო ძალიან დიდ როლს თამაშობს მოზარდის ფსიქიკაზე, მისი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე. რაც შეეხება პიროვნული თვისებების ფსიქოლოგიურ მხარეს. ამ საკითხის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Dutton-მა. როგორც მისი ფსიქოლოგიური თეორია განსაზღვრავს, ბავშვებში განცდილი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტრამვა იწვევს მოძალადის დაქვემდებარებულობის განცდას და თუ ის მოხვდა ისეთ გარემოში სადაც წახალისებულია ქალის მიმართ ძალადობრივი ქცევა ეს აისახება მის მიერ პარტნიორთან ძალადობრივ ურთიერთობებში. [Dutton and Golant. 1995]

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახეა ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლების ძალადობა შვილებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ შვილის ცემას მშობლები ძალადობად არ თვლიან, რატომღაც აღზრდის მეთოდად მიიჩნევენ. თავიანთ ქცევას კი ამართლებენ შვილის ცუდი საქციელით ან უსწავლელობით. მშობელი ამგვარი საქციელით ცდილობს დაიმორჩილოს შვილი და აიძულოს გააკეთოს ის რაც მის ნებას ეწინააღმდეგება. ცემა და იძულება, საკუთარი ნების წინააღმდეგ, ძალადობის ფორმაა. რესპოდენტებს უნდა გამოეხატათ დამოკიდებულება არასრულწლოვანი ბავშვის ფიზიკურ დასჯასთან დაკავშირებით, ბავშვის ცუდი ყოფაქცევის და სწავლის გამო. მათი 70,3% მშობლის მხრიდან

განხორციელებულ ამგვარ ქმედებას დაუშვებლად მიიჩნევს. ეს ტენდენცია შეინიშნება ორივე სქესის წარმომადგენლებში.

ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერად ქმედება, ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგნ, რომელიც დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე. ოჯახში ძალადობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მოძალადეც და მსხვერპლიც ერთი ოჯახის წევრები არიან და ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი, ამიტომ უმეტესად ასეთი ფაქტები არ ხმაურდება. ამასთან ძალადობრივი ქმედება მოძალადის მხრიდან „ეფექტურად“ მიიჩნევა მსხვერპლთან ურთიერთობის გასარკვევად. სინამდვილეში ძალადობის თემა მეტად მტკივნეულია, რადგან მის უკან იმალება წყენა, ტკივილი, უბედურება. ამიტომ აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება.

რესპონდენტებს უნდა გამოეხატათ საკუთარი აზრი ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების შესახებ და დაეჯგუფებინა ისინი „პირველი მნიშვნელობის“, „მეორე მნიშვნელობის“ და „მესამე მნიშვნელობის“ მიხედვით. პირველი მნიშვნელობის საჭირო ზომად რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ოჯახურ ცხოვრებასა და ოჯახურ ურთიერთობებზე ახალგაზრდებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება მიიჩნია. რომლის მერე სიხშირით გამოირჩევა ქვეყანაში სოციალური პრობლემების მოგვარება. ასევე ახალგაზრდების გენდერული თანასწორობით აღზრდა. მეორე მნიშვნელობის განსახორციელებელ ზომად რესპონდენტები კანონის გამკაცრებას და ეკლესიის როლის გაძლიერებას მიიჩნევენ. რაც შეეხება მესამე მნიშვნელობის ზომებს, აქ ლიდერობს ქორწინებისას საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა, სადაც გაწერილი იქნება მეუღლეთა უფლება მოვალეობა.

დავეთანხმებით ჩვენს რესპონდენტებს და ვიტყვით, ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, უნდა ამაღლდეს

საზოგადოებრივი ცნობიერება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ოჯახში ძალადობა საფრთხეს უქმნის და მავნე გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ამიტომ დაუშვებელია, ოჯახში ძალადობის ფაქტები მხოლოდ და მხოლოდ შიგაოჯახურ პრობლებად ითვლებოდეს, როგორც ეს ჩვენი რესპონდენტების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია. აუცილებელია პირველ რიგში ყურადღება მიექცეს ახალგაზრდა თაობის ჯანსაღად აღზრდას, მათთვის საღი აზრის მიწოდებას, იმ ღირებულებებით აღზრდას რითიც ისინი თავისუფალ და ლაღ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან. ამასთან, როგორც ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნას და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია.

სექსუალური თავისუფლება და თანაცხოვრება ახალგაზრდებში

1960-იანი წლებიდან დასავლეთში იწყება სქესობრივი მორალის ინტენსიური და ფართო გადახედვა. შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი სექსუალურ ურთიერთობებზე. ახალგაზრდები გამოდიოდნენ, შეზღუდული და კონფრომისტული საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც ამას თავად უწოდებდნენ, მოთხოვნით, რომ სექსუალური ურთიერთობების შეზრუდვა და რეპრესირება არ შეიძლება, რადგან ეს ბუნებრივი, ბიოლოგიური მოვლენაა. ეს იყო სექსუალური რევოლუცია, რომელიც უკავშირდებოდა ინდივიდუალიზაიასა და ქალთა ემანსიპაციის საერთო პროცესებს და თავის თავში მოიცავდა როგორც დადებით, ისე უარყოფით მომენტებს. საზოგადოების ევოლუციასთან ერთად, სოციალური კუთხით მამაკაცი და ქალი უფრო თანასწორუფლებიანები გახდნენ, გაჩნდა ინდივიდუალობის განვითარების დიდი თავისუფლება – არა საზოგადოებისაგან დადგენილი

სტანდარტებით, არამედ საკუთარი მიდრეკილებების შესაბამისად. შეიცვალა ოჯახური ურთიერთობები. ამ პერიოდში სექსუალურ-ეროტიკული ურთიერთობები სულ უფრო მეტად გაემიჯნა შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციას. სექსის სფეროში ტრადიციული ურთიერთობების რღვევამ გამოიწვია სექსუალური თავისუფლება, ქორწინებამდელი კავშირების შეფასების ცვლილება, პროსტიტუციის აყვავება და ა. შ. დაბალი სექსუალური კულტურის მქონე საზოგადოებების წინაშე წარმოიშვა ისეთი პრობლემები, როგორიცაა არასასურველი ფეხმძიმობა და აბორტები, ვენერიული დაავადებებისა და შიდსის გავრცელება, განქორწინების რიცხვის ზრდა. სექსუალური რევოლუციის დამკვიდრება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დასავლეთის მდიდარ ქვეყნებში, რადგან მის დასამკვიდრებლად საკმარისი არ იყო ინდუსტრიისა და მედიცინის განვითარება, მას ხელი შეუწყო ლიბერალიზმმა.

სოციალურ ცვლილებათა ციკლური თეორისს ავტორი პიტირიმ სოროკინი გამოყოფდა კაცობრიობის განვითრების სამ ფაზას: „იდეაციონარს“, რომლისთვისაც დამახასიათებეი იყო განჭვრეტითი აზრის დომინირება; „იდეალისტურს“ და „მატერიალისტურს“ ანუ „სენსიტიურ ფაზას“, რომელსაც მართავს არა იდეათა, ან გონის იდეათა ავტორიტეტი, არამედ გრძნობა. სოროკინის აზრით, დასავლეთის სამყარო უკვე „წარმოუდგენელ“ კრიზისშია შესული, რადგან მოგვიანებით სტადიაზე „სენსიტიური კულტურა“ იწვევს დეზორგანიზაციას, ამორალობას და მღელვარებას, საქმის მოგვარების ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს „გამოფიტული (და სტერილური) სენსიტიური კულტურის საფუძვლების შეცვლა“ ახალი სოციოკულტურული წესრიგით. აუცილებელია სოციალურ ურთიერთობათა რადიკალური ტრანფორმაცია, ახლანდელი საქორწინო კონტრაქტებიდან კეთილ ნებასა და რელიგიაზე დაფუძნებულ ფამილისტიკურ ურთიერთობაზე გადასვლა. დღეს ეს

ეგოცენტრიზმის ჭეშმარიტი ალტერნატივაა იმ ვითრებაში, რომლებშიც არ არსებობს სხვა გზა თავი ავარიდოთ ბარბაროსულ დეგრადაციას, გარდა იმისა, რომ გამეფდეს ფამილიზმი. აღდგენა იქნება რთული, მაგრამ ეს ცხოვრების წყვდიადიდან გადარჩენის ნამდვილად ერთადერთი იმედია. [კარლსონი ალან. 2017: 14-15]

2003 წელს რონალდ ინგლპარტმა და პიპა ნორისმა გამოაქვეყნეს სტატია „ცივილიზაციათა რეალური შეტაკება“. სადაც ავტორებმა გაანალიზეს მსოფლიო ღირებულებების კვლევის უკანასკნელი ორი ტალღა, რომლებიც ჩატარდა 1995-1996 და 2000-2002 წლებში და მოიცვა მსოფლიოს სამოცდაათზე მეტი ქვეყანა. ანალიზის შედეგად ავტორებმა დაასკვნეს, რომ „კულტურული რღვევა, რომელიც დასავლეთს და ისლამურ სამყაროს ჰყოფს ეხება პიროვნულ თავისუფლებას სექსუალურ საკითხებში, დამოკიდებულებას განქორწინებისადმი და გენდერულ თანასწორობას“. ავტორთა განცხადებით სწორედ ეს შეხედულებები განსაზღვრავენ განსხვავებებს დასავლურ სამყაროსა და სხვა ცივილიზაციებს შორის. [ქართული საზოგადოების ღირებულელები. 2006: 17-18]

მსოფლიო ღირებულებების კვლევის ორი ტალღა არ მოიცავდა საქართველოს, თუმცა მოიცავდა თორმეტ ტრადიციულად მართლმადიდებელ ქვეყანას, რომელთა შორის არის რუსეთი და საბერძნეთი. მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით კი დაუშვებელია სექსუალური თავისუფლება.

ჩვენ საზოგადოებას, ტრადიციულად, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს სექსუალური თავისუფლებისადმი. ამგვარ დამოკიდებულებას ამყარებს ჩვენი სარწმუნოებაც. ქრისტიანულ სარწმუნოებას არც თუ იშვიათად აიგივებენ მორალურ დოქტრინასთან. ქრისტიანული რელიგია ყველა თავისი ფუნქციით მიმართულია იმისკენ, რომ გონივრულ საზღვრებში ჩააყენოს და განამტკიცოს ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრება. ის მორწმუნეს

თავშეკავებული ცხოვრებისკენ მოუწოდებს. მორწმუნე ადამიანის მორალური ცნობიერება განსაზღვრავს მის ქცევას. ღმერთის რწმენა იწვევს ადამიანის ტრანსფორმაციას, პირველ რიგში, თვით ღმერთის, მეორე, ერთმანეთისადმი სიყვარულის და პატივისცემის მიმართ. ამდენად, ღმერთის რწმენა განსაზღვრავს ადამიანის მთელ პრაქტიკულ ზნეობას, მორწმუნის ქცევა კონტრილდება თავად სარწმუნოებით, რადგან: „რწმენა საბოლოო ანგარიშით, ადამიანის სულით შეხვედრაა ღმერთთან“. [С. Франк. 1992: 225] მაცხოვარი ბრძანებს: „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.“ (მათე 6.33) ეკლესიის წიაღში ცათა სასუფევლის დამკვიდრების ორი კურთხეული გზა არსებობს – ქალწულობისა და ქრისტიანული ქორწინების. ორივე გზა საპატიოა და ზეცად ამყვანებელი. თუმცა პირველს მეორესთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია, რაც სულ მცირედიდაც არ აკნინებს ღვთივკურთხეულ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, რაზეც ასე განგვსწავლის დედა ეკლესია „საიდუმლოჲ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთვის და ეკლესიისა (ეფეს, 5.32). [ბიძინა გუნია. 2012] ამდენად, ქალწულობის დაცვის უდიდეს მნიშვნელობას გვასწავლის ჩვენი სარწმუნოება.

გლობალიზაციის პროცესმა ჩვენს საზოგადოებაში შემოიტანა სულ უფრო და უფრო მეტი მოულოდნელი სიახლე, რომელიც თითქმის ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის ოჯახსაც. ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის გაიზარდა თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულება. ამგვარი ქმედება სულ უფრო დასაშვები ხდება და თანდათან მნიშვნელობას კარგავს წყვილის ქორწინების გარეშე ცხოვრების ნეგატიური პოზიციის დაცვა. საზოგადოება ასევე ტოლერანტული გახდა ქორწინების გარეშე შობადობისადმი, განქორწინებისადმი. ამ ბოლო დროს ხშირია, ფარულად თუ აშკარად, სექსუალური

თავისუფლების პროპაგანდა. სამწუხაროდ, მის მავნე შედეგებზე ყურადღება არ მახვილდება.

2007 წლის საშობაო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქი ილია II ქადაგებს: „მასმედიის საშუალებით ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მასში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლას და გადაგვარებას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩენთაგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას. ეს ისეთივე მნიშვნელოვანი ომია, როგორც ჩვენ მამა-პაპათ გამოუვლიათ. უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა, ესაა სოციალური ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ- კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.“ [საპატრიარქოს უწყებანი 2007: 3]

პიროვნების შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის შედეგებს გვიჩვენებს ამერიკელი მეცნიერი, ფსიქოლოგი მაიკლ სოკარიდესის კვლევა ჰომოსექსუალებზე. იგი არის ავტორი ფუნდამენტური ნაშრომისა „როგორ გაპედერასტდა ამერიკა“. მ. სოკარიდესი ათწლეულების განმავლობაში სწავლობდა, იკვლევდა და მკურნალობდა ჰომოსექსუალებს. ამ კვლევის შედეგად ის მივიდა დასკვნამდე, რომ მხოლოდ 2-3% იბადება მამათმავლებად და დედათმავლებად, დანარჩენი, 97-98% სექსუალურ ორიენტაციას იცვლის არასწორი აღზრდის, ბავშობაში გაუპატიურების, ფსიქიკური აშლილობის თუ პროპაგანდის შედეგად. სოკარიდესის დასკვნა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია

იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას და პროპაგანდას ახალგაზრდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ეკლესიას ნდობის მაღალ ხარისხს უცხადებს. ე.ი. მართლმადიდებლური ეკლესია ყველაზე მაღლი ნდობის მქონე სოციალური ინსტიტუტია საქართველოში.[7] ამასთან, ქვეყნის ძირითადი აღმსარებლობა მართლმადიდებლობაა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელია (2014 წლის საყოველთო აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელია), მართლმადიდებელი ტაძრები სავსეა მრევლით, რაც იმის მაუწყებელია, რომ ისინი იზიარებენ და ცხოვრობენ იმ მცნებებით, რომელსაც ჩვენი ეკლესია ქადაგებს. ამასთან, საყოველთოდ ცნობილია, რომ ღირებულებების სიმყარეს ხელს უწყობს რწმენა. როგორც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს „წმინდა წერილზე დაყრდნობით ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა ქრისტიანული ქორწინების, შვილიერების, ოჯახური ცხოვრების მტკიცე კანონები, რომელთა დარღვევა არავის ეპატიება, რადგან ოჯახი სახლია ეკლესიისა“ [ილია II. 1989].

ადამიანთა ღირებულებებსა და ქცევის ნორმებზე რწმენის დიდი გავლენის არაერთი მაგალითი არსებობს. ასე მაგალითად, Jurnal of Socio-Economics (1997) იუწყება, რომ შვედეთში ეკლესიაში მოსიარულეთა შორის მცირდება აბორტების, განქორწინების,

---

[7] ეს დასტურდება არაერთი კვლევით. ასე მაგალითად: ფონდი რია საზოგადოება საქართველო, ქართული საზოგადოების ღირებულებები. 2006. ეკლესიისადმი ძალიან დიდი ნდობა აქვს 54,1%, საკმაოდ დიდი - 21,0%, დიდი - 12,2%.
ელგუჯა მენაბდიშვილი. სტუდენტი ახალგაზრდობის რელიგიისადმი დამოკიდებულება. ანალები 2012. ეკლესიისადმი ძალიან დიდი ნდობა აქვს - 78,8%, დიდი - 14,7%.

გაბანკროტების, ქორწინების გარეშე შობადობის დონე და ეს ტენდენცია შესამჩნევია არამორწმუნეთა შორისაც, რომლებიც ქრისტიანებს შორის ცხოვრობენ. ასევე, Jurnal of Marriage and the Family (1998) გვაუწყებს, რომ მაშინ როცა ყველა თეთრკანიან ქალს შორის 18 წლამდე ასაკში ქალწულთა ხვედრითი წილი ექვსი წლის განმავლობაში დაეცა 51%-დან (რომელიც იყო 1982 წელს), 42%-მდე (1988 წლის მონაცემებით), მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობაა იმ მოზარდ გოგონებს შორის, რომლებიც ფუნდამენტური პროტესტანტიზმის მიმდევრები იყვნენ. მათთან იგივე ექვსი წლის განმავლობაში. ეს წილი გაიზარდა 45-დან 61%-მდე. [კარლსონი ალან. 2017: 25-26]

დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხშირად შუქდება თავისუფალი სექსუალური ურთიერთობების, არასტანდარტული სქესობრიბრივი ურთიერთობის საკითხები. ნებსით თუ უნებლიეთ მიდის მათი პროპაგანდა, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს. ათი მცნებიდან, რომელიც ყველა ქრისტიანმა უნდა დაიცვას, ერთ-ერთია „არ იმრუშო“. სიძვა შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათა შორისაა. ჩვენი ინსტიტუტის მიერ მართლმადიდებელ მორწმუნეებში[8] სხვადასხვა დროს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით ნათლად გამოჩნდა პროპაგანდის მნიშვნელოვანი გავლენა მორწმუნეთა ცნობიერებაზე. ათი წლის განმავლობაში თითქმის 14 პროცენტით შემცირდა მათი რიცხვი, ვინც იზიარებს მოსაზრებას, რომ

[8] 2004 წელს კვლევა ჩატარდა ელგუჯა მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით, გამოიკითხა 1500 მართლმადიდებელი მორწმუნე, ხოლო 2015 წელს ავთანდილ სულაბერიძის ხელმძღვანელობით გამოიკითხა 1000 მართლმადიდებელი მორწმუნე რესპონდენტი. ამ კვლევაში უდიდესი დახმარება გაგვიწია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა, პოტოპროსვიტერმა გიორგი ზვიადაძემ და პრორექტორმა ბესარიონ ცინცაძემ. ინტერვიუერებად მონაწილეობდნენ სასულიერო სემინარიის სტუდენტები.

ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება არ უნდა ჰქონდეს ქალს.

ცხრილი 20. მართმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებილება ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის გამოცდილებაზე

წლები	ქალს ქორწინებამდე უნდა ჰქონდეს სექსუალურ ურთიერთობის გამოცდილება								
	ვიზიარებ			არ ვიზიარებ			მიჭირს პასუხი		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
2004	1,6	3,9	1,6	94,3	86,4	89,1	4,1	9,7	9,3
2015	5,7	5,1	5,3	72,0	76,7	75,2	22,3	18,2	19,5

კვლევამ აჩვენა, რომ მორწმუნეების არც თუ მცირე ნაწილი ლოიალურია მარტოხელა ქალის მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობის საკითხში. შეკითხვას „დასაშვებია თუ არა მარტოხელა ქალის მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა?“ რესპონდენტთ 52,4%-მა დადებითი პასუხი გასცა. რესპონდენტთა 60,2% კი იზიარებს მოსაზრებას „წყვილს შეუძლია დაქორწინების გარეშეც იცხოვრის ერთად.“ ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მართლმადიდებელი მორწმუნეები საკმაოდ ლოიალურები გახდნენ პარტნიორთა თანაცხოვრების ანუ პარტნიორთა ისეთი ურთიერთობისადმი, რომლის დროსაც არ ხდება მათი ქორწინების არც სამართლებრივი და არც ეკლესიური აღიარება, რაც მათი სარწმუნოების ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება.

მაშინ როცა, მართლმადიდებელ მორწმუნეთა ღირებულებები მეტნაკლებად განიცდის ცვლილებებს, ბუნებრივია, საზოგადოების არამორწმუნე წევრებისთვის ეს ცვლიებები უფრო მარტივი იქნება. სექსუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებით არ არსებობს გასული საუკუნის 90-იან წლებზე

ადრინდელი სოციოლოგიური მონაცემები. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ეს საკითხი ტაბუირებული იყო. 90-იანი წლების ბოლოს გაეროს განვითარების პროგრამა - საქართველოს ფარგლებში ჩატარებულ იქნა კვლევა ოჯახთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმ ცვლილებებზე, რომლებიც მიმდინარეობდა ოჯახში დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პირობებში. ამ კვლევის თანახმად ქორწინებამდე სექსუალური პარტნიორის ყოლას ქალისთვის კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს გამოკითხულთა 50,5%, ხოლო მამაკაცისთვის მხოლოდ 7%. ნ. დურგლიშვილი ასკვნის, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ ძირითად თავისებურებებს, რაც ქართული ოჯახის ცხოვრების წესისთვის ტრადიციულად იყო დამახასიათებელი, შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაცემები (მაგალითად, 45,5%-ის მიერ ქორწინებამდე ქალისთვის სხვა სექსუალური პარტნიორის ყოლის დასაშვებად მიჩნევა) სექსუალური ცხოვრების საკითხისადმი მიდგომის საგრძნობი ლიბერალიზაციის მაჩვენებელია. [ნ. დურგლიშვილი. 1997: 15-16]

ახალგაზრდების შემთხვევაში ეს ღირებულებები უფრო მარტივად იქნება ათვისებული. წინა თაობისაგან განსხვავებით, რადგან მათი ცნობიერების ჩამოყალიბება იმ პერიოდში მოხდა, როცა შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება სექსუალური თავისუფლებისადმი და ამგვარი ქმედება ამორალურ საქციელად აღარ ითვლება. სწორედ, გარდამავალი პერიოდის ახალგაზრდობას ეხება ფრიდრიხ ებერტის ფონდის მეშვეობით ჩატარებული – თაობა გარდამავალ პერიოდში ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო, რომლის ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლას სექსუალური თავისუფლებისადმი. როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, ახალგაზრდების 23% ნეგატიური დამოკიდებულება აქვს სექსუალური თავშეკავების მიმართ – მათი 13% ფიქრობს, რომ ეს დრომოჭმული ცნებაა, 11% აზრით კი, ეს ფსიქოლოგიურ წნეხს

წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის. ახალგაზრდების ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ სექსუალური თავშეკავება გარკვეულწილად ღირსებას წარმოადგენს ორივე სქესისათვის, ხოლო ასევე ერთი მესამედი ფიქრობს, რომ ის ღირსებას წარმოადგენს მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის (31%).

სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო ტრადიციული შეხედულებები აქვთ. მათი უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავებულობა ღირსებაა ორივე სქესისთვის (41%) ან გოგონებისათვის (31%), მაშინ როცა ასეთი შეხედულებები ნაკლებად გავრცელებულია ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის (36% და 33% შესაბამისად). დედაქალაქში ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავებულობა ახალგაზრდობისათვის ფსიქოლოგიურ წნეხს წარმოადგენს (17%) ან დრომოჭმული ცნებაა (18%), სხვა ქალაქებში (9% და 13% შესაბამისად) და სოფლებში (7% და 8% შესაბამისად) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. საცხოვრებელი ადგილის გარდა, განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორისაც. უფრო პატარა ასაკის ახალგაზრდებს შორის, მცირედით მეტად ვლინდება სექსუალური თავშეკავებულობის დრომოჭმულ ცნებად (14% 14-18 და 19-24 ასაკობრივ კატეგორიებში და 11% 25-29 ასაკობრივ კატეგორიაში) ჩათვლის ტენდენცია. 25-29 წლის რესპონდენტები უფრო ტრადიციული ღირებულებების მატარებლები არიან, რადგან მათი აზრით, სექსუალური თავშეკავებულობა ღირსებას წარმოადგენს გოგონების შემთხვევაში (36%), მაშინ როცა ამგვარი მოსაზრების მქონე ახალგაზრდების წილი 14-18 ასაკობრივ კატეგორიაში უფრო ნაკლებია (25%). განსხვავება ასევე თვალსაჩინოა ახალგაზრდების რელიგიურ აქტივობებში ჩართვის ინტენსიურობის კუთხითაც. გასაკვირი არაა, რომ ტრადიციული შეხედულებები უფრო რელიგიურ ახალგაზრდებში სჭარბობს. იმ ახალგაზრდების დიდი

ნაწილი, რომლებიც მხოლოდ ზოგჯერ ან საერთოდ არ ესწრებიან ღვთისმსახურებას, ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავება ფსიქოლოგიური წნეხი (13%) ან დრომოჭმული ცნებაა (14%), მაშინ როცა ამ აზრს ნაკლებად ეთანხმებიან ის ახალგაზრდები, ვინც რეგულარულად ან ხშირად ესწრებიან წირვას (8% და 10% შესაბამისად). სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა. მხოლოდ ბიჭების მცირედით მეტი რაოდენობა ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავება დრომოჭმული ცნებაა (14% - ბიჭები და 11% - გოგონები). [https://library.fes.de/]

სექსუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად კვლევა ჩავატარეთ სტუდენტ ახალგაზრდებში. შევისწავლეთ მათი დამოკიდებულება სექსუალური თავისუფლებისადმი. სტუდენტთა სექსუალური თავისუფლების შესასწავლად გამოვიყენეთ შეკითხვები: „პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ სექსუალური თავისუფლებისადმი“ და „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს სრული სექსუალური თავისუფლებით.“ სტუდენტთა სექსუალური თავისუფლებისადმი დამოკიდებულების შესწავლამ აჩვენა, რომ საკითხისამი უარყოფითად განწყობილი სტუდენტები თითქმის სამჯერ აღემატებიან დადებითად განწყობილ სტუდენტებს (25,5%). ამასთან, სექსუალური თავისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გოგონებში უფრო მეტად (79%) გამოვლინდა, ვიდრე ვაჟებში (60,5%). რაც შეეხება სრული სექსუალური თავისუფლებით ცხოვრების პრინციპისადმი დამოკიდებულებას, ამ შემთხვევაში სტუდენტების მოსაზრებები უფრო მრავალმხრივი იყო. თუმცა აქაც უმრავლესობას (44,3%) შეადგენდნენ ის სტუდენტები, რომლებიც სრული სექსუალური თავისუფლებით ცხოვრების მოსაზრებას არ იზიარებდნენ. მათზე ოთხჯერ ნაკლებია იმ სტუდენტების რაოდენობა, ვინც წამოყენებულ მოსაზრებას სრულად იზიარებს, ხოლო რესპონდენტთა მეოთხედი ნაწილობრივ იზიარებს. 12,5%–მა პასუხს თავი აარიდა. პასუხთა

გადმოცემული სტრუქტურა მიგვანიშნებს რესპონდენტთა არც თუ მცირე ნაწილის პოზიციის გაურკვევლობაზე, რაც, ვფიქრობთ, დამაფიქრებელია.

რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ ჩვენს საზოგადოებაში როგორი დამოკიდებულება არსებობს ქალწულობის ინსტიტუტისადმი. მათი პასუხების მიხედვით, ჩვენს საზოგადოებაში ქალწულობის ინსტიტუტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა (40,8%) საზოგადოების დამოკიდებულებას საშუალოდ აფასებს. მათზე 1,5–ჯერ მეტი დაბალ შეფასება იძლევა, ხოლო 31% მაღალს. ბუნებრივია, ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება ხელს უწყობდეს ჩვენს საზოგადოებაში ქალწულობის ინსტიტუტის დამცველთა გამრავლებას, რადგან იმ საზოგადოებაში, სადაც არ არის ქალწულობის ინსტიტუტი აღიარებული, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულება, შეუძლებელია ის საზოგადოების ცხოვრების ნორმად იქცეს.

საქართველოში ქალის და მამაკაცის ქორწინებამდელი სექსუალური თავისუფლება ორმაგი სტანდარტის პრინციპით განიხილება. ამას არაერთი კვლევა ადასტურებს, მათ შორისაა 2013 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ საქართელოს სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, კასპი) ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევაც. რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი მიუთითებს რომ ქორწინებამდე ქალს არ უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება (76,4%), მაშინ როცა ასევე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი გამოცდილება მამაკაცს უნდა ჰქონდეს (81,5%). შესაბამისად, ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის გამოცდილების შესახებ რესპონდენტი სტუდენტების მოსაზრება განსხვავებულია იმის მიხედვით თუ საკითხი რომელი სქესის წარმომადგენელს ეხება – ქალს თუ მამაკაცს. რესპონდენტთა 72% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალს ქორწინებამდე არ უნდა ჰქონდეს

სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება, მამაკაცის მიმართ კი პოზიცია განსხვავებულია. 82,8% მიაჩნია, რომ მამაკაცს უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება. მონაცემების ანალიზმა რესპონდენტთა სქესობრივ ჭრილში იგივე შედეგები გაიმეორა.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის უარყოფით მხარეებზე, როგორც თავად პიროვნებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 357 მილიონი ადამიანი ინფიცირდება სქესობრივი გზით გადამდები ოთხი მთავარი ინფექციიდან (სიფილისი, გონორეა, ქლამიდია, ტრიქომონიაზი) ერთ-ერთით. (NCDC.Ge) სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს აქვთ სერიოზული გავლენა სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. საქართველოში სტატისტიკური მონაცემებით ბოლო წლებში აღინიშნება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შემთხვევათა რიცხვის ზრდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით მოზარდებში ბოლო წლებში გამოვლინდა სიფილისის, ტრიქომონიაზის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. სტატისტიკა საგანგაშოა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ეყრდნობა მხოლოდ ექიმთან მიმართვიანობას.

ცხრილი 21. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები მოზარდებში

წლები	0-14 წლამდე	15-19 წლამდე
2016	116	1005
2017	71	834
2018-ის იავარი-ივნისი	30	314

წყარო: www.ncdc.ge › Pages › User › LetterContent

ამასთან, დაავადებათ კონტროლის ეროვნული ცენტრის სტატისტიკის მიხედვით 2018 წლის ექვს თვეში (იანვარი-ივნისი) საქართველოში აღირიცხა 342 არასრულწლოვანის ორსულობა,

მათგან 36 გაიკეთა აბორტი. უფრო მაღლი მაჩვენებლები იყო წინა წლებში: 2017 წელს აღირიცხა 813 ორსულობა და მათ შორის 103 აბორტი, ხოლო 2016 წელს 1190 ორსულობა და მათგან 103 აბორტი. ეს არის შედეგი თავისუფალი სექსუალური ურთიერთობების მავნე პროპაგანდის და სქესობრივი განათლების უქონლობის. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია რეპროდუქტოლოგების, ფსიქოლოგების, განათლების სპეციალისტებისა და სექსოლოგების რჩევები მოზარდებში სქესობრივი განათლების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ცხოვრების თანამგზავრის არჩევა წარმოადგენს. ქორწინების საფუძველი კი პარტნიორის მიერ გარკვეული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღებაა, რაც მნიშვნელოვანწილად კულტურული ნორმებითა არის განპირობებული. ამდენად, ქორწინება კულტურული ფენომენია, რომლითაც ხდება პარტნიორთა შორის მეტ–ნაკლებად მუდმივი კავშირის სანქცირება. ეს არის მოვლენა, რომელიც განაპირობებს ადამიანის ცხოვრების წესისა და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლას.

შეკითხვას: „რატომ ქმნიან ადამიანები ოჯახს?“ რესპონდენტთა უმრავლესობა პასუხობს: „ საყვარელ ადამიანთან მუდმივად ერთად ცხოვრებისთვის.“ „შვილების ყოლის მიზნით.“ ალან კარლსონის აზრით, ნებისმიერი განდგომა საოჯახო ცხოვრების წესისგან – სტაბილური ქორწინებისგან, რამდენიმე შვილის ყოლის სურვილისგან, წინაპრების და შთამომავლობის პატივისცემისგან – სოციალური სტრუქტურის ფამილისტიკური ფასეულობებისგან ნებისმიერი გადახრა, ჩვენ, გარკვეული აზრით, ნაკლებად „ადამიანებად“ გვაქცევს. ბევრისთვის ამ მოულოდნელ მტკიცებულებაში მდგომარეობს სოციალური მეცნიერების ჭეშმარიტი წარმატება. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ყველა მსოფლიო რელიგიების იდეაც არის. დიდი რელიგიები, რომლებიც ერთმანეთისგან ბევრი პუნქტით განსხვავდებიან, ერთსულოვნად

აღიარებენ ოჯახის უდიდეს მნიშვნელობას და გამოხატავენ ოჯახობრიობით ღრმა კმაყოფილებას. გარკვეული სიფრთხილით შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ბუნების შესწავლის შემდეგ მეცნიერება მივიდა დასკვნამდე, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ალეგორიულად ეხმიანება – – თუმცა ნაკლებად პოეტურად — იმას, რაც დიდი ხანია გადმოცემულია ბიბლიაში (ძველი აღქმა, დაბადება, თავი 1 და 2) [კარლსონი. ა 2017: 27]

საქართველოში ქორწინების სამი ფორმა გამოიყოფა: რეგისტრირებული ქორწინება, საეკლესიო ქორწინება და თანაცხოვრება ანუ არარეგისტრირებული ქორწინება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქორწინება წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, რომელიც თავისთავად გულისხმობს დარეგისტრირებას. ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საეკლესიო ქორწინება ანუ ჯვრისწერა, შეიძლება ითქვას, მოდად იქცა. ჯვრისწერა სახელმწიფოს მხრიდან არ არის აღიარებული და, შესაბამისად, არ ახდენს მის აღრიცხვას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქორწინებასთან, რომელიც არ არის ფორმალურად რეგისტრირებული სამოქალაქო წესით, მაგრამ აღიარებულია საეკლესიო წესით. რაც შეეხება თანაცხოვრებას, მან მეოცე საუკუნიდან იჩინა თავი და სულ უფრო და უფრო გავრცელდა.

თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, ერთნი ფიქრობენ, რომ ეს არის გარდამავალი პერიოდი, რომელიც ქორწინებას უსწრებს წინ, ანუ თანაცხოვრება მიჩნეული იყო ქორწინების წინა პერიოდად. მაგრამ მას შემდეგ რაც გავრცელდა და სხვადასხვა სეგმენტი მოიცვა, თანაცხოვრებისადმი თავდაპირველი მოსაზრება შეიცვალა. ახლა უკვე ითვლება, რომ თანაცხოვრებამ შეცვალა ქორწინება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქორწინებასთან რომელიც საერთოდ არ არის რეგისტრირებული, მაგრამ აღიარებულია საზოგადოების მხრიდან. მკვლევართა ნაწილის აზრით, თანაცხოვრება ოჯახის ინსტიტუტს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან საქმე გვაქვს არა

„დროებით მდგომარეობასთან“, არამედ „საბოლოო მდგომარეობასთან“. ეს არის ინტერინდივიდუალური მოვლენა, რომელშიც არც სახელმწიფო და არც ეკლესია არ ერევა. [Gellen Ferreol Yean, Pierre Noreck. 1996]

ცხრილი 22. ქორწინებები რეგისტრაციის ტიპის მიხედვით (%)

ასაკობრივი ჯგუფები	რეგისტრირე-ბული ქორწინება	რელიგიური ქორწინება	არარეგისტრირებული ქორწინება თანაცხოვრება
18–24	76,8	13,0	10,2
25–34	79,6	11,9	8,5
35–44	82,7	7,5	9,8
45–54	92,2	3,3	4,5
55–64	97,3	2,2	0,5
65+	95,5	2,0	2,5
სულ	88,5	5,9	5,6

წყარო: კავკასიის ბარომეტრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება ბარტ დე ბრუნი და მაკა ჭითანავას მიერ.

1986 წელს მკვლევარებმა ვენ დე კაამ და ლესტაგემ დანერგეს ტერმინი „მეორე დემოგრაფიული გადასვლა“. ბევრ ქვეყანაში მეორე დემოგრაფიული გადასვლა გამოწვეული იყო ქორწინებისა და ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული სოციალური ქცევის ნორმებსა და ღირებულებებში მომხდარი სიღრმისეული ცვლილებებით. ევროპის მრავალ ქვეყანაში აღნიშნული ცვლილებების შედეგები მოიცავდა: შობადობის სტაბილურად დაბალ დონეს, ქორწინების გარეშე თანაცხოვრების გაჩენას და ქორწინებასა და შობადობას შორის არსებული კავშირის დარღვევას. [Van de Kaa, D.I. 2002] ეს ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოშიც.

15–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მამაკაცები, სულ დაქორწინებული მამაკაცების 13,1%–ს შეადგენენ, ხოლო იგივე ასაკობრივი ჯგუფის ქალები სულ დაქორწინებული ქალების 13,3%–ს. არარეგისტრირებული

ქორწინებები სულ უფრო ფართოდაა გავრცელებული მცირე ასაკის ახალგაზრდებში. ამაზე მეტყველებს 15–24 წლის ახალგაზრდებში არარეგისტრირებული ქორწინების საგრძნობლად მაღალი მაჩვენებელი. მამაკაცებში ის შეადგენს 32,2%–ს, ხოლო ქალებში 28,3%–ს. რაც უფრო დაბალია ასაკი მით მეტია არარეგისტრირებული ქორწინება. 17 წლის დაქორწინებული ახალგაზრდების 60%–ში ქორწინება არ არის რეგისტრირებული, მათგან განსხვავებით შედარებით შემცირებულია არარეგისტრირებული ქორწინებების წილი 20 წლის ასაკის დაოჯახებულ ახალგაზრდებში და ეს მაჩვენებელი 35,1%–ს შეადგენს.

საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა ახალგაზრდების არარეგისტრირებული ქორწინების განხილვისას. 17–29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში, გარდა 17 წლის ახალგაზრდებისა დაქორწინებულ ახალგაზრდებს შორის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მამაკაცების პროცენტული წილი აღემატება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალების პროცენტულ წილს. ხოლო 29 წლის ასაკის ახალგაზრდებში აღნიშნული მაჩვენებელი მამაკაცსა და ქალს შორის თითქმის თანაბარია. [ფრენკ ილენსი. 2017: 28]

სოციოლოგთა აზრით, თანამცხოვრებლთა მხოლოდ 10% რჩება ერთად ბოლომდე ქორწინების გარეშე. ასეთი წყვილებისათვის თანაცხოვრება ქორწინების გრძელვადიანი ალტერნატივაა, ანუ ოჯახური ფუნქციების შესრულების ერთ–ერთი გზაა, იმ სოციალურ ინსტიტუტებში ჩართვის გარეშე, რასაც ქორწინება აკანონებს [ქ. კალჰუნი, დ. ლაითი. 2007: 388]

თუ სოციოლოგთა მოსაზრებას დავეყრდნობით იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც პარტნიორთან ერთად ცხოვრობენ რეგისტრაციის გარეშე საკმაოდ ცოტა დარჩება ერთად ბოლომდე.

ახალგაზრდების 15–18 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქორწინების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს

რეგისტრაციის საკითხში. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მათთან არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვი აღემატება რეგისტრირებულს. 16 წლის ახალგაზრდებში 1,9–ჯერ მეტია არარეგისტრირებული ქორწინებები რეგისტრირებულზე. 17 წლის ახალგაზრდებში კი 1,5–ჯერ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.[9] არასრულწლოვანის ქორწინების იძულება კი სისხლის სამართლის დანაშაულია. რაც შეეხება 18 წლის ახალგაზრდებს აქ, პირიქითაა, 1,2–ჯერ მეტია რეგისტრირებული ქორწინება არარეგისტრირებულზე. ამის ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ქორწინების მინიმალურ ასაკად განსაზღვრულია 18 წელი. ადრეულ ასაკში ქორწინება მიიჩნევა კანონის დარღვევად, ასევე, ბავშვთა უფლებების დარღვევად და მისი დარეგულირება ხდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსით.

აღწერის მასალებში არ მოიპოვება მონაცემები 15 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების შესახებ. ხშირ შემთხვევაში ადრეული ასაკის პირთა ქორწინების დარეგისტრირება არ წარმოებს, რის გამოც შესაძლებელია, რომ პრობლემა უფრო მწვავე იყოს.

ადრეულ ასაკში ქორწინება გენდერული უთანასწორობის გამოვლინებად არის მიჩნეული, რადგან ის უფრო მეტად აღინიშნება გოგონებში ვაჟებთან შედარებით. ბოლო აღწერით საქართველოში 15–19 წლის ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი ყველა ტიპის ქორწინებაში შეადგენდა 7,1%–ს, ხოლო რეგისტრირებული ქორწინება 2,4%–ს. დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავება თვალშისაცემია. საქალაქო დასახლებებში ყველა ტიპის ქორწინება 4,4%, ხოლო რეგისტრირებული ქორწინება

[9] 2015 წელს სამოქალაქო კოდექსის 1108–ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, მანამდე კი ქორწინებისათის საკმარისი იყო მხოლოდ მშობლების თანხმობა.

1,5%. მაშინ როცა სასოფლო დასახლებებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 10,9% და 3,8%–ს შეადგენს. დასახლების მიხედვით 15–17 ასაკის დაქორწინებული ქალების პროცენტული წილი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში (14,4%), კახეთში (12,4%), გურიაში (10,2%) და აჭარაში (9,4%).

15 წლის ახალგაზრდების დაქორწინების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა (2,9%) ქვემო ქართლში და ის 1,4–ით აღემატება ქვეყნის მასშტაბით ამ ასაკის ახალგაზრდებში დაფიქსირებულ მაჩვენებელს. 16 წლის ახალგაზრდებშიც დაქორწინების მაჩვენებელი ყველაზე დიდია ქვემო ქართლსა (5,6%) და კახეთში (4,9%). იგივე ტენდენციაა 17 წლის ახალგაზრდებშიც. მათთან 8,7% ქორწინება დაფიქსირდა ქვემო ქართლში, ხოლო 7,2% კახეთში. 16–17 წლის ახალგაზრდების მოყვანილი მაჩვენებლები საგრძნობლად აღემატება ქვეყნის მასშტაბით მათივე ასაკის ახალგაზრდების შესაბამის მაჩვენებელს. ამგვარი ტენდენცია გამოწვეულია მოცემულ რეგიონებში მუსლიმი მოსახლეობის სიჭარბით. მათი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე ადრეულ ასაკში ქორწინება გამართლებულია, რის გამოც მისი მაჩვენებელი მუსლიმი აღმსარებლობის მოსახლეობაში 19,6%-ს შეადგენს, რაც 3,6–ჯერ აღემატება მართლმადიდებელი ქრისტიანების, 3,8–ჯერ სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრებს და 5,4–ჯერ კათოლიკებს ადრეულ ასაკში ქორწინების მაჩვენებელს.

ქვეყანაში ფაქტიური არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოქალაქეთა რეგისტრაციის განყოფილებაში იმატა ბავშვთა მამობის დასადგენად მიმართვათა რაოდენობამ, რაც სწორედ არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში ხდება. ამასთან, ხშირია მხოლოდ საეკლესიო წესით (ჯვრისწერა) ქორწინებათა შემთხვევები.

ჩვენს საზოგადოებაში თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებილება სულ უფრო მეტად მკვიდრდება, რასაც სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს. 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშე იცხოვროს ერთად (53,1%). 15,4% კი თავის პარტნიორთან ერთად ცხოვრობს იურიდიული და რელიგიური ქორწინების გარეშე.

ქორწინებისა და თანაცხოვრებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულების გადმოსაცემად მოვიყვანთ 2016 წელს ჩატარებული კვლევის ზოგიერთ შედეგს. ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი (43%) მიიჩნევს, რომ ქორწინების უპირატესობა თანაცხოვრებასთან შედარებით უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ქორწინება პარტნიორებს ერთმანეთის მიმართ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. თუმცა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების ერთი მეოთხედი (25%) ფიქრობს, რომ ქორწინება მათთვის პრიორიტეტულია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ქორწინებას უფრო მეტ პატივს სცემენს, ვიდრე ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას. ათი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთი (11%) რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ქორწინებას და თანაცხოვრებას შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს. ასაკის და სქესის ჭრილში მონაცემი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. რეგიონის ჭრილის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები, თბილისში და ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქორწინების თანაცხოვრებასთან უპირატესობა, პარტნიორებს შორის მეტი პასუხისმგებლობის არსებობაში გამოიხატება (თბილისი: 47%, ქალაქი: 50%, სოფელი: 36%), თუმცა სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების შედარებით დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოში ქორწინებას უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას, ვიდრე თბილისში ან

რეგიონულ ქალაქებში (თბილისი: 15%, ქალაქი: 26%, სოფელი: 33%). აღნიშნული მონაცემი ოჯახური სტატუსის ჭრილში რამდენადმე განსხვავდე ბა ჯამური მაჩვენებლებისგან. მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოში ქორწინებას უფრო მეტ პატივს სცემენს ვიდრე ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას იზიარებს მეტი განქორწინებული ახალგაზრდა, ვიდრე პარტნიორთან თანაცხოვრებაში მყოფები (დაუოჯახებელი – 25%, რეგისტრირებულ ქორწინებაში – 26%, პარტნიორთან არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი – 15%, განქორწინებული – 34%). თუმცა, იმ აზრს, რომ არანაირი განსხვავება და უპირატესობა ქორწინებას თანაცხოვრებასთან მიმართებაში არ გააჩნია პროცენტულად უფრო მეტი თანაცხოვრებაში მყოფი ახალგაზრდა ეთანხმება, ვიდრე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ან განქორწინებული (დაუოჯახებელი – 11%, რეგისტრირებულ ქორწინებაში – 9%, პარტნიორთან არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი – 26%, განქორწინებული – 5%).

რაც შეეხება თანაცხოვრების უპირატესობების განსაზღვრას ქორწინებასთან მიმართებაში, აქ გამოკითხულთა მესამედს (33%) მიაჩნია, რომ არანაირი უპირატესობა თანაცხოვრებას ქორწინებასთან მიმართებაში არ გააჩნია, თუმცა ახალგაზრდების ერთი მეხუთედის მოსაზრებით (20%) თანაცხოვრების შემთხვევაში გაცილებით მარტივია ურთიერთობის დასრულება პარტნიორთან, ვიდრე ქორწინების შემთხვევაში. რესპონდენტების გარკვეული ნაწილი (13%), კი მიიჩნევს, რომ თანაცხოვრებისას პარტნიორებით შედარებით მეტად დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ქორწინებაში მყოფები. მონაცემის რეგიონულ ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ თბილისში და რეგიონულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები, სოფლის მაცხოვრებელ ახალგაზრდებთან შედარებით უფრო მეტად ფიქრობენ, რომ თანაცხოვრებისას პარტნიორები შედარებით მეტად დამოუკიდებლები არიან, ვიდრე

ქორწინებაში მყოფები (თბილისი: 18%, ქალაქი: 14%, სოფელი: 8%), თუმცა მათ შორის ვინც ფიქრობს, რომ თანაცხოვრებას ქორწინებასთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ გააჩნია, უმრავლესობას სოფელში და რეგიონულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები წარმოადგენენ (თბილისი: 27%, ქალაქი: 34%, სოფელი: 37%). რაც შეეხება მოსაზრებას, რომ თანაცხოვრების შემთხვევაში შედარებით მარტივია ურთიერთობის დასრულება, თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონული ქალაქებში ან სოფლებში მცხოვრებთა (თბილისი: 26%, ქალაქი: 21%, სოფელი: 15%). მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ თანაცხოვრებას არანაირი უპირატესობა ქორწინებასთან მიმართებაში არ გააჩნია, უმრავლესობას 19-24 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები არიან (14-18 ასაკობრივი კატეგორია – 27%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია – 36%, 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 34%). მონაცემის სქესის ჭრილში გაანალიზებისას, მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა. თუ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდების 10% ფიქრობს, რომ თანაცხოვრების შემთხვევაში ნაკლებია კონფლიქტების ალბათობა, აღნიშნულ მოსაზრებას თავად თანაცხოვრებაში მყოფი ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი იზიარებს (2%). ხოლო დასაოჯახებელი (31%) და დაქორწინებული (რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი) (33%) ახალგაზრდების თითქმის მესამედი ფიქრობს, რომ არანაირი განსხვავება და უპირატესობები თანაცხოვრებას ქორწინებასთან მიმართებაში არ გააჩნია, თანაცხოვრებაში მყოფი ახალგაზრდების პროცენტული წილი აქ შედარებით მაღალია (55%). [https://library.fes.de/] ის „უპირატესობები“ რომლებიც ახალგაზრდების აზრით, თანაცხოვრებას ახასიათებს: პარტნიორთა შედარებით მეტი დამოუკიდებლობა, ურთიერთობის დასრულების სიმარტივე, კონფლიქტების ნაკლებობა, პარტნიორთა ერთმანეთისადმი პასუხისმგებლობას უკავშირდება.

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდები თანაცხოვრებას აღიქვამენ პარტნიორთა შორის ისეთ ურთიერთობად, როცა მათ შორის უფრო ნაკლები პასუხისმგებლობაა, ვიდრე ქორწინების შემთხვევაში.

თანაცხოვრებისადმი საზოგადოების ლოიალური დამოკიდებულება თავისთავად ცვლის დამოკიდებულებას ქორწინების გარეშე შობადობისადმი. რასაც სოციოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს. ქორწინების გარეშე შობადობა ყოველმხრივ გაუმართლებელია რესპონდენტთა მხოლოდ 21%-სთვის, ხოლო ზნეობრივად გაუმართლებლად მიაჩნია მხოლოდ 11,4%-ს. ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენას რესპონდენტები ამართლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქალს აღარ აქვს გათხოვების იმედი (26,%). საკმაოდ დიდი ნაწილი კი თვლის, რომ ამგვარი ქმედება ყოველმხრივ გამართლებულია, თუმცა საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად ამისთვის. [ლ. მენაბდიშვილი. 2015: 457-458]

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მაჩვენებელი თუ 1989 წელს დაბადებულთა 17,7% იყო, 2006 წლამდე ის ყოველწლიურად იზრდებოდა და 54,4%-ს აღწევს. მომდევნო წლებში მკვეთრად გამოხატული ზრდის ან კლების ტენდენცია არ ფიქსირდება. 2018 წელს არარეგისტრირებულ ქორწინებით დაბადებულ ბავშვთა წილმა შეადგინა 34%. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემში შედის მხოლოდ ჯვარდაწერილი წყვილების შვილებიც. რამდენადაც ჯვრისწერა ჯერჯერობით არ არის სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული. რაც შეეხება მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებულ ბავშვთა წილს 2018 წლის მონაცემით 2,5%-ია, რაც მნიშვნელოვნად (3,32-ჯერ) ჩამორჩება ყველაზე მაღლ მაჩვენებელს, რომელიც 2004 წელს დაფიქსირდა (8,3%). 2011 წლიდან მოყოლებული მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებული ბავშვთა რიცხვი ყველაზე მაღლი იყო 2017 წელს 2,9%, რაც 0,4%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს. მხოლოდ

დედის განცხადებით დაბადებულ ბავშვთა წილი ყველაზე მაღლია ოც წლამდე და ორმოც წელს გადაცილებულ ქალებში. ორმოც წელს გადაცილებული ქალები, რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯს სრულიად გაცნობიერებულად დგამენ თავიანთი ასაკიდან გამომდინარე, მაგრამ რაც შეეხება ოც წლამდე ასაკის ქალებს, აქ საქმე არ უნდა გვქონდეს მათ რაციონალურ ქმედებასთან, ეს უფრო ემოციური, გაუცნობიერებელი ქმედების შედეგია.

ალან კარლსონი იზიარებს რა მოსაზრებას, რომ „ქორწინება უბედური ცხოვრებისგან თანაბრად იცავს ქალებსაც და მამაკაცებსაც“, წერს: უდავოა მტკიცებულებანი, რომ „მამას აქვს მნიშვნელობა“ და, რომ ოჯახები ერთი მშობლით დასაბამიერ არასრულყოფილია: რომ არჩევანი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის სასარგებლოდ, ეგოისტურია და ანტისოციალურ ქმედებას წარმოადგენს, რაც ბავშვს უზარმაზარი რისკის წინაშე აყენებს: რომ თანაცხოვრება ძალადობის ალბათობას ზრდის, მაგრამ კანონიერ ქორწინებას ალტერნატიულ ქორწინებასთან შედარებით მეტი ბედნიერება და ჯანმრთელობა მოაქვს, ხელს უწყობს უფრო ბედნიერი, ჯანმრთელი, გონიერი და სოციალურად კომპეტენტური ბავშვების აღზრდას: ასევე, რელიგიური რწმენა კოლერაციაშია სათნო საქციელთან. [კარლსონი. ა. 2017: 25-26]

ჯანმრთელობა და ცხოვრების ჯანსაღი წესი

მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას მარტოოდენ მოსახლეობის შემცირება, შობადობის კლება ან სხვა რომელიმე დემოგრაფიული ფაქტორი როდი განსაზღვრავს. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, როგორც ადამიანის განვითარების აუცილებელი ასპექტი, გულისხმობს

საზოგადოებრივ პროგრესს. ადამინს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ქცევის ისეთი ელემენტები, რომლებიც საშუალებას მისცემს დაიცვას, შეინარჩუნოს და განამტკიცოს საკუთარი ჯანმრთელობა.

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას თითმოვლითი ქცევა ეწოდება[10] და მის შესწავლას გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციოლოგთა და დემოგრაფთა მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. ეს უკანასკნელი ეგზისტენციალურ ქცევათა ჯგუფს ეკუთვნის, რადგან ხდება პიროვნების მიერ საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. სოციოლოგიაში თვითმოვლითი ქცევა განიხილება როგორც ქმედებებისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც მიმართულია ცხოვრების სრული ციკლის განმავლობაში ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის ვადების გაგრძელებაზე. თვითმოვლითი ქცევა უნივერსალური ხასიათისაა და ცხოვრების ყველა სფეროში გამოვლინდება. თვითმოვლითი ქცევის ხასიათი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური. შესაბამისად პირველი მიმართულია ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნებისაკენ, ხოლო მეორე მისი ნგრევისაკენ. თვითმოვლითი ფაქტორი წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ჯანმრთელობასა და ჯანმრთელობაზე მოქმედ სხვა ფაქტორებს შორის: გენეტიკური, ეკოლოგიური, ჯანდაცვის, სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული.

ინდივიდის ქმედებები ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან დაკავშირებით, როგორც ემპირიული მაჩვენებელი გამოიხატება:

---

[10] თვითმოვლითი ქცევის ნაცვლად დემოგრაფთა ნაწილი გამოიყენებს ტერმინს „თვითშენახვითი“ ქცევა, რაც წარმოადგენს რუსულიდან – „самасохранение» პირდაპირ თარგმანს. თვითმოვლითი ცნების დამკვიდრება სამამულო დემოგრაფიაში დაკავშირებულია დემოგრეფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტს დირექტორის ავთანდილ სულაბერიძის სახელთან.

ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფორმებით; მათი რიცხვით; სიხშირით; პერიოდულობით; ზრუნვის დაწყების ასაკით; ზრუნვის დაწყების მიზეზებით; ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობით, ჰიგიენური წესების ცოდნის დონით და ა. შ.

თვითმოვლითი ქცევის შესწავლა ხორციელდება თვითმოვლითი მოთხოვნილების, განწყობების და მოტივების კვლევის საფუძველზე. ინდივიდუალური თვითმოვლითი მოთხოვნილება მოთხოვნილების საერთო იერარქიის ნაწილს წარმოადგენს. პოპულარულმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში ადამიანის ქცევისა და მოტივაციის ასახსნელად შექმნა მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი და მოტივაციის იერარქიის თეორია. მასლოუს მიაჩნდა, რომ ადამიანის პიროვნება თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამოხატულებას წარმოადგენს. მისი აზრით, თვითრეალიზაციის ტენდენცია არა მხოლოდ ადამიანური უნარია, არამედ ადამიანური მოთხოვნილებაც. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მასლოუმ მოთხოვნილებათა იერარქიის მწვერვალზე მოათავსა. ადამიანს მაღალი მოთხოვნილებები მაშინ უჩნდება, როდესაც მასზე დაბალი მოთხოვნილება მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებულია. თუკი ვერ ხერხდება პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაშინ ირღვევა ადამიანის ორგანიზმის და ფსიქიკის რეგულაცია. [Dictionary. Css.ge/content/ hierarchy – needs.]

მასლოუს მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ინდივიდუალური თვითმოვლის მოთხოვნილება მიეკუთვნება უსაფრთხოების მოთხოვნილებათა დონეს. მასლოუ პირველ ორ მოთხოვნილებას - ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების – უწოდებს პირველად მოთხოვნილებებს, დანარჩენ სამს კი შეძენილი სახის მოთხოვნილებად მიიჩნევს. თვითმოვლითი მოთხოვნილება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჯანმრთელობის მოთხოვნილება – სხეულის

მთლიანობისა და თვით სიცოცხლის შენარჩუნების კომპლექსის ნაირსახეობად. მაგრამ თუ მოვახდენთ თვითმოვლითი მოთხოვნილების მრავალშრიანი ხასიათის პოსტულირებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მოთხოვნილების მთელი სისტემა დაიყვანება თვითმოვლით მოთხოვნილებამდე.

მოთხოვნილების სოციალური დონე შეიძლება განვიხილოთ პიროვნების სოციალური თვითმოვლის, სოციალური სტატუსისა და სახის შენარჩუნების მოთხოვნილებად. თუ ირღვევა პიროვნების სოციალური საქმიანობის რეგულაცია; ირღვევა ადამიანის ქცევის რეგულაცია და ის აღარ წარმოადგენს ღირებულებას სხვებისათვის, ანუ საზოგადოების სრულფასოვან წევრს; თუ ვერ ხდება იმის მიღწევა, რის პოტენციალიც პიროვნებას გააჩნია ანუ ირღვევა შემოქმედებითი საქმიანობის რეგულაცია, მაშინ შეიძლება ადამიანი მივიდეს სუიციდამდე ე.ი. სხეულებრივი არსებობის შეწყვეტამდე. მე-ს, როგორც სხეულებრივი არსებობის, თვითშენარჩუნება აღიწერება როგორც სიცოცხლის შენარჩუნების, ორგანიზმის მთლიანობის, ჯანმრთელობის მოთხოვნილებით და ამასთან დაკავშირებით ხანგრძლივი სიცოცხლის მოთხოვნილებით, რომელიც პიროვნების მიერ სიცოცხლის ციკლის ყველა ეტაპის გავლის საშუალებას იძლევა. სწორედ ის ქმნის პიროვნების თვითმოვლითი ქცევის მამოძრავებელ ძალას - სიცოცხლის მოთხოვნილებას გარკვეულ ვადამდე. თვითმოვლითი მოთხოვნილება არის სწრაფვა ხანგრძლივი არსებობისაკენ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის მისაღები დონის ფარგლებში. ის პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებას წარმოადგენს, თუმცა მასში გაერთიანებულია ბიოლოგიური ელემენტებიც. [Социология семьи. Под редакций А. И. Антонова. 2010: 437-438]

ყოველი საზოგადოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი წევრების ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს. სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია დაავადებათა პრევენცია და ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების საზიანო

ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვაა. ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის აუცილებელია, რომ თითოეულმა მოქალაქემ სრულად გააცნობიეროს მავნე ჩვევებისა და არასწორი ქცევის უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელობა, ხოლო მთავრობამ ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რაც ადამიანს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის საშუალებას მისცემს.

თანამედროვე მედიცინამ და ჯანდაცვამ მიაღწია იმ დონეს, რომლითაც მაქსიმალურად არის შესაძლებელი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სიცოცხლის გახანგრძლივება. მაგრამ ეს არაა საკმარისი. საჭიროა მოსახლეობის გაჯანსაღების სხვა გზები, რადგან თანამედროვე ადამიანი დაავადდა ე.წ. „ცივილიზაციიც დაავადებებით“ – გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიები, ონკოლოგიური დაავადებები. მათი განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ გარეგან ფაქტორებზე, არამედ საკუთრივ ადამიანის ცხოვრების წესზე. ასე მაგალითად, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათ 54-55 პროცენტი გამოწვეულია ცხოვრების არაჯანსაღი წესით, მათ შორის გულის იშემიური დაავადების 60 პროცენტი, ხოლო თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანების 65 პროცენტი. ისეთი დაავადება როგორიცაა დიაბეტი, რომელიც თითქოსდა მთლიანად გენეტიკური ფაქტორებითაა განპირობებული, 30-40 პროცენტით ისევ ცხოვრების წესი იწვევს. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობას 55 პროცენტით განსაზღვრავს სოციალურ-ჰიგიენური და სამედიცინო ორგანიზაციული ფაქტორები. [ლორთქიფანიძე ვ, თოთაძე ა. 2007: 100].

ცხოვრების ჯანსაღი წესი ორგანიზმის ჯანმრთელობის, დღეგრძელობის და სოციალურ ფუნქციათა განხორციელების საწინდარია. ის არის ცხოვრების პოზიცია და ადამიანის გონივრული თვითმოვლითი ქცევა, რომელიც საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცებას ემსახურება. სხვა ქცევის მსგავსად,

ცხოვრების ჯანსაღი წესი ემყარება რელიგიურ, ეროვნულ ტრადიციებს და მოიცავს ღირებულებით ორიენტაციათა მთელ ერთობლიობას, რომელიც თავის გამოხატულებას ცხოვრების წესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებში პოულობს. ამასთან ემსახურება ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული პიროვნებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. ამითაა განპირობებული ის, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლისას სხვა საკითხებთან ერთდ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯანმრთელი საზოგადოება კი მნიშვნელოვნად განაპირობებს არა მარტო მოსახლეობის, არამედ მატერიალური დოვლათის და ერის სულიერი ღირებულებების გამრავლებას.

ჯანმრთელობის ინდივიდუალური ღირებულება ფსიქოლოგიური და ფსიქოსომატური მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ფუნდამენტურიც და ინსტრუმენტულიც. უკანასკნელ პერიოდში ინდივიდის ღირებულებათა სისტემაში ჯანმრთელობამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. სტუდენტი რესპონდენტების მეოთხედისთვის ჯანმრთელობა ღირებულებათა იერარქიაში პირველ ადგილზეა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მამაკაცებში უფრო ხშირად სახელდება ჯანმრთელობა, როგორც პირველი რიგის ღირებულება (32%), ვიდრე ქალებში (17%).

ჯანმრთელობა შეუფასებელი სიმდიდრე და ადამიანის სიცოცხლის ხარისხის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია. და, თუკი ახალგაზრდისთვის ჯანმრთელობაზე მაღლა სხვა რამ დგას ეს ნიშნავს, რომ მისი ქცევა ნაკლებადაა მიმართული ჯანმრთელობის შენარჩუნება – განმტკიცებისაკენ, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს მის სიცოცხლის ხარისხსა და ხანგრძლივობაზე. ამასთან უნდა აღინიშნის ისიც, რომ

შესაძლებელია ჯანმრთელობა ახალგაზრდისათვის იყოს პირველი რიგის ღირებულება, მაგრამ სანუკვარი მანქანის შეძენა, საცხოვრებელი ბინის მოწყობა, საზღვარგარეთ წასვლა მისთვის უფრო პრიორიტეტული იყოს ვიდრე ექიმთან დროული ვიზიტი.

იმ რესპონდენტებში ვისთვისაც ჯანმრთელობა პირველი რიგის ღირებულებაა ჯანმრთელობაზე ზრუნვა არაერთგვაროვნადაა გამოხატული. უმეტესობა (38%) მასზე ხანდახან ზრუნავს, მეოთხედი მხოლოდ ავადმყოფობისას, ხოლო 33% ყოველთვის. მცირეა იმ რესპონდენტების წილი ვინც ჯანმრთელობაზე არ ზრუნავს. მიუხედავად მათი სიმცირისა, საინტერესოა, რით ხსნიან ისინი ამგვარ ქმედებას. სახელდება ისეთი მიზეზები როგორიცაა: „არაფერში არ მინდა შევიზღუდო თავი“; „არ მყოფნის ნებისყოფა“; და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს „არ ვიცი როგორ ვიზრუნო“. მართალია, ეს უკანასკნელი საკმაოდ მცირე ნაწილმა დაასახელა, მაგრამ, ვფიქრობთ დამაფიქრებელია, რადგან რესპონდენტები არიან სრულწლოვანები და პოტენციური მშობლები, რომლებმაც უახლოეს მომავალში თვითონ უნდა ასწავლონ საკუთარ შვილებს თვითმოვლითი ჩვევები. შეუძლებელია ასწავლო სხვას ის რაც თავად არ იცი.

რესპონდენტებში ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფაქტორებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოვრების წესს, ვიდრე სამედიცინო შემოწმებას. 5,4-ჯერ მეტი იყო იმ რესპონდენტების რიცხვი რომლებიც ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევებიდან უპირატესობას ანიჭებენ ცხოვრების წესს, ვიდრე სისტემატიურ სამედიცინო შემოწმებას. ცხოვრების წესის კომპონენტებიდან პირველ რიგში სახელდება ჰიგიენა (41%), შემდეგ სწორი კვება (32,5%), სპორტი (16%) და დასვენება (10,5%).

რესპონდენტები უმეტესად არ ხასიათდებიან ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროფილაქტიკური ხასიათით. მიუხედავად იმისა, რომ მათ ღირებულებათა სისტემაში

ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რასაც, სავარაუდოდ, ღირებულებების და პრიორიტეტების აცდენა იწვევს.

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პროფილაქტიკურ სამედიცინო შემოწმებას და დაავადების პირველივე ნიშნებისთანავე ექიმთან დროულ ვიზიტს. ქვეყანაში განხორციელებულმა საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევამ მნიშვნელოვანი შეღავათი გაუწია მოსახლეობას - ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახადა ყველასთვის. რესპონდენტთა შორის არიან ახალგაზრდები, რომელთათვისაც ჯანმრთელობა ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს და, მიუხედავად ამისა, მის დაცვა შენარჩუნებას უპასუხისმგებლოდ ეკიდება. ამ ფაქტის ახსნას შევეცდებით ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიით, როდესაც ცნობილი ფსიქოლოგი ადამიანის განწყობას ეხება ერთ–ერთ მნიშვნელოვან საკითხად იხილავს ნებელობას და გამნარტავს: „ნებელობა სუბიექტის ძალას წარმოადგენს, მის უნარს, განახორციელოს სინამდვილეში ის, რაც ინტელექტს მიზანშეწონილად მიაჩნია.... თუმცა ადამიანს ყოველთვის არ შესწევს ძალა გააკეთოს ის, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია. ზოგი ახერხებს თავის მოქმედებაში გონების კარნახს მისდიოს, ზოგს კი ეს არ შეუძლია.“ [დ. უზნაძე, 301] ჩვენი რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც ჯანმრთელობას ერთ–ერთ მთავარ ღირებულებად მიიჩნევს, მაგრამ მისი დაცვა–შენარჩუნებისთვის ზრუნვით არ გამოირჩევა სწორედ იმ ადამიანთა რიცხვშია ვინც ვერ ახერხებს თავის მოქმედებაში გონების კარნახს მისდიოს.

თვითმოვლითი ქცევა გულისხმობს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რეკომენდაციების ზუსტად და ყოველთვის შესრულებას. რასაც ვერ ახერხებს რესპონდენტთა არც თუ მცირე ნაწილი (45%). ვერ ახერხებს ობიექტური მიზეზით (უსახსრობის გამო) მხოლოდ მცირე ნაწილი, უმეტესად კი საკუთარი ჯანმრთელობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წყალობით - დაზარებით. რაც იმაზე მეტყველებს, რომ რესპონდენტ

სტუდენტთა არც თუ მცირე ნაწილში თვითმოვლითი ქცევა არ არის ჩამოყალიბებული, რაც სავარაუდოდ, გამოწვეულია მათ აღზრდაში დაშვებული ხარვეზით.

თვითმოვლითი ქცევის ჩამოყალიბება მეტად მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში, რადგან ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მისი რეგულარულობის ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ასაკზე. რაც უფრო ადრე უყალიბდება ადამიანს თვითმოვლითი ქცევა, მით უფრო მაღალია მისი სიცოცხლის ხარისხისა და ხანგრძლივობის ალბათობა. საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ქცევა სოციალიზაციის გზით მიიღება და ადამიანს ბავშობის ასაკიდან ოჯახში უნვითარდება. რაც უფრო ადრეულ ასაკში მოხდება ბავშვისათის ჯანსაღი უნარ-ჩვევების დაუფლება, მით ადრე იქცევა ის მოზარდის ცხოვრების წესად.

რესპონდენტთა უმრავლესობაში (83%) ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშობიდანვე იყო მიღებული. გოგონებში უფრო მეტად სახელდება (87,4%) ეს ფაქტი ვიდრე ვაჟებში (78,5%).

ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არსებობს ტრადიციულად მამაკაცური და ქალური ქცევის მოდელები – ქალები უფრო ნაკლებ შეფასებას აძლევენ საკუთარ ჯანმრთელობას, უფრო მეტად ზრუნავენ მასზე და უფრო დიდხანს ცოცხლობენ მამაკაცებისაგან განსხვავებით, რომელთა ქცევის მოდელიც სრულიად საპირისპიროა ქალთა ქცევის მოდელისაგან. რესპონდენტთა მხრიდან საკუთარი ჯანმრთელობის თვითშეფასებისას გამოიკვეთა ვაჟი რესპოდენტების მხრიდან თვითშეფასების მაღალი მაჩვენებელი.

ცხრილი 23. ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითშეფასება რესპონდენტებში (%)

	მამაკაცი	ქალი	სულ
კარგი	52,0	37,1	44,6
დამაკმაყოფილებელი	40,1	54,7	47,5
ცუდი	6,2	5,2	5,7
არ არის მითითებული	1,7	3,0	2,2

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტი რესპოდენტები იმეორებენ ტრადიციულად დადგენილ ქცევის ნორმებს, როცა მამაკაცები უფრო მეტად აფასებენ საკუთარ ჯანმრთელობას, მაგრამ უფრო ნაკლებად ზრუნავენ მასზე. რაც ნათლად გამოიკვეთა სამედიცინო შემოწმების მხრივ მათი აქტივობით. დაავადების პირველივე ნიშნების გამოვლენისას ქალი რესპოდენტები უფრო ხშირად მიმართავენ ექიმს ვიდრე მამაკაცები. თუმცა პროფილაქტიკური შემოწმების სრულ კურსს წელიწადში ერთხელ გადის მამაკაცთა უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ქალების.

ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმრავლესობისთვის ჯანმრთელობაზე ზრუნვას აქვს სამკურნალო და არა პროფილაქტიკური ხასიათი – რაესპონდენტთა უმრავლესობა ექიმთან ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ მიდის. საკმაოდ ცუდია საზოგადოებაში დამკვიდრებული თვითმკურნალობის მავნე პრაქტიკა, რამაც ახალგაზრდებშიც იჩინა თავი და რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელობაზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითად.

ცხრილი 24. ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფორმები (%)

როგორ ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე	მამაკაცი	ქალი	სულ
წელიწადში ერთხელ გავდივარ პროფილაქტიკური შემოწმების კურსს	16,5	15,6	16,1
ექიმს ვსტუმრობ დაავადების პირველივე ნიშნების გამოვლენისას	31,5	45,3	38,4
ექიმს უკიდურეს შემთხვევაში მივმართავ	26,8	18,7	22,8
თვითონ ვმკურნალობ	13,4	11,2	11,6
ვმკურნალობ ხალხური მედიცინის საშუალებით	2,8	3,6	3,2
ვღებულობ წამლებს რომლებსაც ახლობლები მირჩევენ	7,8	5,2	6,5
არ არის მითითებული	1,1	0,4	1,3

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯანმრთელობაზე მოქმედ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე მრავალ ფაქტორს ასახელებენ. მათ შორის 49-53 პროცენტი ეკუთვნის ცხოვრების ჯანსაღ წესს, რომლის რისკ–ფაქტორების ჯგუფს მიეკუთვნება: ალკოჰოლის მოხმარება, თამბაქოს მოწევა, ნარკოტიკების მიღება, არასწორი კვება, შრომის მავნე პირობები, სტრესი, უმოძრაობა, რთული მატერიალურ-ყოფითი პირობები, წამლების მიღების ბოროტად გამოყენება, არამყარი ოჯახი, მარტოობა, განათლების დაბალი დონე, გაზრდილი ურბანიზაცია; გენეტიკა/ბიოლოგია 18-22 პროცენტით, რისკ-ფაქტორთა ჯგუფშია გენეტიკური დაავადებები; 17-20% – გარემო პირობები, კლიმატურ ბინებრივი პირობები – ჰაერის, წყლის ნიადაგის დაბინძურება, მზის კოსმოსური მაგნიტური გამოსხივება და სხვა; ჯანდაცვა 8-10 პროცენტით. მის რისკ-ფაქტორებში შედის სამედიცინო დახმარების დაბალი დონე, დაგვიანებული სამედიცინო დახმარება, პროფილაქტიკურრი ღონისძიებების არაეფექტურობა. [Лисицин Ю.П. Сахно А.В. 1988]. მნიშვნელოვანია თავად რესპონდენტთა მოსაზრების შესწავლა ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ. მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „ყველაზე მეტად, დადებითად რა მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე?“ რესპონდენტთა მიერ ჩამოთვლილი ფაქტორები გამსხვილებული სახით გავაერთიანეთ ოთხ ჯგუფში – მემკვიდრეობითობა, საკუთარ თავზე ზრუნვა, ცხოვრების პირობები და ეკოლოგია. ქალი რესპონდენტები ჯანმრთელობის წამყვან ფაქტორად მიიჩნევენ ცხოვრების პირობებს, ხოლო მამაკაცები საკუთარ თავზე ზრუნვას. ქალები 1,3-ჯერ მეტად ასახელებენ ცხოვრების პირობებს, ვიდრე მამაკაცები. მაშინ როცა მამაკაცები ქალებთან შედარებით 1,1-ჯერ მეტად საკუთარ თავზე ზრუნვას ასახელებენ.

საკუთარ თავზე ზრუნვა გარკვეულწილად ცხოვრების ჯანსაღ წესს გულისხმობს. საინტერესოა, როგორ ესმით

სტუდენტებს ცხოვრების ჯანსაღი წესის არსი და არის თუ არა ის მათი ცხოვრების პოზიცია. რესპონდენტების 83,8% ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფორმებიდან უპირატესობას ანიჭებს ცხოვრების ჯანსაღ წესს. მამაკაცებში ცხოვრების ჯანსაღი წესის უპირატესობა შედარებით მეტადაა გამოხატული (85,7%) ვიდრე ქალებში (81,0%).

რესპოდენტები ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებენ ჰიგიენის წესების სრულ დაცვას. რესპონდენტებთან ჰიგიენური წესების სრული დაცვა 1,2-ჯერ უფრო მეტადაა გამოხატული ქალებში კაცებთან შედარებით.

ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევებს შორის ასევე დასახელდა კვების სწორი რეჟიმი და ზომიერება. ეს უკანასკნელი 1,4-ჯერ მეტად ახასიათებთ ქალებს ვიდრე მამაკაცებს.

ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა სპორტული დატვირთვა და დასვენების რეჟიმი. აუცილებელია ისინი ადამიანმა ყოველდღე გამოიყენოს, რათა მოახდინოს საკუთარი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის ხელშეწყობა ან აღდგენა. სისტემატური სპორტული დატვირთვა 3,9 – ჯერ მეტადაა გამოხატული მამაკაცებში ქალებთან შედარებით. ასევე დასვენების რეჟმს მამაკაცები 1,2-ჯერ მეტ ყურადღებას უთმობენ ქალებთან შედარებით.

ცხოვრების ჯანსაღი წესის უამრავი კომპონენტიდან ერთ-ერთ ბაზისურ ნაწილად არის გამოყოფილი მავნე ჩვევებზე – თამბაქო, ალკოჰოლი და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე – უარის თქმა. ამ მავნე ჩვევების დამანგრეველ გავლენაზე გაფრთხილებებს სხვადასხვა ფორმით იძლევა ჯანდაცვის სამინისტრო, მაგრამ პრობლემა მწვავეა. საფრთხე დგას დემოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგან ამ მავნე ჩვევებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ მომხმარებელთა გულსისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის, ფილტვის და სხვა ორგანოების დაავადება, არამედ სხვადასხვა ანომალია

დაავადებულ მშობელთა ახალშობილებში, შეაფერხოს ნაყოფის განვითარება ან, სულაც, უშვილობის მიზეზი გახდეს. ურთულესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მაქსიმალურად შემცირდეს აღნიშნული ფაქტორების გავლენა. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა. ნარკოტიკულ საშუალებათა ინექციურ მომხმარებელთა პოპულაციის ზომის განმსაზღვრელი კვლევა საქართველოში სულ ოთხჯერ ჩატარდა (2009, 2012, 2014, 2016). კვლევები ჩატარდა საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონისა“ და საერთშორისო ფონდი „კურაციოს“ მიერ. პირველი კვლევიდან ბოლო კვლევამდე ანუ 2009 - 2016 წლებში ინექციურ ნარკომომხმარებელთა რიცხვი 12 5000 – ით გაიზარდა. [www.Bm.Ge]. ეს არ არის ზუსტი მაჩვენებელი, საავარაუდო რაოდენობაა, თუმცა საგანგაშო. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მონაცემებით აივ-ით ინფიცირების 38,9% ინექციურ ნარკომანიაზე მოდის. აივ ინფიცირების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 10500-ს უტოლდება. ინფიცირებული პაციენტების უმრავლესობა 29-39 წლისა ასაკობრივი ჯგიფისაა. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა საკმაოდ სოლიდური რიცხვია [www.aidscenter.ge/epidsituation-geo.html].

პიროვნულ ღირებულებებში ჯანმრთელობის უმთავრეს ღირებულებად აღიარება ნიშნავს ისეთი ქცევის განხორციელებას, რომლითაც მოხდება ჯანმრთელობაზე მოქმედ რისკ-ფაქტორების თავიდან აცილება. მაგალითად, ეჭვგარეშეა თამბაქოს მოხმარების გავლენა ფილტვის კიბოს განვითარებაში. ითვლება, რომ ეს დაავადება 80-85%-ით გამოწვეულია თამბაქოს მოხმარებით. [И. В. Журавлева. 2006: 175]. სარისკო ქცევა: მოწევა, დალევა, ნარკოტიკის მოხმარება, ისევე როგორც ნებისმიერი ქცევა, წარმოადგენს პიროვნების თავისუფალ არჩევანს. თამბაქოს მომხმარებლები

ორივე სქესის რესპონდენტებში არიან, თუმცა გამოიკვეთა ამ მავნე ჩვევისადმი თავის დანებების ტენდენცია. რესპონდენტებში 7,3%-თ შემცირდა თამბაქოს მომხმარებელთა წილი. მამაკაც რესპონდენტებში 9,3%-ით, ხოლო ქალებში 5,4%-ით. იმ რესპონდენტებს შორის კი, რომლებიც პირველი რიგის ღირებულებად ჯანმრთელობას ასახელებენ თამბაქოს მომხმარებელთა რიცხვი შემცირდა 1,6-ჯერ და ამჟამად თამბაქოს მომხმარებელია 18,8%. მიუხედავად შემცირებისა მომხმარებელთა რიცხვი მაინც დიდია. მით უფრო, რომ საქმე ახალგაზრდებს ეხება. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალებში თამბაქოს მოხმარების შემცირება უფრო ნაკლებია მამაკაცებზე, ქალი კი მომავალი დედაა, ორსულობისას მის მიერ თაბმაქოს მოხმარება ცუდ გავლენას მოახდენს ნაყოფზე – მის განვითარებაზე.

საქართველოში ალკოჰოლური სასმელებისადმი დამოკიდებულება ყოველთვის ზომიერი იყო. სტუდენტ რესპოდენტებშიც გამოკვეთილია იგივე ტენდენცია – ალკოჰოლური სასმელების ზომიერი მოხმარება. ალკოჰოლურ სასმელებს საერთოდ არ მოიხმარს 40%. მათ შორის კი ვინც ალკოჰოლს სხვადასხვა სიხშირით მოიხმარს ყველაზე მეტნი არიან ისინი ვინც თვეში ერთხელ სვამენ ალკოჰოლურ სასმელს. მათი რაოდენობა 18,8-ჯერ აღემატება იმ ახალგაზრდების რაოდენობას, ვინც ალკოჰოლურ სასმელს კვირაში რამდენჯერმე სვამს, ანუ სისტემატიური მომხმარებელია. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას სტუდენტი რესპონდენტების 15,9% ამას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს. თავად რესპონდენტთა უმრავლესობა ნარკოტიკულ საშუალებებს არ მოიხმარს. მაგრამ რესპონდენტთა შორის არიან ხშირი მომხმარებლებიც. მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა, მაინც საყურადღებოა, პირველ რიგში, მათი ასაკის გამო. სტუდენტები ასაკით საკმაოდ ახალგაზრდები არიან და ამ ქცევით საკუთარ ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებენ. მეორეც, ნარკოტიკული

საშუალებების მომხმარებელთა შორის ორივე სქესის წარმომადგენლები არიან.

სამწუხაროდ ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებულია ტენდენცია, შერყეულ ჯანმრთელობაზე ფიქრის მაშინ დაწყება, როცა დაავადების ნიშნები უკვე თვალში საცემია ანუ დაავადება თავისი განვითარების პიკზეა. ვფიქრობთ, ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ ახალგაზრდები სრულად იქნან ინფორმირებულები იმ სავალალო შედეგებზე რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათ დაუდევარ დამოკიდებულებას საკუთარი ჯანმრთელობისადმი, როგორც პირადად მათთვის, ისე მათი მომავალი შვილებისთვის და საბოლოო ჯამში მთლიანად საზოგადოებისთვის.

მიგრაციული განწყობები

საქართველო არის ქვეყანა სადაც უმაღლეს განათლებას საზოგადოება მაღალ პრიორიტეტს ანიჭებს. მიუხედავად ქვეყანაში არსებული სერიოზული დისბალანსისა სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის სტერეოტიპული დამოკიდებულება უმაღლესი განათლების მიმართ და დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიპლომის ფლობას. სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად იზრდება. 2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 147 714 სტუდენტი, რაც თითქმის 1,6-ჯერ აღემატება 2008-2009 სასწავლო წლის მაჩვენებელს (93 637).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ განათლების ამაღლების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2005 წელს, საქართველო გახდა ბოლონიის პროცესის წევრი, რამაც უზრუნველყო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხის შესაბამისობა ევროპული ქვეყნების განათლების ხარისხთან. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ

განათლების მიღება საზღვარგარეთ. ასევე, უცხოელ სტუდენტებსაც ეძლევათ საშუალება განათლება მიიღონ საქართველოში. ეს პროცესი სულ უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს. 2005-2006 წლებში საქართველომ 2,2-ჯერ მეტი სტუდენტი გაგზავნა საზღვარგარეთ ვიდრე მიიღო, მომდევნო 2006-2007 სასწავლო წელს კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 6,6-ჯერ მეტი სტუდენტი მიიღო უცხოეთიდან ვიდრე გაგზავნა. აქედან მოყოლებული საქართველოში ჩამოსული უცხოელი სტუდენტების რიცხვი სულ უფრო იზრდება და მნიშვნელოვნად აღემატება სასწავლებლად უცხოეთში წასული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების რიცხვს. 2018-2019 სასწავლო წელს ქვეყნიდან უცხოეთში სასწავლებლად გაემგზავრა 673 სტუდენტი, ხოლო ქვეყანაში უცხოეთიდან ჩამოვიდა 12234, რაც 18,1-ჯერ აღემატება გასულთა მაჩვენებელს.

თანამედროვე ახალგაზრდებისთვის გაფართოვებულია განათლების მიღების არეალი. მათ საშუალება აქვთ მიიღონ ცოდნა იქ სადაც სურთ და არ შემოიფარგლონ მხოლოდ საკუთარი ქვეყნით. სახელმწიფო დაფინანსების და გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობენ ახალგაზრდების უცხოეთში განათლების მიღება/ამაღლებას. განათლების სამინისტროს საიტზე განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნების (იაპონია, შვეიცარია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ლატვია, საბერძნეთი, იტალია და სხვ.) მთავრობების საქართველოდან ჩასული სტუდენტების დაფინანსების შესახებ. რიგ შემთხვევაში საზღვარგარეთ ცხოვრება და განათლების მიღება დაფინანსებულია საერთშორისო საგანმანათლებლო პროგრამებით, რაც კიდევ უფრო ხელსაყრელს და მიმზიდველს ხდის უცხოეთში განათლების მიღების შესაძლებლობას. ასევე, არსებობენ კერძო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა საერთაშორისო კულტურულ–საგანმანათლებო პროგრამებს: სწავლა და მუშაობა (AuPayr), მუშაობა და მოგზაურობა

(Work&Travel) და სხვა, ხელს უწყობენ ახალგაზრდების შედარებით მოკლევადიანი პერიოდით ემიგრირებას. კულტურულ–საგანმანათლებლო პროგრამები ოთხი თვიდან წელიწად ნახევრამდე გრძელდება, უმაღლეს–საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საერთაშორისო პროგრამები მაგისტრანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის კი ექვსი თვიდან სამ წლამდე პერიოდს მოიცავს.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით შინამეურნეობათა 11 პროცენტში ოჯახის წევრი საზღვარგარეთ განათლების მიღების მიზნითაა წასული. მათგან 73,4 პროცენტი 20–39 წლის ასაკობრივი ინტერვალის ორივე სქესის წარმომადგენელია – სულ 7 122 პირი. [www.geostat.ge]

ცხრილი 25. სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ

სასწავლო წელი	უმაღლეს სასწავლებლის ტიპი		სულ
	სახელმწიფო	კერძო	
2005-2006	290	23	313
2006-2007	39	25	64
2007-2008	46	75	121
2008-2009	220	100	320
2009-2010	125	90	125
2010-2011	108	157	265
2011-2012	120	150	270
2012-2013	113	103	216
2013-2014	464	98	562
2014-2015	219	143	362
2015-2016	207	196	403
2016-2017	400	165	565
2017-2018	390	192	582
2018-2019	456	217	673

წყარო: www.geostat.ge

საქსტატის მონაცემების მიხედვით უცხოეთში სწავლის მსურველთა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წლიდან

წლამდე იზრდება. 2018-2019 სასწავლო წელს უცხოეთში 2,1-ჯერ მეტი ახალგაზრდა წავიდა სასწავლებლად 2005-2006 წელთან შედარებით. ახალგაზრდების უცხოეთში სასწავლებლად წასვლა ხდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებიდან.

უცხოეთში სასწავლებლად წამსვლელთა შორის გოგონები უფრო მეტნი არიან ვიდრე ვაჟები. მხოლოდ 2018-2019 სასწავლო წელს საზღვარგარეთ სასწავლებლად გაემგზავრა 1,6-ჯერ მეტი გოგონა, ვიდრე ვაჟი. ბოლო ოთხი სასწავლო წლის მონაცემების მიხედვით უცხოეთში სასწავლებლად წასულ გოგონათა რაოდენობა საშუალოდ 1,8-ჯერ აღემატება ვაჟების რიცხვს.

ცხრილი 26. უცხოეთში სასწავლებლად წასული სტუდენტების განაწილება სქესის მიხედვით

საწავლო წლები	ქალი	მამაკაცი
2015-2016	248	154
2016-2017	378	187
2017-2018	394	188
2018-2019	418	255

წყარო: www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები სასწავლო წლების მიხედვით უცხოეთში სასწავლებლედ წამსვლელი სტუდენტების რაოდენობის შესახებ არ არის ზუსტი, რადგან ეს არის ის მონაცემები რასაც სასწავლებლები აწვდიან სახელმწიფოს და ის ასახავს მხოლოდ იმ სტუდენტთა რაოდენობას ვინც გაცვლითი პროგრამითაა წასული. მასში არ შედის საკუთარი ინიციატივით წასული სტუდენტების რაოდენობა. თუ სტუდენტთა განწყობების მიხედვით ვიმსჯელებთ, საკუთარი ინიციატივით წამსვლელთა რიცხვი, სავარაუდოდ, აღემატება გაცვლითი პროგრამით წამსვლელთა რიცხვს.

უცხოეთში განათლების მიღებას უმეტესად თან ახლავს იქვე დასაქმება, რაც გაურკვეველი ვადით ახანგრძლივებს ემიგრანტულ ცხოვრებას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაში იმყოფება, საქართველოს ეკონომიკა შედარებით შეზღუდული დასაქმების შესაძლებლობებს, შრომის ანაზღურებას, სოციალურ დახმარებასა თუ ცხოვრების ხარისხს სთავაზობს თავის მოქალაქეებს. ეს გადაუჭრელი პრობლემა კი შრომით ემიგრაციას უწყობს ხელს და არსებითად ზრდის ახალგაზდრებში ქვეყნიდან შრომითი ემიგრაციის მოტივაციას, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებში ემიგრაციული განწყობების კვლევას.

2018 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ საქაართველოს სამი ქალაქის: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტი ახალგაზრდების ემიგრაციული განწყობების, მოტივების, მიზნების შესწავლა. იმის გარკვევა თუ რამდენად არიან ისინი მზად ემიგრაციისათვის. როდისთვის აქვთ დაგეგმილი უცხოეთში წასვლა და დაახლოებით რა პერიოდით აპირებენ იქ დარჩენას. გამოიკითხა მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები.

გამოკითხული სტუდენტებიდან საზღვარგარეთ წასვალს აპირებს 42%. მათ შორის უახლოეს სამ წელიწადში 59%. ეს მაჩვენებელი 1,4 – მეტია იმ სტუდენტების რიცხვზე, ვისაც იგივე ქმედება სამი წლის შემდეგ აქვს დაგეგმილი. უცხოეთში წამსვლელთა მსურველებს შორის ქალები უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცები და მათი რაოდენობა 1,3-ჯერ აღმატება მამაკაცთა რაოდენობას. საზღვარგარეთ წამსვლელ მამაკაცთა შორის 1,6 -ჯერ მეტნი არიან ისინი, ვისაც წასვლა სამ წელიწადში აქვს განზრახული, მათზე ვინც წასვლას სამი წლის მერე აპირებს. იგივე მაჩვენებელი ქალებში 1,3-ჯერ აღემატება სამი წლის მერე წასვლის მსურველთა მაჩვენებელს.

სტუდენტების უმრავლესობაში საზღვარგარეთ წასვლის ძირითადი მიზანი არის სწავლის გაგრელება – 84,2%. (მათ შორის მხოლოდ სწავლას აპირებს 31,8%, ხოლო სწავლასა და შრომით საქმიანობას 68,2%). უცხოეთში მხოლოდ შრომითი საქმიანობისთვის წამსვლელ სტუდენტთა რაოდენობა 5,6–ჯერ ჩამორჩება მთლიანად სწავლის მსურველთა რაოდენობას და 3,6–ჯერ ჩამორჩება სწავლისა და შრომითი საქმიანობის შეთავსების მსურველთა რაოდენობას. ხოლო 1,7–ჯერ ნაკლებია იმ სტუდენტებზე, ვისაც უცხოეთში წასვლის მხოლო სწავლის მოტივი ამოძრავებს.

თითოეული სტუდენტისთვის საზღვარგარეთ სწავლა წარმატებული მომავლისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად ასოცირდება, რადგან დღეს ჩვენს ქვეყანაში დასაქმებასთან დაკავშირებული მდგომარეობით საზღვარგარეთ განათლებული ადამიანები უფრო კონკურენტუნარიანები არიან, ვიდრე ისინი ვინც უმაღლეს განათლებას საქართველოში იღებენ. უცხოეთში სასწავლებლად წასვლის საუკეთესო გზა გაცვლით პროგრამებში მოხვედრაა. გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი (3,7%) მიდის საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამით. მათზე 1,5–ჯერ ნაკლებს კი გრანტი აქვს მოპოვებული. ამიტომ ახალგაზრდების ის ნაწილი ვისაც მყარად აქვს საზღვარგარეთ სწავლა გადაწყვეტილი და ვერ მოხვდა გაცვლით პროგრამაში, ეძებს საზღვარგარეთ წასვლის სხვა გზებს. საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის კი დაფინანსების მოპოვების სხვადასხვა პროგრამა არსებობს, მათ შორისაა უცხოური საგანმანათლებლო ფონდები. ასე რომ მსურველთათვის გზა ხსნილია.

მას შემდეგ რაც გადაწყვეტილების მიღება ხდება, მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ქმედითი ღონისძიებები, რათა მიღებული გადაწყვეტილება სისრულეში იქნას მოყვანილი. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება სასურველი უმაღლეს სასწავლებლის არჩევას. საკითხის ამ ჭრილში განხილვისას რესპონდენტები განაწილდნენ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში

გაერთიანდნენ ის რესპონდენტები, რომლებმაც ზუსტად იციან სად გაგაგრძელებენ სწავლას უახლოეს მომავალში; მეორე ჯგუფში რესპონდენტები, რომლებსაც საბუთები რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში აქვთ გაგზავნილი და პასუხის მოლოდინში არიან, რის გამოც კონკრეტული უმაღლეს სასწავლებლის დასახელება გამოკვლევის პერიოდში ვერ შეძლეს. და მესამე ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ ის სტუდენტები, რომელთა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა ჯერჯერობით მხოლოდ სურვილის დონეზეა და ამ მიმართულებით რაიმე ქმედითი ნაბჯები ჯერ არ აქვთ გადადგმული. გამოყოფილი სამი ჯგუფიდან ყველაზე მეტი რესპონდენტი მოხვდა ამ უკანასკნელ ჯგუფში. მათი რაოდენობა 1,8-ჯერ აღემტება დანარჩენ ორ ჯგუფში გაერთიანებულ სტუდენტ რესპონდენტთა რაოდენობას. ხოლო 2,2-ჯერ მხოლოდ პირველი ჯგუფის და 11,3-ჯერ მხოლოდ მეორე ჯგუფის რესპონდენტთა რაოდენობას.

ცხრილი 27. საზღვარგარეთ სასწავლებლად წამსვლელ სტუდენტთ განაწილება უმაღლეს სასწავლებლის არჩევის მიხედვით (%)

არჩეული გაქვთ თუ არა უმაღლეს სასწავლებელი, სადაც სწავლის გაგრძელებას აპირებთ	საზღვარგარეთ წასლის მიზეზი	
	სწავლა	სწავლა დამუშაობა
დიახ, უკვე არჩეული მაქვს	36,0	64,0
რამდენიმე სასწავლებელში მაქვს საბუთები გაგზავნილი და პასუხს ველოდები	41,2	58,8
არა, ჯერ არ ამირჩევია	30,3	69,7

მნიშვნელოვანია იმ კრიტერიუმების გარკვევა რის გამოც უმაღლეს სასწავლებლებს ირჩევენ სტუდენტები.რესპონდენტებს შორის ძალიან მცირე ნაწილია მოხვედრილი გაცვლით პროგრამაში და სასტიპენდიო კონკურსში გამარჯვებული.

რესპონდენტები სასწავლებლის არჩევისას ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სწავლის საფასურს და ყველაზე დიდ

მნიშვნელობას სწავლისა და დასაქმების შეთავსების შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი 2,2-ჯერ აღემატება ყველა ჩამოთვლილ კრიტერიუმს ერთად და 12,9-ჯერ მხოლოდ სწავლის იაფი საფასურის გამო სასურველი უმაღლეს სასწავლებლის არჩევას.

ცხრილი 28. საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლის არჩევის ძირითადი კრიტერიუმები რესპონდენტთა სქესის მიხედვით (%)

კრიტერიუმები	მამაკაცი	ქალი	სულ
სტაჟირების საშუალებას იძლევა	21,3	10,3	14,8
გავიმარჯვე სასტიპენდიო კონკურსში	5,3	3,7	4,3
შემუშავებული აქვთ კრედიტების ტრანსფერების ევროპული სისტემა	8,5	9,6	9,1
გაცვლითი პროგრამით მოვხვდი	8,5	6,5	7,4
სწავლა აქ შედარებით იაფია	5,3	2,2	3,5
სწავლისა და დასაქმების შეთავსების შესაძლებლობაა	39,4	49,3	45,2
სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა	11,7	18,4	15,7

რესპონდენტთა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მიზეზების გარკვევისას ერთ-ერთი მაღლი მაჩვენებელით სწორედ ისეთ მიზეზი დასახელდა როგორიაცაა: უცხოეთში ნასწავლს საქართველოში დასაქმების მეტი პერსპექტივა აქვს – 34,8%. იქიდან გამომდინარე, რომ საზღვარგარეთ ნასწავლი ადამიანი უფრო კონკურენტუნარიანია, მიიჩნევა, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი მაღალხარისხიანი განათლება, როგორც უცხოეთში. ამიტომ, შეიძლება სტუდენტი რესპოდენტების მიერ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი – უცხოეთში უფრო მაღალხარისხიან განათლებას მივიღებ (46,6%) – ჩაითვალოს აუცილებელ პირობად სამშობლოში წარმატებულად დასაქმებისათვის. ამგვარად, სტუდენტების საზღვარდარეთ

სწავლის გადაწყვეტილება პირდაპირაა დაკავშირებული სამშობლოში დასაქმების პერსპექტივასთან. თუმაცა, რესპონდენტებს შორის იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც უცხოეთში სწავლა იქვე დასაქმების და საცხოვრებლებლად დარჩენის „მწვანე ბარათია“ – 12,4%.

საზღვარგარეთ სასწავლებლად წამსვლელ სტუდენტებს შორის უმეტესობა სწავლის გაგრძელებას უფრო მაღალ საფეხურზე აპირებს, თუმცა, რესპონდენტთა შორის არიან ისეთები, ვისაც სწავლა ისევ ბაკალავრიატში ან მოკლევადიან პროგრამებზე სურს. მაგრამ მათი რაოდენობა 3-ჯერ ნაკლებია იმ სტუდენტების რაოდენობაზე, ვისაც უცხოეთში სწავლა უფრო მაღალ საფეხურზე აქვს გადაწყვეტილი (მაგისტრატურა, დოქტურანტურა, რეზიდენტურა).

სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი (5,0%) ფიქრობს სპეციალობის შეცვლას საზღვარგარეთ სწავლისას. ნახევარს აღემატება მათი წილი ვინც იმავე სპეციალობით აპირებს სწავლის გაგრძელებას უცხოეთში, მეხუთედზე ოდნავ მეტი მონათესავე სპეციალობაზე აპირებს სწავლას, ხოლო 15,4% უფრო ფართო პროფილს აირჩევს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2018–2019 სასწავლო წელს უცხოეთში სასწავლებლად წასული სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილი გერმანიაში წავიდა (20,5%), მეორე ადგილზე იყო პოლონეთი (10,8%), შემდეგ იტალია (10,5%), საფრანგეთი (7,7%), ესპანეთი (6,5%), ლიეტუა (5,8%), ჩინეთი (4,2%). რაც შეეხება აშშ–ს, აქ მხოლოდ სამი ახალგაზრდა გაემგზავრა, გაერთიანებულ სამეფოში რვა და რუსეთში მხოლოდ ერთი. გასულ სასწავლო წელს საქართველოდან სულ 36 ქვეყანაში წავიდნენ სასწავლებლად ახალგაზრდები. ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით სტუდენტი რესპონდებტები სასწავლებლად გამგზავრების მზაობას გამოხატავენ ძირითადად: გერმანიაში (37,2%), აშშ-ში (16,8%),

გაერთიანებულ სამეფოში (11,4%), იტალიაში (5,4%), საფრანგეთსა და რუსეთში (3,4%).

მსოფლიოში მცხოვრები ნებისმიერი ოჯახის ეკონომიკური მიზანი უცვლელია და მოიცავს ისეთ მხარეებს, როგორიცაა: ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა – გაფართოება, გაუმჯობესება და შვილების მომავლის უზრუნველყოფა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის საჭირო შესაძლებლობა მუდმივად იცვლება. ამიტომ ადამიანები ეძებენ გამოსავალს: იცვლიან სამსახურს, საცხოვრებელ ადგილს – ერთვებიან მიგრაციულ პროცესებში. რა თქმა უნდა, ეს ეხება საქართველოსაც, სადაც შრომითი მიგრაცია ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოსახლეობის დასაქმების კუთხით, მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეს ნაბიჯები საკმარისი არ აღმოჩნდა, ამ მხრივ კვლავ ბევრია გასაკეთებელი. არსებული მდგომარეობის ნათელსაყოფად მოვიყვანთ საქსტატის მონაცემებს.

ცხრილი 29. 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით

	2014	2015	2016	2017	2018
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) ათასი კაცი	1984,6	2018,0	1996,2	1983,1	1939,9
დასაქმებული, ათსი კაცი	1694,4	1733,8	1717,3	1706,6	1694,2
უმუშევარი, ათასი კაცი	290,2	284,2	278,9	276,4	245,7
უმუშევრობის დონე პროცენტებში	14,6	14,1	14,0	13,9	12,7

წყარო: www.geostat.ge

საქართველოში დღეს ბევრი ახალგაზრდისთვის სამუშაოს პოვნა რთულია და ხშირად სამუშაოს ძებნის მცდელობა

წარუმატებლად მთავრდება. 2014 წლის აღწერის შედეგების თანახმად სამუშაო ძალის 16,1% უმუშევარია. უმუშევართა დონე უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაებში. 15–25 წლის ასაკობრივ ჯგუფში 120 000 ახალგაზრდაა უმუშევარი, რაც ახალგაზრდების 29,6%. [www.geostat.ge]

ს. არჩვაძე ახასიათებს რა საქართველოში არსებულ უმუშევრობის დონეს აღნიშნავს: დღეისათვის 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე 2,3–ჯერ მაღლია უფროსი ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის დონესთან შედარებით (შესაბამისად 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე 28,9%, მაშინ როცა 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში იგივე მაჩვენებელი 12,4%–ს შეადგენს.). ახალგაზრდებში, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, 1,6–ჯერ დაბალია ეკონომიკური აქტიურობის დონე და 2–ჯერ უფრო დაბალი დასაქმების დონე. 25 წლამდე ახალგაზრდებში მხოლოდ ყოველი მესამეა დასაქმებული და ყოველი მეექვსე დაქირავებით დასაქმებული. 25 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობისა და დასაქმების დონეები თითქმის თანაბარია, მაშინ როცა 25 წელზე უფროსი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმუშევრობა ეკონომიკურ აქტიურობაზე თითქმის ოთხჯერ დაბალია. ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, შრომითი საქმიანობით დაკავებული სტუდენტების რაოდენობა საქართველოში 30-35 ათასს აღემატება, რაც სტუდენტთა მთლიანი კონტიგენტის მესამედია. [ს. არჩვაძე. 2018: 157-158]

უმუშევრობის მაჩვენებელი ყველაზე მაღლია საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებში. მათგან მხოლოდ ერთი მესამედი იყო დასაქმებული ბოლო აღწერის მონაცემების მიხედვით. უმაღლესი განათლების პირებს შორის კი უმუშევრობა 23,3%–ს შეადგენდა. [ფრენკ ილენსი. 2017: 52–57]

ქვეყანაში არსებულ სერიოზული დისბალანსს სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ადასტურებს საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის

შემსწავლელი მიმდინარე კვლევები. 2010 წელს აშშ-ს განვითარების ფონდისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „დამსაქმებელთა 34% პრობლემებს აწყდება მოთხოვნადი პროფესიების მქონე პერსონალის გამოვლენისა და გადამზადების დროს. კვლევის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არ ხდება პერსონალის მომზადება დამსაქმებელთა მიერ მოთხოვნილ კონკრეტულ პროფესიებში, ან მომზადებული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის დონე არადამაკმაყოფილებლად ფასდება დამსაქმებლების მიერ“ (USAID, IOM. 2011). უნდა აღინიშნოს, რომ „უმუშევრობა წარმოადგენს ყველაზე მწვავე სოციო-ეკონომიკურ პრობლემას თანამედროვე საქართველოსთვის და ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას (USAID, IOM. 2011). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წლის მარტიდან ივლისამდე ჩაატარა „კვლევა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების “შესახებ”. (http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf) კვლევის თანახმად, შრომის ბაზარზე არსებობს იმ პოზიციების ნაკლებობა, რომლებშიც ხდება პროფესიული განათლების მქონე პირების დასაქმება. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, შრომითი რესურსების დაქირავების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ბაზარზე საჭიროა გარკვეული ზომების მიღება არსებული პოლიტიკის კუთხით. „ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევის“ თანახმად, მომავალი თანამშრომლების მოძიების ყველაზე პოპულარულ გზას წარმოადგენს (60%) – საჭირო პერსონალის მოძიება არაფორმალური კონტაქტების მეშვეობით, რაც შეიძლება აიხსნას დაბალი კვალიფიკაციითა და უნარების ნაკლებობით. იმ შემთხვევაში, თუ განათლების დამადასტურებელი ოფიციალური

დოკუმენტების (სერთიფიკატი, დიპლომი და ა.შ.) მეშვეობით ვერ ხერხდება პიროვნების რეალური შესაძლებლობების იდენტიფიცირება, დამსაქმებლებს უწევთ საჭირო უნარების გამოვლენისათვის სხვა გზებს მიმართონ. ამ შემთხვევაში, არაფორმალური კონტაქტები და ნაცნობები ზრდიან დასასაქმებელი კანდიდატის მიმართ ნდობას. მოცემულ თავში წარმოდგენილია განათლების სისტემაში ჩართული ახალგაზრდების დამოკიდებულებები, მათი აღქმები საქართველოში მიღებული განათლების ხარისხთან დაკავშირებით, ასევე, მათი დამოკიდებულებები საკუთარი დასაქმების შანსებისა და სამომავლო მიზნების მიმართ. ეს პრობლემები არსებითად ზრდიან ახალგაზდრებში ქვეყნიდან შრომითი ემიგრაციის მოტივაციას.

სტუდენტი რესპონდენტები საქართველოდან სამუშაოდ წასვლის მიზეზად ყველაზე მატად ასახელებენ ქვეყანაში შესაფერისი სამუშაო ადგილის შოვნის უპერსპექტივობას (47,1%).

სოციოლოგები საქმიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან საქმიანობა ადამიანის არა მარტო შემოსავლის წყაროა, არამედ მისი იდენტობის, შეგრძნებისა და დანიშნულების მნიშვნელოვანი ნაწილია. იდენტობის დიდი ნაწილი სამსახურის მეშვეობით იქმნება. მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის ადამიანი არ არის კმაყოფილი საკუთრი სამსახურით, ის საკუთარი იდენტობის დიდ ნაწილს სამსახურის მეშვეობით იქმნის. [ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. 2008. 636–637] ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა კვირაში საშუალოდ 35-დან 45 საათსა და უფრო მეტსაც სამსახურში ატარებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვით გაირკვა, რომ სტუდენტი რესპონდენტების 44,5% სწავლას უთავსებს შრომით საქმიანობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი გარკვეული ნაწილი მაინც ფიქრობს უცხოეთში სამუშაოდ წასვლას. მათთვის სასურველი სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა მაღალ

ანაზღაურებას უკავშირდება. სოციოლოგთა აზრით, ბევრი ადამიანისთვის სოციალური კონტაქტი მხოლოდ იმიტომ დგას მეორე ადგილზე, რომ ის პირველ ადგილზე აყენებს ხელფასს, როგორც მუშაობის მიზეზს. [ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. 2008: 644] შრომის ანაზღურება ისეთი უნდა იყოს, რომ დააკმაყოფილოს ოჯახის ეკონომიკური მიზანი – ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა – გაფართოება, გაუმჯობესება; შვილების მომავლის უზრუნველყოფა. რასაც საქართველოს ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს.

სამშობლოში დაბალი ანაზღურების გამო, უახლოეს სამ წელიწადში, საზღვარგარეთ წასვლას აპირებს დასაქმებული სტუდენტებიდან თითქმის ყოველი მეოთხე. საყურადღებოა, რომ ეს მაჩვენებელი 1,4–ჯერ აღემატება ათი წლის წინ სტუდენტებში ჩატარებული გამოკვლევით მიღებულ მონაცემს (17,4%) [ჭელიძე. ნ. 2008: 103].

სტუდენტები საზღვარგარეთ მუშაობაზე იმ შემთხვევაში თანხმდებიან თუკი მათი ანაზღურება მინიმუმ 1000$ იქნება. ეს თანხა კი 2,5–ჯერ აღემატება საქართველოში საშუალო ხელფასს და ხუთჯერ და მეტად სამშობლოში დასაქმებული სტუდენტების ფაქტობრივ ანაზღურებას. [ი. არჩვაძე. 2018: 161] გამოკვლევით გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რაც უფრო მაღლია სტუდენტის ანაზღურება სამშობლოში, მით უფრო მაღლია მათი მოთხოვნები ემიგრაციაში მისაღები ანაზღურების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღურება ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტებისათვის, ისინი უპირატესობას მაინც საკუთარი სპეციალობით დასაქმებას ანიჭებენ. 2,8–ჯერ მეტია იმ სტუდენტების რიცხვი, ვინც პირველ ადგილზე დააყენა სპეციალობით დასაქმება, მათთან შედარებით ვისთვისაც უმთავრესი მაღლანაზღურებადი სამუშაოა. ამასთან, მაღლანაზღურებადი სამუშაოს მოთხოვნა თანხვედრაშია

სამუშაოსთან, სადაც დაცული იქნება შრომის ნორმალური პირობები.

ცხრილი 30. უცხოეთში შრომითი საქმიანობისთვის აუცილებელი კრიტერიუმები სტუდენტებში (%)

საზღვარგარეთ როგორი სამუშაოა თქვენთვის ყველაზე მისაღები	%
სამუშაო ჩემი სპეციალობით	49,8
მაღალანაზღურებადი სამუშაო	17,3
სამუშაო შრომის ნორმალური პირობებით	17,3
სამუშაო, სადაც დაცული იქნება ჩემი უფლებები	13,1
ნებისმიერი სამუშაო	2,5

მნიშვნელოვნად შეიცვალა სტუდენტთა დამოკიდებულება და მოთხოვნა ლეგალური სამუშაოსადმი. ათწლეულის და ცოტა მეტის წინ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უმთავრესი იყო უცხოეთში დასაქმება და მის ლეგალურობას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჩვენმა გამოკვლევამ კი ნათლად აჩვენა სტუდენტების მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია არარეგალური სამუშაოსადმი. გამოკითხული სტუდენტების 62% არ აპირებს არალეგალურად დასაქმებას იმ შემთხვევაშიც კი თუკი საზღვარგარეთ სამუშაოს ლეგალურად ვერ იშოვნის.

ის რაც ცხოველ ინტერესს იწვევს ეს არის საკითხი - აპირებენ თუ არა უცხოეთში წამსვლელი ახალგაზრდები საქართველოში დაბრუნებას. ყველაზე მეტი, თითქმის ნახევარი, იყვნენ ისინი ვინც ნებისმიერ შემთხვევაში დაბრუნდება საქართველოში. სამშობლოში დაბრუნების სურვილით გამოირჩევიან ქალები. მათი რიცხვი 1,7-ჯერ აღემატება მამაკაცების რიცხვს. სამშობლოში დაბრუნებას საერთოდ არ აპირებს 3,9% მათ შორის მამაკაცთა რაოდენობა 1,5-ჯერ აღემატება ქალებისას. რესპონდენტთა არც თუ მცირე ნაწილს მკვეთრად გამოხატული პოზიცია არ აქვს. ისინი ამ საკითხის გადაწყვეტას სწავლის დამთავრების შემდეგ აპირებენ. სავარაუდოდ, მათი დაბრუნება არ დაბრუნების საკითხი

უკავშირდება უცხოეთში დასაქმების შესაძლებლობას. ალბათ, გამართლების შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნების გეგმებს, უკეთეს შემთხვევაში, გადაავადებენ. ამ ერთობლიობაში ქალების რაოდენობა 1,4-ჯერ აღემატება მამაკაცების რაოდენობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამშობლოდან სამუდამოდ აპირებს წასვლას სტუდენტთა 3,9 პროცენტი. ეს მაჩვენებელი თითქმის 1,4–ჯერ აღემატება ათი წლის წინ ასევე სოციოლოგიური კვლევით მიღებულ მაჩვენებელს (2,85). [ჭელიძე ნ. 2008: 103] რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ახალგაზდების დასაქმება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ეს გადაუჭრელი პრობლემა კი შრომით ემიგრაციას უწყობს ხელს. თავის მხრივ, ინტენსიური ემიგრაციული ნაკადები დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე. თუ საქართველოდან სამუდამოდ წამსვლელი ახალგაზრების რიცხვი კვლავ ასეთი ტემპით გაგრძელდება, ეს აუცილებლად ჰპოვებს ნეგატიურ ასახვას არა მხოლოდ ქვეყნის დემოგრაფიულ პროცესებზე არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ვფიქრობთ, მდგომრეობა საგანგაშოა და სასიცოცხლოდ აუცილებელია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. რომლის განხორციელებაც უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პარალელურად.

ქვეყანაში დასაქმების კუთხით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რაიონებში. რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს შიგა მიგრაციულ პროცესებზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის კვლევის - „კვლევა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის“ მიხედვით 63 387 ორგანიზაციაში დასაქმებულია 908 374 ადამიანი. მათ შორის დასაქმებულთ ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისზე (497 135 კაცი), რომლის შემდეგაც მოდის იმერეთის რეგიონი (78 303 კაცი აჭარა (78 766 კაცი). მოცემული კვლევის თანახმად დასაქმებულთა სქესის მიხედვით განაწილების სურათი ასეთია: დასაქმებულთა

უმეტესობა 51% მამაკაცია, ხოლო 49% ქალი. [http://www.moh.gov.ge]

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე ყველაზე მაღლია თბილისში, საქართველოში შიდა მიგრაცია ძირითადად სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან თბილისში ხორციელდება. რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ საგანმანათლებლო მოტივებთან, არამედ ისეთ ხელშემწყობ ფაქტორებთან, როგორიცაა: რაიონებში სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა და სიღარიბისა და სოციალური იზოლაციის მაღლი რისკი. როგორც ცნობილია, შემოსავლები სოფლის მეურნეობაში დასაქმებიდან ძალიან დაბალია. რადგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობა ამ საქმიანობით ძირითადად საკუთარი საჭიროებისათვის აუცილებელ პროდუქციას აწარმოებს. ქალაქად კი დასაქმების გაცილებით მეტი შესაძლებლობაა, რაც ახალგაზრდების, და არა მხოლოდ ახალგაზრდების, სოფლიდან ქალაქში გადანაწილების პროცესს უფრო ინტენსიურს ხდის.

აღწერის მონაცემები არ იძლევა პასუხს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: სამსახურის არჩევის კრიტერიუმები; სასურველი სამსახურისადმი განწყობები; შრომის ანაზღურებისადმი განწყობები და ა.შ. არადა ამ საკითხების სიღრმისეული შესწავლა მნიშვნელოვანია. ამ მხრივ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯს წარმოადგენს სოციოლოგიური გამოკვლევა. სტუდენტ ახალგაზდებში ჩატარებულმა გამოკვლევამ, როგორც ზემოთ გავაშუქეთ, კიდევ ერთხელ დაადასტურა სტუდენტი ახალგაზრდების გარე მიგრაციული განწყობის მაღლი მაჩვენებელი. მათთან შედარებით ნალებია იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც უახლოესი 3-5 წელი არ აპირებენ გარე მიგრაციულ პროცესებში ჩართვას. რესპონდენტთა 43,3% უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში აპირებს დარჩენას და საქმიანობის დაწყებას.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობისთვის უმთავრესია სამსახურის ქონა, ხოლო იმას თუ რომელ სექტორში იქნება დასაქმებული, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. სამსახურისადმი ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამუშაო ადგილების სიმწირეს საქართველოში. არასამთავრობო სექტორში მუშაობის მსურველთა რაოდენობა 8,7-ჯერ ჩამორჩება სახელმწიფო სამსახურში და 4,9-ჯერ კერძო კომპანიებში მუშაობის მსურველთა რაოდენობას.

ახალგაზრდების ღირებულებების განხილვისას გამოიკვეთა პიროვნული ღირებულებების წინა პლანზე წამოწევა. წინა თობისაგან განსხვავებით ახალგაზრდებს მკვეთრად გამოხატული დადებითი დამოკიდებულება აქვთ ისეთი ღირებულებებისადმი, როგორიცაა დამოუკიდებლობა, კარიერული წინსვლა, მატერიალური კეთილდღეობა. სტუდენტები სწორედ ისეთ სამსახურს ანიჭებენ უპირატესობას, სადაც კარიერული წინსვლა იქნება შესაძლებელი. ქალები ასევე უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას სპეციალობის შესაფერისი სამუშაოს ქონას, ვიდრე მამაკაცები. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მნიშვნელობის მხრივ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აიღო დასაქმებულის უფლებების დაცულობამ. რაც იმის მაჩვენებელია, რომ უმთავრესი ახალგაზრდებისთვის არის დასაქმება და არა მათი უფლებების დაცულობა დასაქმების დროს.

ცხრილი 31. სტუდენტთა მოსაზრებები დასასაქმებლად ყველაზე მნიშვნელოვანი პირობების შესახებ (%)

პირობები	მამაკაცი	ქალი	სულ
სამუშაო, სადაც კარიერული წინსვლა იქნება შესაძლებელი	29,7	42,0	36,2
მაღალანაზღაურებადი სამუშაო	24,4	15,5	19,8
სტაბილური სამუშაო	24,2	17,6	20,7
სპეციალობის შესაფერისი სამუშაო	16,6	18,3	17,5
სამუშაო, სადაც დაცული იქნება დასაქმებულის უფლებები	5,0	6,6	5,9

სასურველი სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა მაღლ ანაზღაურებას უკავშირდება. შრომის ანაზღურება ისეთი უნდა იყოს, რომ ყველაზე ცუდ შემთხვევაში მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს ადამიანის ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმი. რომელიც საქართველოში ერთსულიანი ოჯახისათვის, 2018 წლის მაისის გაანგარიშებით, 157,5 ლარია, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 177,8 ლარი. [www.geostat.ge] გამოკითხულ სტუდენტთა ყველაზე მეტმა ნაწილმა სამუშაოს შემოთავაზებისას სასურველ ხელფასად დაასახელა 701–900 ლარი. მათ 1,4–ჯერ ჩამორჩებიან ის სტუდენტები, ვისთვისაც სასურველი ხელფასი არაა ნაკლები 500 ლარზე. ასე, რომ ახალგაზრდებს სურვილი აქვთ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დასაქმდნენ სამსახურში, საიდანაც მიღებული ანაზღურებით, შეძლებენ სხვადასხვა მოთხოვნი-ლებების არა მხოლოდ მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილებას. ამასთან, მამაკაცებში უფრო მეტადაა გამოხატული მაღალანაზღურებადი სამსახურის მოთხოვნილება, ვიდრე ქალებში.

ცხრილი 32. ხელფასის ოდენობა, რომელზეც თანახმანი იქნებიან სტუდენტები სამუშაოს შემოთავაზებისას

ანაზღურება ლარებში	მამაკაცი	ქალი	სულ
არანაკლებ 500 ლარისა	15,1	22,6	19,0
501–700	11,3	19,4	15,6
701–900	27,0	26,4	26,7
901–1100	27,7	19,1	23,2
1101 და მეტი	18,9	12,5	15,6

სტუდენტების გარკვეული ნაწილისთვის (40,5%) რაიონში დასაქმება მიმზიდველი არ არის. სტუდენტებს, რომლებიც დასაქმებას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში აპირებენ, 2,4–ჯერ ჩამორჩებიან ისინი, ვინც კატეგორიულად

წინააღმდეგია რაიონში დასაქმების. მათ შორის მამაკაცები უფრო მეტად გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას რაიონში მუშაობაზე, ვიდრე ქალები (მამაკაცების 56%, ქალების 46%). ხოლო იმათგან ვინც რაიონში მუშაობაზე თანხმობა გამოთქვა 7,2–ჯერ ნაკლებია რესპოდენტი, რომლებიც ამას უპირობოდ გააკეთებს.

ცხრილი 33. სტუდენტთა დამოკიდებულება რაიონში მუშაობისადმი %

	დიახ, უპირობოდ	დიახ, თუ სხვა გამოსავალი არ იქნა	დიახ, თუ ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს
მამაკაცი	18,4	18,8	62,8
ქალი	9,9	20,4	69,7
სულ	13,7	19,7	66,6

გამოკვლევამ გამოკვეთა თბილისში მუდმივად მცხოვრები სტუდენტების ნახევარზე მეტის (53,6%) დადებითი დამოკიდებულება რაიონში მუშაობასთან დაკავშირებით. მათ შორის უმეტესობას (65,4%) წარმოადგენენ ისინი ვინც ამ გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში მიიღებენ თუკი ეს სამუშაო მათი მოთხოვნების შესაბამისი იქნება. ამ უკანასკნელზე 5,9-ჯერ ნაკლებია რაიონში სამუშაოდ უპირობოდ წამსვლელთა რაოდენობა და 2,8-ჯერ ნაკლებია თბილისელი იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც ასეთ ნაბიჯს მხოლოდ მაშინ გადადგამენ თუ სხვა გამოსავალი არ ექნათ.

როგორც გამოვლინდა, სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი დადებით განწყობას ავლენს რაიონში დასაქმებისადმი, ოღონდ გარკვეული მოთხოვნების შესრულების პირობებში. შევეცადეთ გაგვერკვია ეს მოთხოვნები და დაგველაგებინა მნიშვნელობის მიხედვით. პირველი მნიშვნელობის მოთხოვნებში ყველაზე მაღლი პროცენტული მაჩვენებელი კარიერულმა წინსვლამ აიღო (78,6%). ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი თანახმაა ნებისმიერ რაიონში მუშაობაზე თუკი მას ექნება კარიერული წინსვლის პერსპექტივა. მეორე ადგილზე მაღლი პროცენტული მაჩვენებლით

აღმოჩნდა სამსახური მაღლი ანაზღურებით (69,1%), ხოლო მესამეზე სტაბილური სამუშაო (65,9%).

ცხრილი 34. სტუდენტებისათვის რაიონში დასაქმების უმნიშვნელოვანესი პირობები %

პირობები	მამაკაცი	ქალი	სულ
ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პერსპექტივით	76,1	83,2	80,1
ნებისმიერი რაიონი მაღლი ანაზღაურებით	69,7	70,3	70,0
ნებისმიერი რაიონი სტაბილური სამსახურით	63,4	69,2	66,6
რაიონი განვითარებული ინფრასტრუქტურით	61,7	65,0	63,6
მშობლიური რაიონი უპირობოდ	58,0	59,4	58,7
ნებისმიერაიონი სადაც ბიზნესის განვითარების საშუალება მექნება	56,7	56,2	56,4
რაიონი სადაც იცხოვრებენ ჩემი ნათესავები/მეგობრები	44,3	46,5	45,5

რაიონში დასასაქმებელი აუცილებელი პირობების განხილვამ სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოკვეთა განსხვავებები. თბილისში მუდმივად მაცხოვრებელი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან სამ პირობას შორის ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი – ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პერსპექტივით, მეორე – ნებისმიერი რაიონი მაღლი ანაზღურებით და მესამე – რაიონი განვითარებული ინფრასტრუქტურით. ქუთაისში მუდმივად მცხოვრები სტუდენტების მოთხოვნათა პირველი ორი პუნქტი ემთხვევა თბილისელი სტუდენტების მოთხოვნებს, მხოლო განსხვავება მესამე პუნქტშია, ქუთაისელი სტუდენტებისათვის უფრო მნიშვნელოვანია სტაბილური სამუშაო და არა რაიონის განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომლის მნიშვნელობაც აღნიშნეს თბილისელმა სტუდენტებმა. ბათუმში მუდმივად მაცხოვრებელი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან პირობათა

სამეულის მხოლოდ პირველი პუნქტი ემთხვევა თბილისელი და ქუთაისელი სტუდენტების აუცილებელ პირველ პუნქტს - ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პერსპექტივით, მათთან მეორე პუნქტად დასახელდა რაიონი განვითარებული ინფრასტრუქტურით, ხოლო მესამედ მშობლიური რაიონი. რაც შეეხება დანარჩენ სტუდენტებს, ისინი უცვლელად იმეორებენ ქუთაისელი სტუდენტებისათვის აუცილებელი მნიშვნელობის პირობებს: ნებისმიერი რაიონი კარიერული წინსვლის პირობებით, ნებისმიერი რაიონი მაღლი ანაზღურებით, ნებისმიერი რაიონი სტაბილური სამსახურით.

რაიონში დასაქმებასთან დაკავშირებით სტუდენტთა განწყობების შესწავლამ დაგვანახა, რომ აუცილებელია რაიონებში სამუშაო ადგილების შექმნა სასოფლო-სამეურნეო სექტორის გარეთ, რათა მოხდეს ახალგაზრდების არა მხოლოდ დამაგრება რაიონებში, არამედ დედაქალაქიდან მიგრაციაც. საერთოდ, სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკა გადაჯაჭვული უნდა იყოს დასაქმების პოლიტიკასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი.

საქართველოს სოციალ-დემოგრაფიული განვითარებისთვის გასაკეთებელი ბევრია

დღეს მეცნიერებიც და ფართო საზოგადოებაც ბევრს მსჯელობენ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ერთი რამ ცხადია, თუ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ქვეყანაში შექმნილი ვითარება და მისი განვითარების პერსპექტივები, საჭიროა გარკვეული ძალისხმევა, მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. ეს ღონისძიებები, რა თქმა უნდა აუცილებლად კომპლექსურად უნდა გატარდეს, რადგან საქართველო ის ქვეყანაა, სადაც თითქმის ყველა სახის პრობლემა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მთელი ძალისხმევა იქით უნადა იყოს მიმართული, რომ გარკვეულწილად

მაინც მოვახდინოთ ზეგავლენა მიმდინარე პროცესებზე და სასურველი მიმართულებით წარვმართოთ იგი.

მაშინ როცა, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგულია და ქვეყანაში მუდმივად მიმდინარეობს მცოცავი ოკუპაცია, რასაც თან ერთვის დეპოპულაცია, მთელი ერის საზრუნავი უნდა გახდეს ფიზიკური და კულტურული უწყვეტობის შენარჩუნება. აუცილებელია ეფექტური სოციალ-დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ქვაკუთხედი აღწარმოების დონის და შობადობის დონის გაზრდაა. თუმცა არ შეიძლება შობადობასთან დაკავშირებული ასპექტების შემოფარგვლა მხოლოდ ბავშვების დაბადებით. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვების აღზრდაში ხელშეწყობა. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, დემოგრაფიული პოლიტიკის დაკავშირება სოციალურ პოლიტიკასთან. უმთავრესი მიზანი რომელიც დემოგრაფიულმა პოლიტიკამ უნდა განახორციელოს ეს არის მოსახლეობისათვის იმ შესაძლებლობების მიცემა, რომელიც ხელს შეუწყობს შობადობასთან დაკავშირებული სურვილების განხორციელებას. ამ საკითხის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ინიციატივა.

2000 წლიდან 2008 წლამდე საქართველოში ცოცხლადშობილთა რიცხვს აჭარბებდა გარდაცვილთა რიცხვი. შესაბამისად, ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ნულს ქვემოთ იყო. რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქვეყანაში მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც კი არ ხდებოდა. ქვეყნისათვის ასეთ მძიმე ვითარებაში 2007 წლის ოქტომბერში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II გამოვიდა ინიციატივით, რომ ყოველი მართლმადიდებელი ჯვარდაწერილი მშობლების რიგით მესაამე და მომდევნო ბავშვს თავად პატრიარქი მონათლავდა. პატრიარქის ინიციატივის მიზანი საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. 2008 წლის 19 იანვარს პირველი

ნათლობაც შედგა. ამ ინიციატივას ძალიან მალე გასაოცარი დადებითი შედეგი მოჰყვა. 2007 წლიდან 2014 წლამდე მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში თითქმის 8%-ით გაზარდა. 1,4-დან 2,2-მდე გაიზარდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. გაუმჯობესდა მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი. რომლის შეფასებითმა მაჩვენებელმაც ერთს გადააჭარბა. 2019 წლის სექტემბერში მესამოცე ნათლობა ჩატარდა. ამჟამად პატრიარქის 38 975 ნათლული მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვია. თუკი კათოლიკოს პატრიარქის ინიციატივამ მოიტანა დადებითი შედეგები, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯებიც ეფექტური იქნება.

ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე ახალგაზრდების ხელშია. ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი ქმედითი პოლიტიკის გატარება, რომელიც ახალგაზრდებზე იქნება ორიენტირებული. ერის გამრავლება დამოკიდებულია ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რასაც თავის მხრივ ჯანსაღი ცხოვრების წესი განსაზღვრავს. ჯანმრთელი მოსახლეობა ქმნის მატერიალურ დოვლათს და ერის კულტურულ ღირებულებას. ამიტომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სამედიცინო და დემოგრაფიული ცოდნის ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდებში სანიტარულ-ჰიგიენური, სქესობრივი და რეპროდუქციული განათლების დონის ამაღლებას.

დღეს, როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის პრობლემას. ერის სულიერი მამის სიტყვებს მოვიშველიებთ: „მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი... უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა, ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ

სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა“. [ილია II. 2007]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური მომზადებაა ქორწინებისთვის და მტკიცე ოჯახის ფორმირებისთვის. უმთავრესია ოჯახების ფორმირებისათვის ოპტომალური პირობების შექმნა. ყურადღება უნდა გამახვილდეს ახალგაზრდების დასაქმებაზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე.

ახალდაზრდების დასაქმების პრობლემის გადაჭრა ხელს შეუწყობს უცხოეთში მათი გადინების შემცირებას. ის, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის მოტივაცია საკმაოდ მაღლია სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. სქესობრივ-ასაკობრივი დისბალაბსი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ ახალგაზრდა ემიგრანტებს შორის მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, აუცილებლად გამოიწვევს მამაკაცების ნაკლებობას „საქორწინო ბაზარზე“. რაც ასახვას პოვებს დემოგრაფიულ პროცესებზე, კერძოდ ქორწინებასა და შობადობაზე.

სახელმწიფოს მხრიდან შრომითი ბაზრის ფორმირების სფეროში თუკი განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენება და ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა, ეს არა მხოლოდ შეამცირებს უცხოეთში სამუშაოს მაძიებელ ახალგაზრდების რიცხვს, არამედ ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ახალგაზრდების სამშობლოში დაბრუნებას.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის რეგიონებში ახალგაზრდების დამაგრება. რეგიონალური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო სექტორს გარეთ სამუშაო ადგილების შექმნა შეამცირებს

შიდა მიგრაციას რაიონებიდან ქალაქებისკენ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაბრუნებას მშობლიურ რაიონებში.

რეგიონების გაძლიერების მიზნით სასურველი იქნება თუკი ახალგაზრდა ოჯახებს შეექმნება პირობები იქ დასახლების და მცირე ბიზნესის წამოწყების.

სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდა ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია, მოსახლეობის დაბერების საკითხის მეინსტრიმინგის გზამკვლევი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, 2014-2020 წლების ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია დასაქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია. თუმცა სოციალ-დემოგრაფიული პრობლემები ქვეყანაში კვლავ მწვავეა. გადასაჭრელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: დეპოპულაცია, მიგრაციის მაღლი დონე, შრომისუნარიანი მოსახლეობის მკვეთრი შემცირება, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, მაღალმთიანი რეგიონების დაცარიელება და სხვ. საზოგადოება თუ გაითვისებს იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას, თუ გაერთიანდება „ერი და ბერი,“ მეცნიერულად დასაბუთებული სოციალ-დემოგრაფიული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებით, მართვის სრულყოფილი მექანიზმების გამოყენებით ქვეყანა შეძლებს დემოგრაფიული კრიზისიდან თავის დაღწევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ს. (2018). შრომითი ემიგრაცია. წიგნში: „მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში“.
2. ბარტ დე ბრუნი, ჭითანავა მ. (2017) მოსახლეობის დინამიკა,
3. ბრიუსი სტივი, სოციოლოგია. (2018) ძალიან მოკლე შესავალი.
4. გომელაური ნ. (2014). ოჯახის ალტერნატიული ფორმები და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“.
5. გუნია ბ. (2012) დეკანოზი, ქრისტიანული ოჯახი. ეკლესია და ოჯახი №3.
6. გუგუშვილიპ,(1981)ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები.
7. გაზეთი „რეზონანსი“ (2019). 194 (9486) 30.09. კატასტროფის ზღვარზე – 2007 წლის შემდეგ პირველად საქართველოში სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა
8. დურგლიშვილი ნ. (1997) ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი.
9. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2019. Geostat.ge/media/27214/demograpia – 2018/
10. ერიკ ერიქსონი - პიროვნების ფსიქოსოციალური განვითარება. http://dictionary.css.ge/content/psychosocial-stages
11. ვასაძე ნ., 2003. გლობალიზაცია და ეროვნული სკოლა. ჟ. „მოამბე“№6, 173-180.
12. თაობა გარდამავალ პერიოდში ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო, ფრიდრიხ ებერტის ფონდი. https://library.fes.de/
13. კალჰუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს. (2008) სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
14. კარლსონი ალან. (2017) ამერიკული ოჯახი – გუშინ, დღეს, ხვალ.
15. კოდუა ე. (2001) კულტურის სოციოლოგია. სოციალურ მეცნიერებათ სერია.

16. ლორთქიფანიძე ვ., თოთაძე ა. (2007) ერმა ერი უნდა გადაარჩინოს.
17. მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. (2018) სარედაქციო კოლეგია: ა. სულაბერიძე, ლ. მენაბდიშვილი, ნ. გომელაური, ც. გვრიტიშვილი, მ. ხაჩატუროვა, თ. გავაშელი.
18. მენაბდიშვილი ე. (1989) ახალგაზრდობის სოციალურ და კულტურულ ღირებულებათა ფორმირების საკითხები.
19. მენაბდიშვილი ე. (2011) მნიშვნელოვანი ღირებულებები ქართველებში.
20. მენაბდიშვილი ე. (2014) ოჯახის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვე დემოკრატიულ მოდელზე გადასვლა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“.
21. მენაბდიშვილი ლ. (2018) ოჯახის მენეჯმენტი.
22. მენაბდიშვილი ლ. (2015) ძალადობასთნ დაკავშირებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“.
23. მენაბდიშვილი ლ. (2017) სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟ. „განათლება“. თბ. №(18)
24. მენაბდიშვილი ლ. (2017) საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა სტუდენტებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“.
25. მენაბდიშვილი ლ. (2018) ახალგაზრდები, სამუშაო ძალა და შიდა მიგრაცია საქართველოში. წიგნში“ მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში.
26. მენაბდიშვილი ლ. (2015) ოჯახის ტრანსფორმაცია დემოგრაფიული პრობლემატიკის საფუძველი. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების

კრებული: „ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.
27. მენაბდიშვილი ლ., გომელაური ნ. (2016) თავისუფალი სექსუალური ურთიერთობა. წიგნში „საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი.
28. მენაბდიშვილი ლ. (2016) ქორწინება და ოჯახი. წიგნში: ‘ საქართველოს მართლმადიდებელ მორწმუნეთ დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი“.
29. მენაბდიშვილი ნ. (2017) სტუდენტთა დამოკიდებულება ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“.
30. მენაბდიშვილი ნ. (2018) უცხოეთში სწავლის განწყობა სტუდენტ ახალგაზრდებში. წიგნში“ მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში.
31. მენაბდიშვილი ნ. (2018) ემიგრაციის გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისოო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“.
32. ოჯახის სოციოლოგიის საფუძვლები, შემდგენლები: ა. სულაბერიძე, გ. წულაძე, ც. გვრიტიშვილი, ნ. გომელაური. თბ 2018
33. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. თბილისი 25 მაისი, 2006 წელი.
34. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა. (2010)
35. საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის სააღდგომო ეპისტოლე 28.04.2019
36. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლე. 23:55, 06-01-2015.
37. საპატრიარქოს უწყებანი (2007). №1

38. სულაბერიძე ა. (2017) ახალგაზრდობის ასაკის განსაზღვრისათვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები.
39. სულაბერიძე ა. (2016). საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციები. წიგნში: საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი.
40. ტურაშვილი თ. (2014). სადოქტორო ნაშრომი: ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ზოგიერთი ფაქტორის კვლევა ქართველ სტუდენტებში.
41. უზნაძე დ, განწყობის ფსიქოლოგია, გამომცემლობა: „საქართველოს მაცნე", მეოთხე გამოცემა. გვ 301.
42. ფარესაშვილი ნ. (2012). კონფლიქტების მართვა.
43. ფრენკ ილენსი, ახალგაზრდები საქართველოში. (2017). 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. საქსტატი, UNFPA. 2.
44. ქართული საზოგადოების ღირებულელები, ანგარიში, ანალიზი, რეკომენდაციები. (2006). №7. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.
45. ჭელიძე ნ. (2008). საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სასწავლო–შრომითი მიგრაციული განწყობები. თბ.
46. ყიფშიძე ლ. ძალადობა ოჯახში და ქალთა სოციალური პრობლემები. http://www.nplg.gov.ge/
47. წულაძე გ. (2012) დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი.
48. წულაძე ლ. (2004) სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები), ავტორეფერატი სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
49. შელია მ. (2015). სტუდენტთა დამოკიდებულება კონფლიქტებზე ოჯახში, ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები.
50. შჩეპანსკი იან. (1997). სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები.

51. ჰარეტი რალფი. (2017). მოსახლეობის დინამიკა საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა.
52. Аберкромби Н., Хилл С., Тернер Б. С. (2004). Социологический словарь.
53. Гендерные исследования: история, философия, образование. Коллективная монография. /Под. Обш. Ред. Е. В. Ануфриевой, Т. П. Машихиной. Волгоград, Изд-во ВолГМУ, 2012
54. Егорова Н.Ю. С.Д., Бобров В.А. Менеджмент в домашнем хозяйстве. https://lib.sale/otrasli-menedjment/menedjment-domashnem-hozyaystve.html
55. Лисицин Ю.П., Сахно А.В. (1988). Здоровье Человека – социальная ценность.
56. Журавлева И. В. (2006). Отношение к здоровью индивида и обшества. Москва.
57. Масионис Дж. (2004). Социология.
58. Менабдишвили Л., Менабдишвили Н., Гомелаури Н., Шуштакашвили В. (2018). Распределение обязанностей и лидерство в современной семье. Ж. Демография и социальная экономика. 3(34)
59. Синельников А.Б. (2011). Ценностные ориентации российской и европейской молодежи. Ж. Вестник Московского университета. Серия 18. Социология и политология. №1
60. Смелзер Н. (1994). Социология
61. Социология семьи. (2010) Под редакций А. И. Антонова. М.
62. Титаренко В. (1987). Семь.я и формирование личности.
63. Франк С. (1992). Духовные основы обшества. №1.
64. Bengston, V., L. (2010). Generation and Family Effects in Value Socialization, American Sociological Review, Vol. 40, No. 3, American Sociological Association Available at: http://www.jstor.org /stable/2094463 [Accessed: 30 October]
65. Diener et al. (1999). Preiser & Ziessler. (2009).
66. Dutton and Golant. (1995). www.lfcc on. ca. / maleviolence.pdf
67. Gellen Ferreol Yean, Pierre Noreck. (1996). Introduction a la Sociologic. Paris

68. Menabdishvili L, Menabdishvili N, Gomelauri N. (2019) MIGRATORY DISPOSITION OF GEORGIA'S STUDENT YOUTH. Demography and Social Economy, № 3 (37): 47–56
69. Family Connection and Happiness. Fostering A Closr Relationship With Your Family. By Elizabeth Scott, M.S. Uplated January 05. 2007.
70. Horst, M., Coffé H. (2012). How Friendship Network Characteristics Influence Subjective Well-Being. Social Indicators Research, Vol. 107, No. 3, Springer [online] Available at: http://www.jstor.org/stable/41476591 Accessed at: 30 October 2016
71. Van de Kaa, D.I. (2002). The Idea of a Second Demographic Transition in Industrialized Countries. Paper presented at the Sixth Welfare Policy Seminar of the National Institute of Population and Social Security, Tokyo, Japan, 29 January.
72. Pervin L .A. (2003). The Sciece of Personality, 2nd Ed. New York, Oxford: Oxford University Press.
73. Rokeach M. (1973). Nature of Human Values, New York. Free Press 1973. p.5
74. Rokeach M. (1972). Attitudes and Values, A Theory of Organization and Change, London 1972. P 73, 102.
75. www.ncdc.ge
76. http://www.jstor.org/stable/2094463 [Accessed: 30 October 2010
77. http://www.moh.gov.ge/files/01GEO/Shroma/kvleva/33.pdf
78. www aidscenter.ge/epidsituation-geo.html
79. Dictionary. Css.ge/content/ hierarchy – needs.
80. www. Bm. Ge
81. www.geostat.ge
82. www. NCDC.Ge
83. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/euneighbourseast_annualsurvey2017report_georgia_